

# ისტორიკიანი



პეტე I-ის  
ქატივაციონ  
ფაქტები და  
პეისიები...

უსნობი ფაქტები  
ქაქუსა ჩოოყაშვილის  
სსოვიებიან

ჩანობ პი ისევი  
სხანიდა  
პეტე I-ის  
ქატივაციონის  
საბელოვა  
ბეოტანა...

ყვილა ღეოის საუკეთესო  
ისტორიკიანი ჩოვანი

ქონსაგინე გავსახურღია  
ღავით აღაშენებელი  
8 გოგად

ტოში V  
ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიკიანთან“ ერთად — 5 ლარი


აღსახიდი  
და  
ბაპატიოსნება  
პაქაჩა  
ჩანისა

ენი  
აშეიჩაიდი  
სალოვანი  
— ქეიბხანტი  
საქატივაციონე

ჩოგოჩი  
აიყვიანს  
ქატივაციონა  
ტახტე  
ანაი შაპი



10



28



7



11



20



41



35

**სახჩევი**

**ახალი აზიები**

არქეოლოგიური საგანძურის გამოყვანა  
სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი ..... 6  
ლატვიის უკანასკნელი პრეზიდენტის  
საფლავს გორში ეძებენ ..... 7-9  
უნიკალური გამოყვანა საქართველოს  
სიკვლემთსაცავში ..... 10

**ნსოჩიანი ცეხილეთუბი**


კატრე I-ის ქართველობა – ფაქტები და  
პერსიები ..... 11-16  
„იყო ჩრდილოეთს ხელმწიფე...“ ..... 17-19  
იყო თუ არა კატრე I ქართველი?... ..... 20-25

**ახალი აზიები**

კოსმოსურმა თანამგზავრმა ვიკიპეტში  
უცნობ პირამიდას მიაკვლია ..... 26-27  
**ქვეყნისთვის თაყადაზიანი**  
უცნობი ფაქტები ქაქუცა ჩოლოყაშვილის  
ცხოვრებიდან ..... 28-34  
**საქართველოს მფუფიანი**  
აღსასრული და გაკატრეობა  
კატრე კახისა ..... 35-40  
**ქართველობა საზღვრის მიღე**  
ალიგებლობი წმინდა ნინოს სახელობის  
მკლესია განახლდა ..... 41-42



43



49



60



78



54



73



82

**სახიჩვი**

**მსოფლიო ხელოვნება**  
 ქრისტიანობა ..... 43-48  
**ქართული უსწოთში**  
 დიდი ამერიკელი ხელოვანი — ემიგრანტი  
 საქართველოდან ..... 49-53  
**ქართული იხანთი**  
 როგორ აიყვანეს ქართველებმა ტახტზე  
 ახალი შაჰი ..... 54-59  
**ჩვენი თანამედროვე**  
 იარაღის მცველი — კოტე ზოლუაშვილი .... 60-65  
**ქართული საზოგადოებრივი**  
 მისი უდიდებულესობა ხინკალი ..... 66-70

**მსოფლიოს ხალხები**  
 ყველაზე პატარა აღმამეები —  
 კიბეძეები ..... 71-72  
**სწოთში**  
 კონსტანტინე გამსახურდიას შორენა —  
 ბიბლიური ძალი ..... 73-77  
**ქილიტი**  
 რატი ამფლოგელი: „კაცობრიობის  
 გამოცდილება ყველაზე კარგად  
 ისტორიაში ჩანს“ ..... 78-81  
**საბავშვო „ნობოლინი“**  
 500 ფაქტი ისტორიიდან ..... 82-89  
 სპანსორლი ..... 90

## ჩვენს ხელახლოვდა სვეტი

ლევანდა პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში არსებობდა. ამ თემაზე დღესაც აქტიურად მსჯელობენ ქართველი თუ რუსი მეცნიერები და არა მხოლოდ ისინი. ამიტომაც ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ თემად სწორედ ის ვაქციეთ.

იყო თუ არა პეტრე პირველი ქართველი?

მინდა გავაწილო ის მკითხველი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ პეტრე I-ის მამად ერეკლე I-ს გამოაცხადებთ, ამით პეტრეს ქართველ მოღვაწეთა გაღვრებაში ჩაწერეთ. ამ ილუზიისგან უნდა გავთავისუფლდეთ. პეტრე I ისეთივე რუსი მმართველი იყო, როგორც ივანე მრისხანე, ეკატერინე II, ალექსანდრე II თუ ნიკოლოზ II. იგი თავისი მენტალობით, მოღვაწეობით რუსი იმპერატორია და წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს მისი ნაღვლის შეფასებისას. ამჯერად, ჩვენთვის საინტერესოა თავად ამ ლევანდის არსებობა და იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა მისი წარმოშობა. ესეც ხომ ისტორიაა.

ეს საკითხი დიდი ხანია ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, თუმცა უნდა ითქვას, რომ მასზე საუბარს სამეცნიერო წრეებში თითქმის ყველა ერიდება. სახელდება სხვადასხვა პიროვნება, რომელთაც, თითქოსდა, თავისი თვალთ ენახათ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები, მაგრამ მეცნიერული დასაბუთება დღემდე არ მომხდარა. ათასგვარ ჭორს (თუ მართალს?!) ჰყვებიან. თითქოსდა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს უთხოვია სტალინისთვის, მიეცა მისთვის პეტრე I-ის ახალგაზრდობის დროინდელი ყველა დოკუმენტის შესწავლის უფლება და იგი დამამტკიცებდა მის ქართველობას. ნიკო ბერძენიშვილს უნახავს არქივში საბუთი ამ ვარაუდის უტყუარობის დამადასტურებელი, მაგრამ მოგვიანებით ეს დოკუმენტი გამქრალა...

ჩვენ შევეცდებით თვალი გადავავლოთ ყველა იმ არგუმენტს, რომელმაც ხელი შეუწყო ლევანდის წარმოშობას. ჟურნალი „ისტორიანი“ მზად არის, ახალი მასალის აღმოჩენის შემთხვევაში კვლავ დაუბრუნდეს ამ თემას. ისტორიაში დახურული თემები არ არსებობს.

ჩვენი პატარა მკითხველის გასახარად კი უნდა აღვნიშნო, რომ „ისტორიანი“ იწყებს ახალ რუბრიკას — „საბავშვო „ისტორიანი““. დასაწყისში გამოქვეყნდება მსოფლიო ისტორიის 500 ყველაზე საინტერესო ფაქტი. აქვე ვიტყვით, რომ ვამზადებთ მსგავს გამოცემას საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებსა თუ ფაქტებსზეც.



უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიისგან, რომ თუ ვახუაგი I-ის მამად ვახუაგი I-ს გამოვასახლებთ, ამით ვახუაგს ანტიკვამოღვანეთა ბაღიჩაში ჩავნახთ

ისტორიულ-მეცნიერებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი

**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი

**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი

**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბომიშვილი**  
**ოქროპირ ჯიქური**  
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 38-13-72, 38-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 37-78-07, 38-78-70**

e-mail: istoriani@palitra.ge

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.  
**ტელ.: 38-26-73, 38-28-74, 14-09-91**

**გარეკანზე:** „იმპერატორი პეტრე დიდი“, მხატვარი ალექსანდრე ანტროპოვი (1716-1795). ტილო, 1770 წ.



## არქეოლოგიური საგანძურის გამოფენა სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმის განახლებულ დარბაზში არქეოლოგიური საგანძურის გამოფენა გაიხსნა. ექსპოზიციასზე წარმოდგენილია საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები, რომლებიც წარმოაჩენს ქართული კულტურის განვითარების გზას ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. IV საუკუნემდე.

მუზეუმის დამთავლიერებელს ქართული ოქრომჭედლობის 600-ზე მეტი უნიკალური ნიმუშის ხილვის საშუალება აქვს. მათ შორის ოქროსა და ვერცხლის სამკაულების – დიადემების, თავსამკაულების, სასაფეთქლეების, საყურეების, სამაჯურების, ძვირფასი თვლებით შემკული ყელსაბამებისა და ბეჭდების, აგრეთვე ოქროს, ვერცხლისა და მინის ჭურჭლის, მცირე ზომის ქანდაკებების, სარიტუალო დანიშნულების ნივთებისა და იარაღის.

ამ გამოფენამ ფართო საზოგადოებას პირველად მისცა შესაძლებლობა, გაეცნოს ვანში, 2004 წელს აღმოჩენილ ძვ.წ. IV საუკუნით დათარიღებულ ვერცხლის სარტყელს, ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებებს.

ექსპოზიციის ნაწილი მსოფლიოს წამყვან მუზეუმებში რამდენიმე წლის განმავლობაში მოგზაურობდა და მნიშვნელოვანი წარმატება ხვდა წილად.

ექსპონატები ამჟამად სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის განახლებულ საგამოფენო დარბაზშია გამოფენილი, რომელიც აღჭურვილია საერთო კლიმატკონტროლის სისტემით. თითოეული ექსპონატი სთავის შერჩეულია ინდივიდუალური განათება, ხოლო ნივთები განლაგებულია ექსპონატებისთვის სრულიად უსაფრთხო აკრილის მინაზე.

ენო ჯაფარიძე



# ლატვიის უკანასკნელი პრეზიდენტის საფლავს გორში იქმებენ

*გასაბჭოებამდე ლატვიის რესპუბლიკის უკანასკნელმა პრეზიდენტმა სამუდამო განსასვენებელი, საგარეულოდ, ქალაქ გორში პოვა. ამ ვერსიის ერთ-ერთი ავტორი სტალინის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი ლარისა გაზაშვილია. იგი ირწმუნება, რომ კარლის ულმანიის საფლავი გორში, კვერნაქის სასაფლაოზე, წითელარმიელთა ობელისკიდან 20 მეტრის რადიუსში უნდა მდებარეობდეს.*



ლარისა გაზაშვილმა საქართველოში ლატვიის ელჩს, ანდრის ვილცანსს მიაწოდა ინფორმაცია ლატვიის ექსპრეზიდენტის სავარაუდო განსასვენებლის შესახებ.

„დადასტურებულია ის ფაქტი, რომ კარლის ულმანიის 1942 წელს გარდაიცვალა. ლატვიური მხარე მის საფლავს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა. მე სტალინის სახლ-მუზეუმში ვმუშაობ და 1994 წლიდან მაქვს ინფორმაცია, რომ იგი გორშია დაკრძალული. ამის შესახებ თავად ლატვიური მხარის წარმომადგენლებმაც მითხრეს. ჩანს, მათაც აქვთ ინფორმაცია, რომ ულმანიის გორში დაკრძალეს.“

ლატვიური მხარის წარმომადგენლებს მესაფლავებმა აჩვენეს ეს ადგილი და იქ დაიდგა ვარდისფერი ქვა, რომლის მსგავსსაც კვერნაქის სასაფლაოზე სხვას ვერ შეხვდებით. ამ ქვაზე ლატვიური ორნამენტია ამოტივირებული, — ამბობს ლარისა გაზაშვილი.

ამის მიუხედავად, კარლის ულმანიის საფლავის ზუსტი ადგილი ამ დრომდე უცნობია. განსხვავებულია ვერსიებიც.

ინფორმაციას, რომ გასაბჭოებამდე ლატვიის უკანასკნელი პრეზიდენტის საფლავი გორშია, ადასტურებს აკაკი დარახველიძეც. იგი 1940-იან წლებში კვერნაქის სასაფლაოს დირექტორის, ვაჟა დარახველიძის შვილია და

მამისგან გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე ამბობს, რომ ლატვიის ექსპრეზიდენტის საფლავი სწორედ იმ ქვასთანაა, რომელზეც ლატვიური ორნამენტია გამოსახული. ამ ვარდისფერი ქვის გვერდით ახლა რკინის მაგიდაა განთავსებული.

**აკაკი დარახველიძე:** „მახსოვს, მამაჩემმა მითხრა, ლატვიის პრეზიდენტი აქ მარხიაო. ისიც დასძინა, მიხედვით და თუ ოდესმე მოვლენ და დაინტერესდებიან, უთხარი, რომ მისი საფლავი აქ არისო. 1942 წელს დაუმარხავთ აქ. ჰოსპიტალში წოლილა ჩვენთან და იქ გარდაცვლილა. მეტი ამის შესახებ არაფერი უთქვამს“, — ასეთია სასაფლაოს ყოფილი დირექტორის ვაჟის ვერსია.

თუმცა ინფორმაცია, რომ ლატვიის ექსპრეზიდენტი აკაკი დარახველიძის მიერ მითითებულ ადგილზეა დაკრძალული, ნაკლებსარწმუნოდ ეჩვენება ლარისა გაზაშვილს. სტალინის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი ვარაუდობს, რომ ულმანიის მითითებული ადგილიდან დაახლოებით 50 მეტრში, საერთო სასაფლაოზე უნდა იყოს დაკრძალული, სადაც გასული საუკუნის 30-50-იან წლებში უცხოელ ტყვეებსა და პოლიტპატიმრებს მარხავდნენ. მოგვიანებით კი აქ წითელარმიელთა ობელისკი დაიდგა.

მისივე ინფორმაციით, საერთო სასაფლაო-

ოზე, სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც წითელარმიელთა ობელისკია, რამდენიმე წლის წინ სპეციალური დაფაც ნახეს, რომელზეც კარლის ულმანისის სახელი, გვარი, ასევე დაბადებისა და გარდაცვალების წლები იყო მიწერილი, თუმცა ეს დაფა ამჟამად დაკარგულია.

**ლარისა ბაზაშვილი:** „სასაფლაოზე, სადაც გერმანელი ტყვეების, პოლიტპატიმრებისა და უპატრონო ჯარისკაცთა საფლავები იყო, ნახეს პატარა რკინის შავი ბოძები თავისი დაფით. გაწმინდეს დაფა და ამოიკითხეს კარლის ულმანისი, დაფაზევე იყო მითითებული მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები. ეს ინფორმაცია 1994 წელს მომაწოდეს. თუმცა მოგვიანებით, როდესაც საფლავის ძიება დაიწყო, იმ ადგილას აღარც რკინის ბოძები იყო და შესაბამისად, აღარც დაფა წარწერით. შესაძლოა ვინმემ ჯართში ჩასაბარებლად კი ამოაძრო. თუმცა ვიცი ის ადგილი, სადაც საფლავი უნდა მდებარეობდეს — წითელარმიელთა მემორიალიდან 20 მეტრში“.

კვერნაქის სასაფლაო საქართველოში ლატვიის ელჩმა ანდრის ვილცანსმაც მოინახულა. ექსპრეზიდენტის საფლავის მოძიების პროცესში ის თავადაც აქტიურად არის ჩართული. გორში ყოფნისას დიპლომატმა განაცხადა, რომ პირადად მონაწილეობდა იმ დოკუმენტების მოძიებასა და შესწავლაში, რომელიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ცენტრალური აზიის განყოფილების არქივში ინახება. ამ პერიოდში ის უზბეკეთში ლატვიის ელჩი იყო.

**ანდრის ვილცანსი:** „შეგზავდი მათ, ვინაც ექსპრეზიდენტის საფლავის გორში არსებობის შესახებ აქვთ ინფორმაცია. მაგრამ შეუძლებელია ისტორიულ ფაქტზე იმსჯელო იმის მიხედვით, რა მოგწონს და რა არა. არსებითად ეს ვერსია ახალი არ არის... ისტორიკოსები ჯერჯერობით სეკტიკურად არიან განწყობილი, რადგან, ძირითადი ვერსიით, ლატვიის ექსპრეზიდენტი კარლის ულმანისი შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის ციხეში გარდაიცვალა კრასნოვოდსკში, ამჟამინდელ თურქმენბაშიში. დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, რომელსაც უზბეკეთში ელჩობის პერიოდში გავეცანი, უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ვერსია, რომ კარლის ულმანისი თურქმენბაშიშია დაკრძალული. მაგრამ ჯერ ესეც მხოლოდ ვერსიაა, ვინაიდან საფლავი ნაპოვნი არ არის“.

კარლის ულმანისი 1877 წლის 4 სექტემბერს, კურლანდიის გუბერნიის დობელის მაზრაში დაიბადა. ის ულმანისთა ოჯახის მესამე ვაჟი იყო. 1896 წელს დაასრულა ალექსანდრეს გიმნაზია მიტავაში (ელგავა), 1897 წელს კი, სარძევე მეურნეობის კურსები ტაპიაუში, აღმოსავლეთ პრუსიაში (ამჟამად გვარდისკი, კალინინგრადის ოლქი). სპეციალობით მუშაობდა რიგასა და ლიეპაეში (ლიეპაე). 1902 წელს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე სწავლობდა ციურიხის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, შვეიცარიაში. 1903-1905 წლებში სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ლაიფციგში (გერმანია).



ლატვიის მთავრობა.  
ცენტრში — კარლის ულმანისი. 1919 წ.

სტალინის სახლ-  
მუზეუმის  
თანამშრომელი  
ლარისა გაზაშვილი  
და ლატვიის ელჩი  
ანდრის ვილცანსი  
გორში, კვერნაქის  
სასაფლაოზე

**გიორგი  
აფციაური  
ფოტო**



კარლის ულმანის ლატვიის პრეზიდენტი იყო 1936-1940 წლებში. მანამდე კი, მცირეხანიანი შესვენებებით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტი რამდენჯერმე ეჭირა: 1918-1921, 1925-1926, 1931 და 1934 წლებში. 1936-1940 წლებში ერთდროულად ეკავა პრეზიდენტისა და პრემიერის თანამდებობები.

1940 წლის 21 ივლისს, ლატვიაში საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ ულმანის თანამდებობიდან გადადგა და საბჭოთა ხელისუფლებას პენსიის დანიშვნა და შვეიცარიაში გადასვლის ნებართვა სთხოვა. თუმცა უკვე 22 ივლისს მოხდა მისი ადმინისტრაციული წესით დეპორტაცია მოსკოვის გავლით ვოროშილოვკაში (სტავროპოლი), სადაც 29 ივლისს ჩაიყვანეს.

ერთი წლის შემდეგ, 1941 წლის 4 ივლისს ულმანის დააპატიმრეს, 1942 წლის 1-ელ აგვისტოს კი თურქმენეთში, ქალაქ კრასნოოდსკში (ამჟამინდელი თურქმენბაში) გადაასახლეს. მგზავრობისას ექსპრეზიდენტი დიზენტერიით დაავადდა და გადასახლებიდან მალევე, 20 სექტემბერს გარდაიცვალა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საარქივო მასალების თანახმად, იგი ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს.

გასაბჭოებამდე ლატვიის უკანასკნელი პრეზიდენტის საფლავს ლატვიური მხარე შუა აზიაში სწორედ ამიტომ ეძებდა.

საბჭოთა კავშირის ოფიციალურად დაშლიდან ორიოდე თვით ადრე, 1991 წლის 17 ოქტომბერს, გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა ცნობა ფუგურანტების მხრიდან დანაშაულის ფაქტების არარსებობის გამო საბჭოთა პერიოდის ცალკეული საქმეების გადახედვის შესახებ. განხილულთა შორის მოხვდა ულმანის საქმეც. თუმცა ექსპრეზიდენტის საფლავის მოძიებისა და

მისი ნეშტის სამშობლოში გადასვენების მცდელობა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში წარუმატებლად დასრულდა.

ვერსია კარლის ულმანისის გორში დაკრძალვის შესახებ თუ სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ მკვლევრებს იმის დადგენაც მოუწევთ, როგორ აღმოჩნდა სტალინის მიერ შუა აზიაში გადასახლებული ლატვიის ექსპრეზიდენტი სტალინისვე მშობლიურ ქალაქში. ლარისა გაზაშვილის აზრით, გამოსაკვლევი ამ პერიოდის არქივები, სადაც შესაძლოა დაცული იყოს ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ.

**ნინო ჯაფარიძე**



სკოლის ეზოში, რომელიც ულმანისმა 1937 წლის 7 ივნისს გახსნა, 1997 წელს მისი მემორიალი დაიდგა



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი 1-დან 20 ფელისის ჩათვლით წარმოადგენს იმ ძვირფას ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში მუზეუმის კოლექციები შეიქმნა. მუზეუმის დირექტორის, გიორგი კალანდიას თქმით, ახალი ნივთები სიძველეთსაცავმა კერძო პირთა შემოწირულობებით, სპონსორთა დახმარებითა და სამინისტროს თანადგომით მიიღო.



## უნიკალური ბამოფენა საქართველოს სიძველეთსაცავში

წარმოდგენილ ნიმუშთა შორის განსაკუთრებული გამოირჩევა XV-XVI საუკუნეების ლათინური ხელნაწერი ნოტები, რომელთაც საქართველოში ანალოგი არ მოეპოვება. ორგანისთვის შექმნილ საგალობელთა ნოტები პერგამენტზეა შესრულებული, გაფორმებულია საზედაო ასოებითა და ნეუმებით. ხელნაწერი მსოფლიოში მუსიკისა და სანოტო ხელოვნების განვითარების ისტორიას ასახავს.

არანაკლებ საყურადღებოა 1845 წელს ტყაყისგან დამზადებული ინდონეზიური ე.წ. ვაიანგის ანუ შუქრდილების სათამაშო.

ვაიანგი მარიონეტების თეატრის მსოფლიოში ყველაზე ძველი და პოპულარული ფორმაა. შუქრდილების წარმოდგენით XIX საუკუნის საქართველოშიც ყოფილან გატაცებული. მსგავსი ექსპონატი მუზეუმის დამარსებელ დავით არსენიშვილის კოლექციაშიც ინახებოდა, თუმცა საბჭოთა პერიოდში იგი გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა. იდენტური

ექსპონატი სამინისტროს თანადგომითა და გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, მაკა ბაუერის დახმარებით მუზეუმმა წლეულს საფრანგეთში შეიძინა.

მუზეუმი პირველად გამოფენს ბაგრატიონებისა და ორბელიანების საგვარეულო ძვირფას მემორიალურ ალბომებს. ხელოვნების ეს ნიმუშები გაფორმებულია ვერცხლისა და ოქროს ორნამენტებით და დამშვენებულია ქართული სამეფო ატრიბუტიკით.

პრეზენტაციაზე დამთვალიერებელს საშუალება აქვს იხილოს თეატრ „ნაბადის“ ისტორიის ამსახველი უნიკალური წიგნი, რომელიც ნაბადისა და ძვირფასი ქსოვილებისგან არის დამზადებული. იგი მუზეუმს წიგნის ავტორმა უსასყიდლოდ გადასცა.

აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მსახიობის, ნატო ვაჩნაძის ზარდაზმა, რომელიც XVIII საუკუნის ხელოვნების ძვირფას ნიმუშს წარმოადგენს. იგი ვენეციური მინისგან საფრანგეთშია დამზადებული.

გამოფენილია XVIII საუკუნის II ნახევრის იტალიური მხატვრობის სტილში შესრულებული ტილო, სახელწოდებით „მძინარე ბავშვები და მლოცველი“. ნახატი ჩასმულია ოქროთი დაფერილ ძვირფას ჩარჩოში. გადმოცემის მიხედვით, ნამუშევარი გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგისა და აგრაფინა ჯაფარიძის კოლექციაში ინახებოდა. მოგვიანებით მათ სასახლეში თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი განთავსდა.

ნინო ჯაფარიძე



# პეტრე I-ის ქართველობა

## ფაქტები და პერსიები

არცთუ შორეულ წარსულში (სამწუხაროდ, ზუსტ თარიღს ვერ ვიხსენებ) იმ დროისთვის პოპულარულ ჟურნალ „ნიანგის“ ერთ-ერთ ნომერში მრავლისმეტყველ კარიკატურას წააწყდი, რომელზეც „ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბითა“ და „პატვისაცემი და პატვიცემული ღიპით“ დამშვენებული ორი ქართველი და მათი დიალოგი აღებეჭდათ. ერთ-ერთს საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები ეჭირა ხელში. ანეკდოტის შინაარსი დაახლოებით ასეთი გახლდათ: წიგნებით დატვირთულ „დარბაისელ“ ქართველს მეგობარი ეკითხება: — რა იყო, გამოცდაზე ხომ არ მიდიხარ, რად გინდა ამდენი წიგნი? მეორე კი უხსნის: — სადამოს ახლობლის ვაჟის ქორწილში ვარ თამადად დაპატიჟებული და უნდა წავივარჯიშო.

სამწუხაროდ, ისტორიისადმი ჩვენი საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულებას ეს შარჟი შესაფერისად ასახავდა. „სუფრის პატრიოტიზმმა“ მხოლოდ დააზარალა ისტორიული მეცნიერება და ნაწილობრივ მისი განვითარება შეაფერხა. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ 2006 წელს გამოცემული სოსო მარგიშვილის წიგნი „მითი და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“. ავტორმა „გაბედა“ და დიდგორის ბრძოლაზე ახლებური შეხედულება შემოგვთავაზა. მან ეჭვქვეშ დააყენა მებრძოლ მხარეთა რიცხოვნობა, ასევე ბრძოლის მიმდინარეობა და სხვ. პირადად მე ავტორის უამრავ დასკვნას არ ვეთანხმებოდი და შესაბამისად კრიტიკული წერილითაც ვუპასუხე ამ მონოგრაფიას, მაგრამ იმავედროულად, აღმშფოთებელი იყო საზოგადოების ნაწილის რეაქცია, რომელიც გააღიზიანა არა მეცნიერის დასკვნებმა, არამედ იმან, რომ ვიდაცამ ეჭვი შეიტანა არსებულ შეხედულებებში — როგორ გაბედეს და თქვეს, რომ დიდგორზე მუსლიმთა კოალიცია 400 ათას მეომარს კი არ შეადგენდა, არამედ ის მხოლოდ 30 ათასი იყო. ავტორზე გაბრაზებული „პატრიოტები“ მთხოვდნენ აღმენიშნა, რომ ქართველებმა 8-10-ჯერ უფრო მეტი მოწინააღ-



მდევე დაამარცხეს. დავით აღმაშენებლის შერაცხეოფად მიიხინეს ბრძოლის ლოკალიზაციის ავტორისეული ვარაუდი (როგორც ჯარის რიცხოვნობის საკითხზე, ასევე ბრძოლის ადგილის დადგენაში ჩვენ სოსო მარგიშვილის ვარაუდს არ ვინიარებდით). მას მიაჩნდა, რომ ბრძოლა დიდგორზე კი არ მოხდა, არამედ ვერეს ხეობაში და რომ ქართველები ილ-ღაზის ლაშქარს მარშირებისას დაესხნენ თავს. როგორ — ჩასაფრებით, ქურდულად დაესხა დავითი მტერს? ეს შეუძლებელია! — ასეთი გახლდათ პათოსი საზოგადოების ერთი ნაწილისა. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ურაპატრიოტიზმი მეცნიერებას მხოლოდ აზარალებს. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე კი ის არის, რაც დღეისთვის გამოიკვეთა — სწრაფვა სენსაციებისკენ. ხშირად, მეცნიერება ასეთი „საუკუნეებისა“ თუ „ათასწლეულების აღმოჩენათა“ მსხვერპლი ხდება. საზოგადოდ, ნდობა ისტორიისადმი საგანგამოდ მცირდება. თუმცა კი მინდა დავამშვიდო ჩვენი ძვირფასი მკითხველი, რომ ისტორიული მეცნიერება სენსაციების მაძიებელი არ არის.

იმავდროულად არის თემები, რომლებიც საზოგადოებას აინტერესებს და პასუხს ითხოვს. ისტორიკოსი ვალდებულია, არგუმენტირებულად უპასუხოს ყოველ ასეთ კითხვას, თუნდაც ეს პასუხი საზოგადოებისთვის მიუღებელი იყოს. საკითხი, რომელზედაც ამჯერად ვისაუბრებთ, იმათ რიცხვს განეკუთვნება, რომელზეც აქტიურად მსჯელობენ ქართველი თუ რუსი საზოგადოების წარმომადგენლები. ამიტომაც ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ თემად სწორედ ის ავირჩიეთ.

იყო თუ არა რუსეთის იმპერატორი პეტრე I ქართველი?

ეს საკითხი დიდი ხანია ქართველი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, თუმცა უნდა ითქვას, რომ მასზე საუბარს სამეცნიერო წრეებში თითქმის ყველა ერიდება. სახელდება სხვადასხვა პერსონა, რომელთაც თითქოსდა საკუთარი თვალთ ენახათ ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები, მაგრამ მეცნიერული დასაბუთება დღემდე არ მომხდარა. ათასგვარ ჭორს (თუ მარათლს?!) ჰყვებიან, რომ ვითომდა შალვა ნუცუბიძეს უთხოვია სტალინისთვის, მიეცა მისთვის პეტრე I-ის ახალგაზრდობის დროინდელი ყველა დოკუმენტის შესწავლის უფლება და ის დამამტკიცებდა მის ქართველობას. ნიკო ბერძენიშვილს უნახავს არქივში ამ ვარაუდის უტყ-



*ერეკლე I-ის ჩვენამდე მოღწეული ორი გამოსახულება*



უარობის დამადასტურებელი საბუთი, მაგრამ მოგვიანებით ეს დოკუმენტი გამქრალა და სხვ. ყველა მოსაზრებას ამჯერად არ შევხებით. ზოგიერთ მათგანზე ჟურნალის წინამდებარე ნომრის სხვა სტატიებში საუბრობენ და განმეორებისგან თავს შევიკავებთ.



პეტრე I



დიდი მეცადინეობა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელსაც აწუხებს ეს თემა. ამის დასტურია როგორც საინფორმაციო ინტერნეტსაიტები, ასევე ინტერნეტფორუმები. რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, პეტრე I-ის ქართველო-

ბის საკითხს რუსეთში ჰყავს მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც.

ხშირად რუსულენოვანი ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედია იუმორით უყურებს ამ თემას, თუმცა შიგადაშიგ ჩნდება შედარებით სერიოზული სტატიები. ერთ-ერთ რუსულენოვან ინტერნეტბლოგ [livejournal.com](http://livejournal.com)-ზე გამოქვეყნდა სტატია „პეტრე I და ერეკლე I“. ავტორის თქმით, მას აინტერესებდა გადაემოწმებინა პეტრეს ქართული წარმომავლობის ლეგენდა და ერთგვარი ექსპერიმენტი მოაწყო. ერთმანეთს შეუდარა პეტრეს თანადროული სურათები და მისი სავარაუდო მამის, ერეკლე უფლისწულის გამოსახულება. იქვე ავტორი დასძენს: „მე არ ვარ ექსპერტი კრიმინოლოგიაში, მაგრამ, ჩემი აზრით, მსგავსება მართლაც დიდია“.

რუსულენოვან ინტერნეტფორუმებზე (<http://forum.for-ua.com>; <http://forum.inosmi.ru> და სხვ.) აქტიურად იხილავენ თემას: *Грузинские корни российского императора Петра Первого*. შინაარსი ამ ფორუმებზე გამოქვეყნებული სტატიებისა დაახლოებით ასეთია: პეტრეს დაბადებიდან ერთი წლით ადრე მეფე ალექსეი მიხაილოვიჩი მძიმედ ავადმყოფი იყო და ამიტომ ბოიარებმა დედოფალთან სამეფო სისხლის უფლისწული ერეკლე „მიუშვეს“. საბჭოთა ისტორიოგრაფია ფარავდა ინფორმაციას პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ. არის გადმოცემა, თითქოს სტალინს უთქვამს, — დავუტოვოთ მათ ერთი „რუსი“ მაინც, რომლითაც იამაყებენო. აგრეთვე არსებობს ცნობა, როცა ცნობილი მწერალი ალექსეი ტოლსტოი მუშაობდა რომანზე „პეტრე I“, მას ხელთ ჩაუვარდა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც დაუყოვნებლივ გააცნო იოსებ სტალინს, თუმცა საბჭოთა ლიდერმა საიდუმლოების შენახვა უბრძანა. ამასთანავე, როგორც ამბობდნენ, არსებობდა წერილები, რომლებიც ადასტურებდნენ პეტრეს ქართულ წარმომავლობას, მაგრამ ეს დოკუმენტები სტალინის მმართველობის დროს გაქრა.

არსებობს სხვა დოკუმენტური მასალაც. მაგალითად, პეტრე დიდის დის, სოფიას წერილი თავად გოლიცინისადმი: „არ შეიძლება ძალაუფლება მიეცეთ ბასურმანს“. მოგეხსენებათ, „ბასურმანი“ ძველი რუსული სიტყვაა და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა ურჯულო, ანუ ამ შემთხვევაში უცხოელია.

რუსული ელექტრონული მედიის სრული



პეტრე I-ისა და ფრანც ლეფორტის ძეგლი



ნატალია კირილოვნა ნარიშკინა (1651-1694)

მიმოხილვა დღეისთვის ჩვენს მიზანს სცილდება. მაგრამ, როგორც რუსები იტყვიან, *дыма без огня не бывает*. პეტრე I-ის წარმომავლობაზე მის სიცოცხლეშიც უამრავი ლეგენდა არსებობდა. იმასაც ამბობდნენ, თითქოს სიკვდილის წინ დედოფალ ნატალია ნარიშკინას პეტრესთვის გაუმჟღავნებია, რომ ის მისი შვილი არ იყო და შეუცვალეს. XVIII საუკუნის I მეოთხედში ყველაზე გახმაურებულ და საზოგადოებისთვის საჭირაო თემას წარმოადგენდა პეტრეს გერმანული წარმომავლობა. მის მამად ფრანც ლეფორტს მიიჩნევდნენ. ეს ვარაუდი ეფუძნებოდა მხოლოდ ფრანცისა და პეტრეს გარეგნულ მსგავსებას. ოფიციალური ცნობებით, ლეფორტი 1655 წელს იყო დაბადებული და 1672 წლისთვის საერთოდ არ იმყოფებოდა რუსეთში.

ნატალია კირილოვნა ნარიშკინა (1651-1694) გათხოვებისას იყო 19 წლის. მისი მეუღლე ალექსეი მიხაილოვიჩი (1629-1676) მასზე 22 წლით უფროსი გახლდათ. თუნდაც ამ ფაქტმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მაგრამ ყველაზე მთავარი აქ იყო ის, რომ თვით მეფის ქალიშვილებმა (პირველი ცოლისგან) არ მიიღეს მომავალი დედოფალი. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ედგოკია ალექსეევნა (დაბ. 1650 წ.) და მართა ალექსეევნა (დაბ. 1652 წ.) ნატალიას თანატოლები იყვნენ. ამიტომაც, ნარიშკინას ქალის გამოჩენა რომანოვების სამეფო ოჯახში თავიდანვე უარყოფითად აღიქვეს. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ნატალიას გარშემო ჭორების აგორებისთვის მასთან დაპირისპირებულ ალექსეი მიხაილოვიჩის შვილებს შეეწყობოდა ხელი.

როგორც ითქვა, ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, რუსეთის პირველი იმპერატორის მამად ქართველი უფლისწული ერეკლე ბატონიშვილია დასახელებული. ერეკლე I-ის დაბადების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. მამამისი დავითი თეიმურაზ I-ის ვაჟი იყო. ამ უკანასკნელის იმერეთში გადასვლის შემდეგ ერეკლე ბატონიშვილიც დასავლეთ საქართველოში იზრდებოდა. 1652 წელს ერეკლე I რუს ელჩებს, ტოლოჩანოვსა და ივლეკს უნდა წაეყვანათ რუსეთში, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რის გამოც თეიმურაზ I-მა საყვედურის წერილი მისწერა ალექსეი მიხაილოვიჩს. ერეკლე უფლისწული და დედამისი მოსკოვში 1653 წლის 27 დეკემბერს ჩავიდნენ. ამაღლის ნაწილი გზაში დაქოცაოთ ყუბუხთა თავდასხმისას.

1662 წელს ერეკლე მცირე ხნით სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მალევე მოუწია მოსკოვში გაბრუნებამ. ერეკლეს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა ალექსეი მიხაილოვიჩთან. მოსკოვში იგი ნიკოლოზის სახელით იყო ცნობილი. ხშირად მონაწილეობდა მეფესთან ერთად ლაშქრობებში. ალექსეი მიხაილოვიჩისა და ნატალია ნარიშკინას ქორწილში კი ერეკლე საპატიო მოვალეობას ასრულებდა, ქორწილის მესტუმრე იყო, ანუ სტუმრების მიღებას ხელმძღვანელობდა. 1672 წელს შედგენილ რუსეთის სამეფოს „ტიტულარნიკში“ მოცემულია რუსეთის მეფის თანამედროვე მსოფლიოს 22 მონარქის მინიატიურა, მათ შორისაა ერეკლე უფლისწული. მაგრამ 1674 წლის შემდეგ ვითარება შეიცვალა და ერეკლე I-ს რუსეთი დაატოვებინეს.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ერეკლე I-ის პეტრეს მამად გამოცხადებას მწყობრად არ გუშემნტირებული სახე არ გააჩნია. საზოგადოებაში ხშირად მოისმენო, პეტრეს მამა იმდენად დაუძლურებული იყო (ამას ხსნიან ხან მეფის წლოვანების მოშველიებით, ხანაც მისი ავადმყოფობით), რომ შვილი არ შეეძინებოდაო. მაგრამ მთელ ამ კონცეფციას სერიოზულ პრობლემას უქმნის ის ფაქტი, რომ რუსეთის მეფეს ალექსეი მიხაილოვიჩს ნატალია ნარიშკინასთან ჰყავდა არა ერთი შვილი, არამედ სამი: პეტრე (დაბ. 1672 წ.), ნატალია (დაბ. 1673 წ.) და თეოდორა (დაბ. 1674 წ.). მართალია, ეს უკანასკნელი 4 წლისა გარდაიცვალა, სამაგიეროდ, ნატალიამ 1716 წლამდე იცოცხლა და ძმასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ამდენად, ვარაუდი, რომ ალექსეი მიხაილოვიჩი მოხუცი იყო და შეუძლებელია შვილი შეეძინოდა, მოკლებულია დამაჯერებლობას. ჯერ ერთი, ალექსეი მიხაილოვიჩი 1629 წელს იყო დაბადებული და პეტრეს ამქვეყნად მოვლინებისას 43 წლისა იყო მხოლოდ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, რუსეთში მეფის ავადმყოფობისა და უძლურების შესახებ ჭორები არსებობდა და ამის დამალვა შეუძლებელია. არადა, ალექსეი მიხაილოვიჩის ამ ხმების გავრცელების საბაბი მართლაც არ უნდა მიეცა. მას 16 შვილი ჰყავდა. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პეტრესა და მისი ღვიძლი დის, ნატალიას გარდა, თითქმის ყველა ავადმყოფი იყო, განსაკუთრებით ვაჟები. პირველი ცოლისგან მეფეს შეეძინა ხუთი ვაჟი: დმიტრი გარდაიცვალა რამდენიმე თვისა 1649 წელს;



თეიმურაზ I



ნატალია ალექსეევნა, პეტრე I-ის და



პეტრე I-ის ძმა ფიოდორი



პეტრე I-ის ძმა ივანი

ალექსეი უეცრად გარდაიცვალა 16 წლისა; ფიოდორს ერთდროულად სჭირდა დამბლა და სურაგანდი და 21 წლისა გარდაიცვალა. დაბადებიდან სწეული სიმონი 4 წლისა მოკვდა; ივანი ასევე ბავშვობიდან აუადმყოფი იყო. გონებრივად შეზღუდულმა უფლისწულმა მხოლოდ 30 წლამდე მიაღწია. აქვე ვიტყვით, რომ ალექსეი მიხაილოვიჩის ათი ქალიშვილიდან არც ერთი არ გათხოვილა, მიუხედავად იმისა, რომ პეტრეს შვიდმა დამ დიდხანს იცოცხლა. ამასაც თავისი მიზეზი უნდა ჰქონოდა. როგორც ვხედავთ, ალექსეი მიხაილოვიჩის ვაჟებიდან ჯანმრთელი და დღევრძელი მხოლოდ პეტრე გამოდგა. როგორც ჩანს, სამეფო კარზე ამ აშკარა განსხვავებას ხედავდნენ...

ბუნებრივია, ამჯერად ყველაფერს ვერ მიმოვიხილავთ. ფაქტი ერთია, ლევენდა პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში არსებობდა და ეს უკვე საინტერესოა ისტორიისთვის. სხვათა შორის, ამას არც რუსი ავტორები მალავენ. მუსიკათმცოდნე და მათემატიკოსი სერგეი დიანინი წერდა, რომ არჩილ მეფეს სურდა, თავისი ასული რომელიმე დიდგვაროვანი პირისთვის მიეთხოვებინა და ამით თავისი მემკვიდრისთვის (ასულის ხაზით) საქართველოზე გამგებლობის უფლება შეენარჩუნებინა. ამის შესახებ მმართა კიდევ თხოვნიტ პეტრე დიდს. არჩილის ამ განზრახვას წინ აღუდგა პეტრე I, რომელიც „თავის თავს ქართლის მეფეთა მემკვიდრედ თვლიდა“. საბჭოთა პერიოდში ისტორიკოსმა მიხეილ გონიკოშვილმა ს. დიანინის ამ ციტატის მეშვეობით შეფარვით აქცენტი გააკეთა პეტრე I-ის ქართველობაზე, მაგრამ ამაზე შორს ქართველი მკვლევრები არ წასულან.

მინდა გაუწილო ის მკითხველი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ პეტრე I-ის მამად ერეკლე I-ს გამოვაცხადებთ, ამით პეტრეს ქართველ მოღვაწეთა გაღვრებაში ჩაეწერთ. ამ ილუზიისგან უნდა გავთავისუფლდეთ. პეტრე I ისეთივე რუსი მმართველი იყო, როგორც ივანი მრისხანე, ეკატერინე II, ალექსანდრე II თუ ნიკოლოზ II. ის თავისი შეგნებითა და მსოფლმხედველობით რუსი მეფეა და მის წარმომავლობას მნიშვნელობა არ აქვს მისი მოღვაწეობის შეფასებისას. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა თავად ამ ლევენდის არსებობა და იმის დადგენა, თუ რამ განაპირობა მისი წარმომობა. ესეც ხომ ისტორიაა.

ჯაბა სამუშია

# „იყო ჩრდილოეთს ხელმწიფე...“

რატომ არ ისურვა  
სტალინმა პეტრი  
პირველის  
ქართველობის  
სამზიოზე ბამობანა...

იყო ჩრდილოეთს ხელმწიფე,  
თეთრი რუსეთის მჭირველი,  
თვითმპყრობელობის მიმღები,  
პეტრედ ცხებულის პირველი.

ასე წერდა ქართლის ჭირითა და  
უიმედობით შეძრული დავით გურამიშ-  
ვილი და საქართველოს „ხსნას“ ისიც  
რუსეთის დიდი იმპერატორის მსგავსა  
შემწვობით მოელოდა... თუმც კი დავით  
გურამიშვილს იმ დროს მოუწია  
მოსკოვს ჩასვლამ, როცა პეტრე  
პირველი უკვე ოთხი წლის გარდაც-  
ვლილი იყო, მაგრამ დიდი იმპერატო-  
რის სახელი ისევ ქუხდა რუსეთის  
ძლევამოსილ იმპერიაში.

რუსეთის ისტორიაში პეტრე პირველი აღი-  
არებულა უძლიერეს მეფე-იმპერატორად,  
ასევე უპირველეს სახელმწიფო მოღვაწედ და  
სარდლად. იგი იყო მეფე ალექსეი მიხაილო-  
ვიჩის ერთადერთი ვაჟიშვილი მეორე ქორწი-  
ნებიდან (ნატალია ნარიშკინასგან).

სახელი პეტრე ბერძნულად ნიშნავს  
კლდეს, ქვას (როგორც ცნობილია, პეტრე ანუ  
კლდე ზედწოდება გახლდათ იესო ქრისტეს  
უახლოეს მოწაფე სიმონისა. სიმონმა ეს წო-  
დება თვით იესოსგან მიიღო). ამდენად, სახე-  
ლი პეტრე ღვთიური მადლით იყო ცხებული.

პეტრე პირველი თავადაც კლდეაგვით მა-  
გარი და მტკიცე იყო, გამჭრიახი, განსაცვიფ-  
რებელი ნებისყოფით დაჯილდოებული, რაც  
სრულად გამოვლინდა მისი იმპერატორობის  
წლებში. გარშემო შემოკრებილი ჰყავდა ნი-  
ჭიერი, ერთგული მოღვაწენი, რომელთა შო-



პეტრე I-ის ძველი სანქტ-პეტერბურგში

რის ერთ-ერთი ღირსეულთაგანი გახლდათ  
ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე, არჩი-  
ლის ვაჟი. იგი თან ახლდა პეტრე პირველს  
საზღვარგარეთ, თავის დროზე შესაფერის გა-  
ნათლებამიღებულს არ გასჭირვებია რუსული  
არტილერიის პირველი სარდლის პოსტზე  
დგომა.

რუსეთის დიდ იმპერატორზე სხვადასხვა  
ჯანრის არაერთი ნაწარმოები, წიგნი და მო-  
ნოგრაფია შეიქმნა. მათში გაშუქებულია იმ-  
პერატორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის  
მრავალწახნაგოვანი ასპექტები. მხატვრულ  
ნაწარმოებთა შორის გამორჩეულია რუსი  
მწერლის, ალექსეი ტოლსტოის რომანი-ეპო-  
პეა „პეტრე პირველი“. თავის დროზე ეს ნა-  
წარმოები უახლეს რუსულ მწერლობაში უმ-  
ნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარეს. რომან-  
ში ავტორი ცდილობს რუსი ხალხისა და რუ-





იოსებ სტალინი

სეთის სახელმწიფოებრიობის საიდუმლოება-თა ამოხსნას. რომან-ეპოპეა ორ წიგნად გამოიცა გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, მესამე წიგნი კი მწერალს დაუმთავრებელი დარჩა.

პირველი წიგნი მოიცავს დიდ ეპოქას — პეტრეს ბავშვობიდან დაჯიქვამდე.

ჩვენთვის საინტერესოა პეტრეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი, კერძოდ, მისი გენეტიკური წარმომავლობა. რომანში ეს ე.წ. საიდუმლოება გახსნილი არ არის. გავრცელებული ვერსიით (შესაბამისი საარქივო მასალებისა და დოკუმენტური წყაროების მიხედვით), რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის პირველი მეუღლე უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა. პირველ ქორწინებაში შეძენილი ვაჟები სწეულნი იყვნენ, 41 წლის მეფეს კი ჯანმრთელობა გაუუარესდა და ღრმად მოხუცს ჰგავდა. სამეფო ტახტს შთამომავალი არ ჰყავდა, ამიტომ პატრიარქ ნიკონის დაჟინებული მოთხოვნით, მეფე მეორედ დაქორწინდა 20 წლის თავადის ასულ ნატალია ნარიშკინაზე. ნატალიასთან, მის რუსეთის დედოფლად გახდომამდე, „მეგობრობდა“ ახალგაზრდა ქართველი უფლისწული ნიკო-

ლოზი (ერეკლე). იგი კახთა მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟის, დავითის ძე იყო. პაპამ, თეიმურაზმა რუსეთის მეფის კარზე გაგზავნა. იქიდან დაბრუნებული ჯერ ქართლში მეფობდა, შემდეგ კახეთში (ერეკლე I), ბოლოს კი შაჰის სარდალიც გახდა და ნაზარალი-ხანი უწოდეს.

რადგან რუსეთის მეფეს შთამომავალი აღარ ეყოლებოდა, პატრიარქ ნიკონის „არჩევანი“ სწორედ ქართველ ბატონიშვილზე შეჩერდა — ბაგრატიონთა სამეფო გვარის შთამომავალს უნდა „გადაერჩინა“ რუსეთის სამეფო ტახტი უძეობისგან. პატრიარქ ნიკონის აზრით, ეს იყო პოლიტიკური თვალსაზრისით გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი. ამგვარად, ქვეყანას მოველინა რუსეთის ყველა დროის უდიდესი იმპერატორი, რომლის ძარღვებში ქართველ ბაგრატიონთა სისხლი ჩქეფდა. თუმცა, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, იცოდა თუ არა თავად პეტრე პირველმა თავისი წარმომავლობის საიდუმლო.

გავიხსენოთ ალექსეი ტოლსტოის რომანიდან ერთი ეპიზოდი:

„როდესაც მეფე ალექსეი მიიცივალა, პატრიარქმა ნიკონმა ყველას გასაგონად გამოაცხადა: „ვიგლოვოთ, დიდებულებო“, შემდგომ კი მრავალრიცხოვან შეკრებილთ მიმართა: „მეფის ძეთაგან რომელი აბრძანდეს ტახტზეო“. არჩევანი დადგა: პეტრე თუ ივანე? უმეტესობა პეტრეს ირჩევდა, არავის უნდოდა ჭკუასუსტი ივანეს მეფობა.

თუმცა მრისხანებას ვერ ფარავდა მეფის ასული სოფიო, რომელსაც სძულდა დედინაცვალი, რუსეთის დედოფალი ნატალია ნარიშკინა. მან მოუწოდა თავის მომხრეთ: „ნუ შეშინდებით, შუბის წვერზე ააგეთ ჩემი მტრები, ნარიშკინები! ნუ შეშინდებით და ტახტიდან ჩამოაგდეთ ის ბიჭი (ე.ი. პეტრე, მისივე ნახევარძმა), იმ ბიჭის ლეკვი“.

ამგვარად, უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი: ვინ აეყვანათ სამეფო ტახტზე. ერთის დედა ნარიშკინის ქალი იყო, ხოლო მეორესი — მილოსლავსკისა. ივანეს მომხრეთა მხრიდან გაიძახოდნენ: „რაზმის უფროსები მოგვეცით. ჩვენ თვითონ განვსჯით... სამრეკლოდან დაუშვებთ თავდაყირა, — გაპყვიროდნენ მოსულეები და მრისხანებდნენ, — რას ფიქრობდნენ ზევით დიდებულნი? რად დაგვინიშნეს მეფედ პაწია პეტრე, ნარიშკინების ბუში?“

თუმცა კი ჭკუასუსტ ივანეს ყრმა, მაგრამ ჯანსაღი პეტრე არჩიეს...

ეს ამონარიდები რომანიდან ძალიან მრავლისმეტყველი დეტალებია და იქნებ სწორედ აღნიშნულმაც გაამყარა ის გახმაურებული ვერსია, რომლის მიხედვით, პეტრე პირველი წარმომავლობით ქართველი ბაგრატიონია.

სხვათა შორის, აღნიშნულთან დაკავშირებით სრულიად შემთხვევით ერთ მეტად საინტერესო ფაქტს წავაწყდით. გასული საუკუნის 80-იან წლებში კურორტ ჯავის სანატორიუმში ვისვენებდით, სადაც გავიცანი მუსიკის-მცოდნე, პროფესორი პაულე ხუჭუა, რომელმაც ქართველთა ერთ ჯგუფს აი, რა „გაგვიმხილა“:

„მოსკოვში, ასპირანტურაში რომ ვსწავლობდი, ერთი რუსი ინტელიგენტის ოჯახში მოვხვდი. იქ მოწვეულ მწერალთა და ხელოვანთა შორის აღმოჩნდა ცნობილი რუსი მწერალი ალექსეი ტოლსტოი. მწერალმა ყველას გასაგონად და გულდიად განაცხადა: — რომან „პეტრე პირველზე“ მუშაობისას მოვიძიე

უამრავი საარქივო მასალა და ისტორიული დოკუმენტი, საიდანაც იკვეთებოდა აზრი, რომ პეტრე უნდა იყოს წარმოშობით ქართველი, ბაგრატიონთა შთამომავალი... მე მსურდა აღნიშნული მასალების რომანში გამოყენება. საამისოდ რჩევა-კონსულტაციისთვის მივმართე იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინს. მან გულდასმით მომიხმინა და ბოლოს გადაწყვეტით მითხრა: არ გირჩევთ ამ ფაქტების სამზეოზე გამოტანასო“.

ამდენად, ალექსეი ტოლსტოის რომანში მხოლოდ ქვეტექსტებით თუ იგრძნობა, რომ პეტრე პირველი მეფე ალექსეის ღვიძლი შვილი არ არის.

საინტერესოა, რატომ აარიდა თავი რუსეთის მეორე პეტრე პირველად წოდებულმა იოსებ სტალინმა ამ ფაქტის გამოშვებებს. ვინ იცის — საბჭოთა იმპერიის დიდ ბელადს არ უნდოდა კიდევ ერთი „დიდი ქართველის“ — პეტრე პირველის ჩრდილში ყოფნა...

**სიმონ არველაძე,  
დარბიჯან არველაძე**



# იყო თუ არა პეტრი I ქართველი?..

*დიდი ხანი გრძელდება მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თუ ვინ იყო რუსეთის იმპერატორის, პეტრე დიდის (1682-1725) მამა. თავის დროზე ჭორად მოარულმა ინფორმაციამ თანდათან ისტორიოგრაფიაშიც გადაინაცვლა. ვინ იყო პეტრეს ნამდვილი მამა, ეს საიდუმლო საფლავეში თან წაიღო მისმა დედამ ნატალია ნარიშკინამ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, სადღეისოდ ცნობილი დოკუმენტებისა და მასალების ანალიზის საფუძველზე გამოთქვათ ვარაუდი ზემოხსენებულ საკითხზე. გვესაუბრება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი პავსტანო გურული.*



— ბატონო ვახტანგ, საიდან გაჩნდა ვერსია პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ?

— მიჩნეული იყო, რომ ვერსია პეტრე I-ის ქართული წარმომავლობის შესახებ ქართველებმა შექმნეს. ყოველ შემთხვევაში, რუსებს დღესაც ასე სჯერათ. სინამდვილეში ეს ვერსია რუსული წყაროებიდან იღებს სათავეს. 1689 წელს რუსეთის ისტორიაში მოხდა გაუგონარი ამბავი. იმხანად რუსეთში მეფის საყრდენ ძალას წარმოადგენდა ე.წ. სტრელცების (მსროლელთა) ჯარი. სტრელცებს მეფის დაცვა ევალებოდათ. ისინი ძირითადად დედაქალაქში, მოსკოვში იყვნენ განლაგებული. სრულიად მოულოდნელად, 1689 წლის 7-8 აგვისტოს ღამით, სტრელცები მოსკოვიდან აიყარნენ და მახლობელ სოფელში მყოფი პეტრე I-ის მოსაკლავად გაემართნენ. დიდხანს აუხსნელი იყო, რამ გააბოროტა მეფის მიმართ ასე სტრელცები. პეტრე სიკვდილს გადაურჩა. მოგვიანებით გაირკვა, რომ სტრელცებთან 7 აგვისტოს, საღამოს, მივიდა პეტრეს ნახევარდა, მეფე ალექსეის ქალიშვილი პირველი ცო-

ლისგან, სოფიო და აუწყა მათ, რომ რუსეთის ტახტზე ავიდა არა მამამისის, მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის კანონიერი შვილი, არამედ ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზისა და მეფე ალექსეის მეორე ცოლის, ნატალია ნარიშკინას უკანონო შვილი პეტრე. სოფიო ტახტისთვის იბრძოდა, მაგრამ ქალი ტახტზე ვერ ავიდოდა, სანამ ვაჟი შემკვიდრე, ანუ პეტრე ცოცხალი იყო. კონკურენტის გზიდან ჩამოსაცილებლად სოფიოს სამეფო ოჯახისთვის მეტად სამარცხვინო საიდუმლო საქვეყნოდ უნდა გამოეცხადებინა, რადგან მითქმა-მოთქმითა და ჭორებით პეტრეს გზიდან ვერ ჩამოიშორებდა.

— რომელ ქართველ ბატონიშვილს გულისხმობდა პეტრეს ნამდვილ მამად სოფიო?

— ის, ვისაც რუსული წყაროები ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზად მოიხსენიებენ, იყო კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ვაჟის, დავითის შვილი ერეკლე, შემდგომში ჯერ ქართლის მეფე (1688-1703 წწ.), ხოლო შემდეგ კახეთის მეფე ერეკლე I (1703-1709), მოგვიანებით კი შაჰის გვარდიის სარდალი — ნაზარალი-ხანი.

ბატონიშვილ ერეკლეს ბაბუამ, თეიმურაზ I-მა რუსეთის მეფის, ალექსეი მიხაილოვიჩის (1645-1676) კარზე გაგზავნა, სადაც მან ოც წელიწადს დაყო. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მეფე ალექსეი მიხაილოვიჩთან და საერთოდ, რუსულ არისტოკრატიასთან. მოხდენილი გარეგნობის ქართველი ბატონიშვილი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუს ქალბატონთა შორის. მან მეფე ალექსეის მეორე ცოლი, დედოფალი ნატალია ნარიშკინა მანამდე გაიცნო, სანამ იგი მეფის კანონიერი თანამეცხედრე გახდებოდა. ნატალია ნარიშკინა იზრდებოდა თვისი ნათესავის, გავლენიან თავად არტამონ მატვეევის ოჯახში. იმ დროს, როცა ნატალია და ერეკლე ერთმანეთს დაუახლოვდნენ, ცხადია, ვერავინ იფიქრებდა, რომ ნატალია რუსეთის დედოფალი გახდებოდა. არტამონ მატვეევი დაინტერესებულიც კი იყო, რომ მისი ნათესავი კახეთის მეფის შთამომავალს გაჰყოლოდა ცოლად. ასე რომ, იმ დროს, ერეკლე ბატონიშვილისა და ნატალია ნარიშკინას ინტიმური ურთიერთობა დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენდა.

— როგორ გახდა ნატალია ნარიშკინა მეფე ალექსეის კანონიერი თანამეცხედრე და რუსეთის დედოფალი?

— 1669 წლის 3 მარტს გარდაიცვალა მეფე ალექსეის პირველი მეუღლე, დედოფალი მარია მილოსლავსკაია. პირველი ქორწინებიდან ალექსეის ჰყავდა ხუთი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი. მეფის ხუთივე ძე დაბადებიდანვე



ნატალია  
ნარიშკინა

ავადმყოფი იყო. როგორც ჩანს, ეს ავადმყოფობა სისხლით გადადიოდა. თვითონ ალექსეი გახლდათ ძალიან კარგი პიროვნული თვისებების მქონე და გარეგნულად ჯანმრთელი

„სტრელცების“ ჯანყო





ალექსეი მიხაილოვიჩი  
(1629-1676 წწ.)

ადამიანი, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ორგანიზმი მემკვიდრეობით ატარებდა ავადმყოფობას.

**— რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს?**

— ავადმყოფი იყო ალექსეის მამა, პირველი რომანოვი მეფე – მიხაილ ფიოდოროვიჩი (1613-1645). მიხაილი ტახტზე ავიდა 1613 წელს, ჩვიდმეტი წლის ასაკში. უკვე ამ დროს იგი საკმაოდ მძიმედ ავადმყოფობდა. კერძოდ, მისი ავადმყოფობა გამოიხატებოდა გადაადგილების უნარის სისუსტეში. ამასთან იყო გონებაშეზღუდული. ალექსეი თითქოს მამას არ ჰგავდა, გონებრივად განვითარებული და ფიზიკურად ძლიერი იყო, ძალიან უყვარდა ნადირობა და პირადად მონაწილეობდა ომებში პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ დაახლოებით 40 წლის ასაკში მას ჯანმრთელობამ უმტყუნა, ერთბაშად მოტყდა და ღრმად მოხუცებულს დაემსგავსა. რაც, როგორც ჩანს, მემკვიდრეობით მიღებული სნეულების შედეგი იყო. ალექსეის სამი ვაჟი: დმიტრი, ალექსეი და სემიონი, მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვალნენ, დანარჩენი ორი — ფიოდორი და ივანი, მძიმედ ავადმყოფები იყვნენ. მართალია, ფიოდორი გონებრივად განვითარებული გახლდათ, მაგრამ სისხლძარღვების დაავადება სჭირდა და ამის გამო გადაადგილების უნარი ჰქონდა შეზღუდული. იმდენად, რომ ის პრაქტიკულად სასახლიდან ვერ გამოდიოდა. უფლისწული ივანი კი გონებაშეზღუდული იყო

და მხედველობის პრობლემაც აწუხებდა.

დედოფლის გარდაცვალების დროისთვის ალექსეის ორი ვაჟიდან სამეფო ტახტზე ასასვლელად ორივე შეუფერებელი იყო. გარდა ამისა, არავინ იცოდა, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდნენ ივანი და ფიოდორი და თუ იცოცხლებდნენ, შეძლებდნენ თუ არა ტახტის მომავალი მემკვიდრის გაჩენას. ეს ის კითხვები იყო, რომელიც საგონებელში ჩააგდებდა ნებისმიერი ქვეყნის სამეფო სახლს. ასე იყო რუსეთშიც. ამიტომ, უნდოდა თუ არა, ალექსეის მეორედ უნდა ექორწინა და ეს მოულოდნელობას სულაც არ წარმოადგენდა. საჭირობოროტო მხოლოდ ის იყო, რომ პირველი მეუღლის გარდაცვალების დროისთვის (1669 წ.) მეფე ალექსეი უკვე გვარიანად აუად იყო. სწორედ ამიტომ დაქვრივებიდან ერთი წლის შემდეგ არ იქორწინა, არამედ დაქორწინდა მხოლოდ 1671 წლის 22 იანვარს. რუსეთის ახალი დედოფალი ნატალია ნარიშკინა ქორწინების დროისთვის მხოლოდ 20 წლისა იყო, ხოლო მეფე ალექსეი — ორმოცდარობის. ნატალია ნარიშკინა ლამაზი, სიცოცხლით საესე ქალი გახლდათ, ხოლო მეფე ალექსეი ფიზიკურად მოტეხილი, ღრმად მოხუცებული ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა.

**— მამინ რა აზრი ჰქონდა ამ ქორწინებას, თუკი სასახლის კარზე ეჭვობდნენ, რომ მეფე ალექსეის შვილი აღარ ეყოლებოდა?**

— ქორწინებას ის აზრი ჰქონდა, რომ სამეფოს ტახტს ჯანმრთელი მემკვიდრე ესაჭიროებოდა. სამეფო ვერ დარჩებოდა ორი ავადმყოფი, სასიკვდილოდ განწირული უფლისწულის იმედად. რუსეთის კანონიერ დედოფალ ნატალია ნარიშკინას უნდა ეშობა ჯანმრთელი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე, ხოლო ვინ იქნებოდა ტახტის მომავალი მემკვიდრის მამა, მეფე ალექსეი თუ სხვა ვინმე, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ნატალია ნარიშკინას ვაჟი რუსეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოცხადდებოდა და ამდენად, აღიკვეთებოდა სამეფოსთვის დამღუპველი ბრძოლა ტახტის პრეტენდენტთა შორის.

**— ამგვარი რამ მიღებული იყო მამინდელ სამეფო კარზე?**

— ცხადია, მიღებული იყო და არა მარტო რუსეთში, არამედ ბევრ ქვეყანაში. რაც შეეხება რუსეთს, ტახტის მემკვიდრის საკითხის ამგვარი წესით გადაჭრა შემდგომშიც ხდებოდა. მაგალითად, როცა რუსეთის დედოფალმა, წარმოშობით გერმანელმა სოფია-ავგუსტა-

ფრედერიკამ — ეკატერინე მეორემ იმპერატორ პეტრე მესამისგან შვილი ვერ გააჩინა, მას ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადეს: ან რუსეთს ტახტის მემკვიდრეს გაუჩინდა, ან არადა იმპერატორთან მისი ქორწინება დაირღვეოდა და ყოფილ დედოფალს გერმანიაში დააბრუნებდნენ. ხოლო რუსეთს ტახტის მემკვიდრეს ახალი დედოფალი მისცემდა. ეს კი არა, ჰკითხეს კიდევ, ვისგან სურდა ტახტის მემკვიდრის გაჩენა: სერგეი სალტიკოვისგან, სტანისლავ პონიატოვსკისგან თუ ლევ ნარიშკინისგან. ეკატერინე მეორესაც ბევრი აღარ უფიქრია და არჩევანი გააკეთა...

— მაინც რას ემყარებოდა ეჭვი, რომ პეტრე დიდის მამა ქართველი ბატონიშვილი ნიკოლოზი (ერეკლე) იყო?


— მეფე ალექსეიმ და ნატალია ნარიშკინამ 1671 წლის 22 იანვარს იქორწინეს, ხოლო პეტრე I 1672 წლის 30 მაისს, ანუ ქორწინებიდან 14 თვის შემდეგ დაიბადა. ერთ-ერთ სანდო რუსულ წყაროში დაცულია ცნობა, რომელიც იუწყება: სამეფო კარზე მყოფმა გავლენიანმა ბოიარებმა კარგად იცოდნენ, რომ მეფეს შვილი აღარ ეყოლებოდა და არ იყო არავითარი გარანტია, რომ თუ ეყოლებოდა, ისიც ისეთივე ავადმყოფი არ იქნებოდა, როგორც ალექსეის ხუთი ვაჟი. არადა, მეფე ალექსეი შესაძლოა ძალიან ძალე გარდაცვლილიყო (მეფე ალექსეი II ქორწინებიდან მეექვსე წელს გარდაიცვალა). შემოფოთებული

ბოიარები იძულებული გამხდარან, ელიარებიანთ: მეფე ალექსეის შვილი არ ეყოლება, მაგრამ ეს შეუძლია ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზს, როგორც ისინი უწოდებდნენ ერეკლე ბატონიშვილს. ბოიარებისთვის ხომ კარგად იყო ცნობილი ნატალიასა და ერეკლეს ინტიმური ურთიერთობა. მეფე ალექსეისა და ნატალიას ქორწილზე ულამაზესი ბატონიშვილი ერეკლე მესტუმრე იყო, ანუ საპატიო სტუმრების მიღება მას ევლებოდა. ეს მოვალეობა ალექსეიმ მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე დააკისრა მას.

— ჰგავდა თუ არა პეტრე I თავის ნახევარძმებს?

— ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. პეტრე I იყო განსაცვიფრებელი ფიზიკური ძალის მქონე და ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა გონებაგახსნილობით, არაორდინარული აზროვნებით, მიზნისკენ დაუოკებელი სწრაფვით. სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა ძალიან ფიცხი ხასიათი და იყო უშიშარი. არც ერთი ეს თვისება არ ახასიათებდა მის ნახევარძმებს. არსებობდა პეტრე I-ის პორტრეტი, შესრულებული ნატურიდან უცხოელი მხატვრის მიერ, რომელზეც რუსეთის იმპერატორ პეტრე დიდს ამკარად ქართული იერსახე აქვს. ყოველ შემთხვევაში, დღემდე შემორჩენილ მეფე ალექსეისა და პეტრე დიდის პორტრეტებს ერთმანეთს თუ შევადარებთ, გარეგნული ნიშნებით ვერავითარ მსგავსებას

*ნატალია ნარიშკინას პალატები მოსკოვის კრემლში, XVII ს.*





სოფია ალექსეევნა (1657-1704 წწ.)

ვერ აღმოვაჩინო. შემორჩენილია თანამედროვე მხატვრების მიერ ნატურიდან შესრულებული პორტრეტები პეტრე I-ის, ალექსეი მიხაილოვიჩისა და მიხაილ ფიოდოროვიჩისა. დიდი დაკვირვება არ უნდა იმის დადგენას, რომ მიხაილი და ალექსეი ერთმანეთს ძალიან ჰგვანან, ხოლო პეტრე არ ჰგავს არც ალექსეისა და არც მიხაილს. უფრო მეტ გარეგნულ მსგავსებას ვიპოვით პეტრე I-სა და დედამისის შორის.

— როგორ ფიქრობთ, იცოდა თუ არა პეტრე I-მა თავისი წარმომავლობის შესახებ?

— ზემოთ ხსენებული სტრუქტურების აჯანყების ჩანსობის შემდეგ, ცხადია, გამოძიებისთვის ნათელი გახდა, რომ სტრუქტურების ამბოხი პეტრეს ნახევარდა სოფიოს სკანდალური განცხადების შემდეგ დაიწყო. ანუ სტრუქტურებმა იუკადრისეს, რომ სამეფო ტახტზე უკანონოდ შობილი პეტრე ავიდა. ასე რომ, პეტრე თუ მანამდე არა, ამ დროისთვის მაინც შეიტყობდა, რომ მას ქართველი ბატონიშვილის შვილად მიიჩნევდნენ. სხვა საკითხია, დაიჯე-

რა თუ არა მან სოფიოს ნათქვამი, თუ ეს მისი ნახევარდისთვის პოლიტიკურად მომგებიან ჭორად ჩათვალა. უფრო სავარაუდოა, პეტრეს არ დაეჯერებინა, რადგანაც კარგად მოეხსენებოდა, რომ ტახტისთვის ბრძოლაში სოფიო ყველაფერს იკადრებდა. პეტრესთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა დედამისის პოზიციას უკვე საქვეყნოდ ცნობილ არასასიამოვნო მითქმა-მოთქმასთან დაკავშირებით. დაუდასტურა თუ არა შვილს ნატალია ნარიშკინამ სოფიოს ნათქვამის სისწორე, ცნობილი არ არის.

ნატალია ნარიშკინა მორწმუნე იქნებოდა. მართალია, უკანონო შვილის გაჩენით მას დიდი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ როგორც მორწმუნე, თუ მანამდე არა, სიკვდილის წინ მაინც მოვალე იყო, მოძღვრის წინაშე, აღსარებაში მოენანიებინა ჩადენილი ცოდვა და შვილისთვის ეთქვა, თუ ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. აღასრულა თუ არა ნატალიამ მორწმუნის ვალი, არავინ იცის. რაც შეეხება პეტრე I-ს, მას საქართველოსადმი სიყვარული არ გამოუმჟღავნებია, პირიქით, ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსეს უღალატა კიდეც. სამაგიეროდ, პეტრე ძმასავით ეპყრობოდა ქართველ ბატონიშვილ ალექსანდრეს, რომელსაც რუსეთის არტილერიის უფროსობა უბოძა და დიდი ფულიც გაიღო, რათა ალექსანდრე შვედების ტყვეობიდან გამოეხსნა. არსებობს არცთუ მთლად სანდო წყარო იმის თაობაზე, რომ მის წინააღმდეგ შეთქმული ბოიარების გასამართლებისას პეტრემ აღნიშნა, რომ იგი ძირძველი სამეფო გვარის შთამომავალი იყო. რომელ დინასტიას გულისხმობდა, პეტრეს არ დაუზუსტებია, მაგრამ ცნობილია, რომ რომანოვები იმ დროს ძირძველ დინასტიად ვერ ჩათვლებოდნენ, რადგან რომანოვ მეფეთა წინაპრები ჩვეულებრივი, არცთუ ცნობილი ბოიარები იყვნენ, ხოლო პირველი რომანოვი ტახტზე მხოლოდ 1613 წელს ავიდა.

ისტორიკოსებისთვის ცნობილია აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის მონათხრობი. მოსკოვში საარქივო დოკუმენტებზე მუშაობისას, ერთ-ერთ საქმეში ნიკო ბერძენიშვილს უნახავს ნატალია ნარიშკინას მიერ ერეკლე ბატონიშვილისთვის გაგზავნილი წერილები, სადაც იგი პეტრეს „ჩვენს პატარად“ მოიხსენიებს. უკვე კარგა ხანია, ეს წერილები რუსებმა საგულდაგულოდ გადაამალეს. დარჩა მხოლოდ ნიკო ბერძენიშვილის მონათხრობი.

— რა ბედი ეწია პეტრე I-ის ბიოლოგიურ

### მამას, ქართველ ბატონიშვილ ერეკლეს?

— რუსეთის სამეფო კარზე მიღებული და ყველასგან პატივცემული ქართველი ბატონიშვილი სრულიად მოულოდნელად, მეფე ალექსეის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე მოსკოვიდან გამოისტუმრეს. ბატონიშვილი ერეკლე რუსეთში 1653 წელს გაგზავნა პაპამისმა თეიმურაზ I-მა. იმ იმედით, რომ რუსეთის დახმარებით, ერთადერთ ცოცხლად დარჩენილ მემკვიდრეს მომავალში კახეთის სამეფო ტახტზე აიყვანდა. ცხრა წლის შემდეგ, 1662 წელს, ერეკლე საქართველოში დაბრუნდა, რათა კახეთში გამეფებულიყო, მაგრამ ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675) კახეთის სამეფო ტახტზე 1664 წელს თავისი შვილი არჩილი აიყვანა. საქართველოში ერეკლეს დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და იგი რუსეთში დაბრუნდა. რუსეთის მეფე ალექსეიმ ერეკლე ამჯერადაც დიდი პატივით მიიღო

და ეს პატივი შემდგომშიაც არ მოჰკლებია მას.

### — მაშინ რით უნდა აიხსნას ბატონიშვილ ერეკლეს მოსკოვიდან მოულოდნელად გამოსტუმრება?

— უნდა ვივარაუდოთ, რომ პეტრეს დაბადების შემდეგ ერეკლეს რუსეთის სამეფო კარზე ყოფნა უკვე უხერხული იყო. პეტრეს დაბადებით ქართველმა ბატონიშვილმა თავისი ფუნქცია შეასრულა და ამიერიდან მისი მოსკოვში ყოფნა რუსებს აღარ სჭირდებოდათ. გავრცელებული მითქმა-მოთქმა, ცხადია, გააფუჭებდა ერეკლესა და მეფე ალექსეის ურთიერთობას. უხერხულ მდგომარეობაში ჩაყარდებოდა დედოფალი ნატალია. ერეკლეს მოსკოვიდან გადაკარგვით ნაწილობრივ მაინც მოედებოდა ბოლო იმ მითქმა-მოთქმას, რომელიც პეტრეს დაბადებას მოჰყვა.

ეკა სალაღია

ბლოგ [livejournal.com](http://livejournal.com)-ში გამოქვეყნებული პეტრე I-ისა და ერეკლე I-ის ფოტოები





# კოსმოსურმა თანამგზავრმა ეგვიპტეში უცნობ პირამიდებს მიაკვლია



ინფრაწითელმა ფოტოებმა, რომელიც ამერიკელმა მეცნიერებმა კოსმოსური თანამგზავრის დახმარებით გადაიღეს, აქამდე უცნობი 17 ეგვიპტური პირამიდა დააფიქსირა.

ინფრაწითელი გადაღება კოსმოსიდან მნიშვნელოვანია იმით, რომ მიწის ქვეშ დამალული ობიექტების იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

კოსმოსიდან ეგვიპტის ტერიტორიის ამ მე-

თოდით გადაღებისას მეცნიერებმა ათასამდე სამარხსა და სამი ათასამდე უძველეს დასახლებას მიაკვლიეს.

„კოსმოსური აღმოჩენის“ ადგილზე მუშაობა არქეოლოგებმა უკვე დაიწყეს. წინასწარი მონაცემებით, დადასტურდა ორი, აქამდე უცნობი პირამიდის მიგნება.

„ახალაღმოჩენილი პირამიდის გათხრა ყველა არქეოლოგის ოცნებაა“, — ამბობს



*ბირმინგემის უნივერსიტეტის თანამშრომელი სარა პარკაკი გაოცებულია იმ შედეგებით, რომელიც ინფრაწითელი გადაღებების შედეგად მიიღეს*

მაგრამ დადგა დრო, როცა მიეზღვი, რამდენად მდიდარი იყო მასალა, რომელიც მოვიპოვეთ. დაჯერება მიჭირდა, რომ ეგვიპტეში ამდენ ახალ ობიექტს მიაკვლიეთ“, — ამბობს არქეოლოგი.

ამერიკელმა მეცნიერებმა შეისწავლეს ფოტოები, რომელიც თანამგზავრმა 700 კილომეტრის სიმაღლიდან გადაიღო. კამერები, რომელიც ამისთვის გამოიყენეს, იმდენად ძლიერია, რომ დედამიწის ზედაპირზე ყველა იმ ობიექტის იდენტიფიცირებაც კი შეუძლიათ, რომელთა დიამეტრი ერთ მეტრზე ნაკლებია.

ამას გარდა, ინფრაწითელი გადაღება გამოიყენეს იმისთვის, რომ მიწის ზედაპირის ქვეშ მყოფი სხვადასხვა მასალის გარჩევაც ყოფილიყო შესაძლებელი.

*მომზადებულია BBC-ის მასალების მიხედვით*

კვლევის ავტორი, შტატ ალაბამის ბირმინგემის უნივერსიტეტის თანამშრომელი სარა პარკაკი.

მეცნიერი აღიარებს, რომ გაოცებულია იმ შედეგებით, რომლებიც ინფრაწითელი გადაღებების შედეგად მიიღეს.

„ინტენსიური გამოკვლევები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ინფორმაციის შემოსვლას გამუდმებით ვადვენებდი თვალს,





14 ივლისი საქართველოს ეროვნული გმირის — ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის დაბადების დღეა, ადამიანის, რომელმაც ყველაფერი სამშობლოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შესწირა. ბოლო ხანებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად, აღმოჩნდა მის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული რამდენიმე დღემდე სრულიად უცნობი საარქივო მასალა და ფოტოლოკუმენტი, რომლებიც მნიშვნელოვნად შეავსებს მკვლევართა და საზოგადოების ფართო წრეების ცოდნას ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების საწყისი პერიოდის შესახებ; აგრეთვე, პირველად გამოქვეყნდება ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის — ელისე პატარაიძის ლექსი, მიძღვნილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი.

# უცნობი ფაქტები ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრებიდან

დღემდე მკვლევართათვის მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა, რომლის გამგე დიდი ექვთიმე თაყაიშვილი იყო. სხვა ინფორმაცია, კერძოდ, როდის დაიწყო მან იქ სწავლა, როგორ სწავლობდა, ვინ იყვნენ მისი თანაკლასელები, როგორი ყოფაქცევით გამოირჩეოდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდით... თუმცა, მიეცემა თანამიმდევრობით.

2011 წლის მარტში საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ჩაიბარა იმედაშვილების (იოსებ, შალვა, გაიოზ, კობა და ლაშა) უმდიდრესი არქივი, XIX-XX საუკუნეე-

ბის ქართველ მოღვაწეთა ავტოგრაფებით (რაფიელ ერისთავით, აკაკი წერეთლითა და ვანო მახაბლით დაწყებული და ესმა ონიანით დამთავრებული). აქვეა იოსებ იმედაშვილის ცნობილ შურნალ „თეატრი და ცხოვრების“ (გამოდიოდა 1910-1926 წწ.) არქივიც იმდროინდელ უჩინო, თუ საჩინო ავტორთა ხელნაწერებით.

სხვა საარქივო მასალებთან ერთად, იმედაშვილების არქივში აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოსწავლეობის დროინდელი უცნობი ფოტო, რომელზეც იგი გადაღებულია თანაკლასელებსა და კლასის დამრიგებელთან, შემდგომში ცნობილ ქართველ პოეტთან, „ქართველ მწერალთა კავშირის“ პირველ თავ-

ყოველ პარასკევს,  
 ყურნალ „საბავშვო  
 ქარუსელთან“ ერთად,  
 დიდი ქართველების  
 ბიოგრაფიების  
 თითო წიგნი!



- მაღე გამოვა
- 10 გიორგი სააკაძე
  - 11 ჟოტე მარჯანიშვილი
  - 12 ნიკოლოზ ბარათაშვილი
  - 13 დავით აღმაშენებელი
  - 14 ზაქარია ფალიაშვილი
  - 15 გრიგოლ ხანძთელი

და სხვა დიდი  
 ქართველები



**ფარნაპეზ გეფე**

**შეძვეგი  
 მიორბი საპაპე**

**გამოჩენილი  
 აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნების სერია ბავშვებისთვის

წიგნის ფასი: 2.50  
 (ყურნალთან ერთად 3.50)





de JONGH Frère - Neuilly-Paris

1902 წლის 23 თებერვალს გადაღებული ქაქუცას უცნობი ფოტოს მინაწერი (მიხეილ მორჩილაძის მიერ ფოტოს უკანა მხარეს გაკეთებული, სიტყვასიტყვით):

პირველ რიგში სხედან (მარცხნიდან მარჯვნივ): ცაგურია ნიკო, მორჩილაძე მიხეილ, კეხელი, წინამძღვარიშვილი ვიორჯი, ?, წინამძღვარიშვილი ნიკო, ბასილაძე, მამინაიშვილი კონსტანტინე. მეორე რიგში სხედან: ცხვედაძე ალექსანდრე, მაისურაძე, ამილახვარი რევაზ, ბრეგვაძე სიმონი, მაყაშვილი კოტე, მუსხელიშვილი, ვანნაძე, ნონიკაშვილი.

მესამე რიგში დგანან: რეზილაძე ვანო, ვანნაძე, არსენიშვილი, ყურული მიხეილ, ბარტყულიაშვილი, კორძაია, ბაგრატიონი-დავითაშვილი, ?, უგორი, ჩოლოყაშვილი ქაქუცა.

მეოთხე რიგში დგანან: ვანნაძე, მაღალაშვილი ივანე, ჩოლოყაშვილი ერეკლე, ვომელაური-მელითაური, ამილახვარი ვახტანგ, ძიძიგური, მაისურაძე, თუხარული ვახტანგი, გედევანიშვილი შიო, ?.

მჯდომარესთან, 1921 წელს მეთერთმეტე წითელ არმიასთან ბრძოლის დროს დაღუპულ მარო მაყაშვილის მამასთან — კოტე მაყაშვილთან ერთად.

**პოპა იმედაშვილი (მწერალი):** „არქივში აღნიშნულ ფოტოსურათთან ერთად დაცულია მოსაწვევი ბარათი, რომლითაც ცოფილ გიმნაზისტს — მიხეილ ესტატეს ძე მორჩილაძეს თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში მონაწილეობას სთხოვენ.

მიხეილ მორჩილაძე ცნობილი პოლიტპა-

ტიმრის, ამირან მორჩილაძისა და მისი დის, რუჟიას მამა გახლდათ. შემდეგ მან ცოლად შეირთო იოსებ იმედაშვილის ქალიშვილი, დედაჩემი, ნინო იმედაშვილი და უკვე მისგან ორი შვილი შეეძინა — მხატვარი მანანა მორჩილაძე და პროზაიკოსი მიხო მორჩილაძე, აფხაზეთის ომის მონაწილე, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი.

მახსოვს, ამ უადრესად მოწესრიგებულმა კაცმა, მიხეილ მორჩილაძემ თავის დროზე როგორ პედანტურად იშრომა არქივში დაცული ფოტოსურათების პერსონალიის დადგენაზე.

სწორედ მან დაახუსტა ზემოსხენებულ სურათზე (მინაწერიდან ირკვევა, რომ იგი გადაღებულია 1902 წლის 23 თებერვალს) წარმოდგენილი თანაკლასელების ვინაობა. თანაკლასელებისა, რადგან თავად მიხეილ მორჩილაძეც (პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე) არის ამ ჯგუფურ ფოტოზე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად.

ფოტოსურათზე სულ ოცდათხუთმეტი მოსწავლეა გამოსახული ოთხ მწკრივად. შუაში მასწავლებელი კოტე მაყაშვილი ზის, მესამე რიგში, მარჯვნიდან პირველი, 13 წლის ქაქუცა ჩოლოყაშვილია, გიმნაზისტის ფორმით, მოკლედ შეკრუჭილი თმით, სერიოზული, დაჟინებული მხერით. ჩვეულებრივი ბავშვია... ყველა ერთმანეთს ჰკავს, ყველა სუფთაა და უმწიკვლო. სურათი (თამბაქოსფერი, კარგად შენახული მკაფიო ფოტო, 22-17 სმ-ზე) ფრანგული წარმოების მუყაოზეა დაკრული, რომლის უკანა მხარეს მკაფიო ხელით არის ჩამოწერილი თანაკლასელების გვარ-სახელები. მხოლოდ სამი თანაკლასელის გვარი ვერ გაიხსენა მიხეილ მორჩილაძემ.

რა გზებს დაადგენ ქაქუცას და მიხეილის თანაკლასელები, ბარიკადების რომელ მხარეს იდგნენ, როგორ იცხოვრეს?... არ ვიცი, ერთი კია, მათ შორის არის ერთი ბავშვიც, რომელიც შემდეგ, ბოლშევიკების დროს, თბილისის ციხის უფროსი გახდა და უკვე აქ, ციხეში, შეხვდა თავის თანაკლასელ მიხეილ მორჩილაძესა და მის შვილს, პოლიტპატიმარ ამირან მორჩილაძეს. იგი, მგონი, ცოტა დაეხმარა კიდევ მათ.

ქაქუცას აღარ ეხება, მაგრამ მის გარეშე დარჩენილი საქართველოს ცხოვრებას კი ასახავს: 1944 წლის ერთ საღამოს ამირან მორჩილაძე დიდხანს შემორჩა ჩვენთან კლარა ცეტკინის ქუჩაზე, მამამისის ბინაზე. შინ მიხულს ჩეკა დაადგა თავზე, ჩხრეკის დროს რადიომიმღები და იარაღი უნახეს და დააპატიმრეს. იმპერატორულად აიყვანეს ჭაბუა ამირეჯიბი და მათი მთელი ჯგუფი სამშობლოს დალატისა და გერმანელებთან კავშირის ბრალდებით.

მიხეილმა და დედაჩემმა თბილისის ციხეში მყოფ ამირანს აპანათი მიუტანეს. ცოტა ხნის შემდეგ, ციხიდან გამოსახეს, მორჩილაძის პატრონი მოვიდესო. მიშა შეშინდა და დედაჩემი მიაგზავნა (რაკილა ფეხმძიმე ქალი იყო, არაფერს დაუშვებენო), მაგრამ კვლავ გაიმორა ციხის მცველმა — მიხეილ მორჩილაძე

გამოცხადდესო ციხის უფროსთან. ისიც ცოცხალმკედარი შელასლასდა ციხის უფროსის კაბინეტში და ერთბაშად ვერც კი გაიაზრა ბოლომდე მისი ნათქვამი — მიშა, შენი კლასეული ვარ, ვერ მიცანიო?

ასეთი დრამა გათამაშდა მაშინ თბილისის ციხეში. ამ ყველაფერს შემდეგ თავისი გაგრძელებაც ჰქონდა: ამირანის საქმეს დედაჩემის მერხის ამხანაგი იძიებდა, მგონი, ჯიქია იყო ის კაცი. მისი დახმარებით იყო, რომ ამირანს ათი წლით გადასახლება აკმარეს. მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია...

ქაქუცას მინდა დაუბრუნდე. მასთან ერთად ამავე სკოლაში ორი საფეხურით მაღლა სწავლობდა ვაჟა-ფშაველას უფროსი ვაჟი ლევანი, შემდეგ მისი მეგობარი, მისი თანამებრძოლი და 1923 წლის 16 თებერვალს მასთან კავშირის გამო, ჩეკას მიერ დახვერტილი.

როდესაც ვაჟა-ფშაველამ ლევანი თბილისში სასწავლებლად ჩამოიყვანა, იოსებ იმედამვილს მისთვის ქირით ბინისა და სანდო ოჯახის პოვნა სთხოვა, ასე რომ, ლევანი ბავშვობიდან იცნობდა იოსებსა და მის ოჯახს, განსაკუთრებით კი უფროს შვილს, შალვას დაუახლოვდა, რომელსაც იმავე პერიოდში მასპინძლობდა კიდევ თიანეთში, საიდანაც შალვას წერილით მოკითხვა შემოუთვალა იოსებს.


როდესაც ქაქუცასთან კავშირის გამო ლევან რაზიკაშვილი დააპატიმრეს, ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები სერგო ორჯონიკიძესთან თხოვნით მივიდნენ, ვაჟა-ფშაველას შვილი არ დახვერიტო.

— შვილი კი არა, თვითონ ვაჟა-ფშაველა რომ იყოს ცოცხალი, იმას დახვერტილი, — უპასუხა რკინის კომისარმა.

მართლა დახვერტიდა“.

ქაქუცას უცნობი ფოტოსურათის აღმოჩენის შემდეგ, საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში (ყოფილ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში — სცსსა) მისი გიმნაზისტობის პერიოდის ამსახველი საარქივო მასალების ძებნას შევუდექი. მართალია, დამატებითი ფოტოდოკუმენტი ვერ ვიპოვე, სამაგიეროდ, ფონდებში არაერთი ახალი დოკუმენტი მოვიძიე, რომლებშიც საუბარია თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სწავლა-განათლების თაობაზე. გარდა ამისა, მკითხველს შეუთავაზებთ მასალებს ლევან რაზიკაშვილისა და კოტე მაყაშვილის შესახებაც.

5 მაისი 11.2 50. ქ. ჩხოლაყაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილის გერჯერობით უძველესი ავტოგრაფი

თბილისის სათავადაზნაურო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 1897 წლის 24 ოქტომბრით დათარიღებული სხდომის ოქმიდან (№3) ირკვევა, რომ სკოლის გამგის, ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით, სხვა საკითხებთან ერთად, სწდომაზე განუხილავთ და დაუკმაყოფილებიათ თავად იოსებ ქაიხოსროს ძე ჩოლოყაშვილის თხოვნა მისი ვაჟის, ქაიხოსროს სათავადაზნაურო სკოლის პირველ განყოფილებაში მიღების შესახებ.

საისტორიო არქივში დაცულია 1897 წლიდან 1909 წლამდე, ანუ თბილისის სათავადაზნაურო სკოლის (შემდგომ თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის) დასრულებამდე, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი თანაკლასელების მიერ მიღებული ნიშნების ფურცლები, საიდანაც ჩანს, რომ ქაქუცა სანიშნო ყოფაქცევის მოსწავლე ყოფილა, თუმცა ბეჯითი სწავლით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. საგნები, რომლებსაც იგი, როგორც ჩანს, სიამოვნებით სწავლობდა და კარგ შეფასებებსაც იღებდა, ქართული ენა და ქართული წერა იყო.

სამაგიეროდ, ქაქუცასთვის უადრესად რთული აღმოჩნდა რუსული ენის პროგრამის დაძლევა, იმდენად რთული, რომ ერთხელ,

1900/1901 სასწავლო წელს, რუსულ ენაში მიღებული შეფასების, ორიანის გამო კლასშიც კი ჩატოვეს.

რაც შეეხება კოტე მაყაშვილს, ერთ-ერთ დოკუმენტში მითითებულია, რომ „მასწავლებელი კონსტანტინე მაყავეი სკოლაში მუშაობს 1900 წლის 1-ელი სექტემბრიდან, რაშიც იღებს ჯამაგირს წელიწადში 1200 მანეთს. გარდა ამისა, ჩატარებულ გაკვეთილებში დამატებით იღებს 300 მანეთს“.

ექვთიმე თაყაიშვილის ყოველწლიურ ანგარიშში „სკოლის მდგომარეობისა 1 იანვრიდან 1899 წლისა 1 იანვრამდის 1900 წლისა“, ერთგან, სადაც იგი ჩამოთვლის სიას „გარედან მოსიარულე მოწაფეებისა“, სხვებთან ერთად მოხსენიებულია „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“.

ერთ-ერთ დოკუმენტში მოცემულია სია იმ მოწაფეებისა, რომლებსაც დარჩენილი აქვთ შემოსატანი სწავლის ფული. აქაც მოხსენიებულია „ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი“, რომელსაც, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, სრულად აქვს დაფარული 1897/98 სასწავლო წლის ფული, მაგრამ დარჩენილი აქვს გადასახდელი 1898/99 წლის 7 მანეთი და 1899/1900 წლის 12 მანეთი — სულ 19 მანეთი.

1902 წლის 19 ოქტომბერს გაიმართა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო თათბირი, რომელზეც გადაწყდა სათავადაზნაურო სკოლის 21 მოსწავლისთვის შემწეობის აღმოჩენა სხვადასხვა თანხით. მათ შორის იყვნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ლევან რაზიკაშვილი, რომლებსაც 100-100 მანეთის შემწეობა დაენიშნათ.

1904 წლის 12 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა — გ. ბაგრატიონ-დავიდოვმა ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების განმკარგულებელ კომიტეტს მიმართა ვაუგზავნა, რომლითაც შეატყობინა, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულომ გამოყო 1000 მანეთი თბილისის თავადაზნაურთა სკოლის 14 მოსწავლის შესანახად 1904/1905 სასწავლო წლის პირველი ნახევრისთვის. მათ შორის დასახელებული არიან ლევან რაზიკაშვილი და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც.

საისტორიო არქივის მასალებში დაცულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმის (სახელი მითითებული არ არის — გ.ს.) 1904 წლის 9 ნოემბრის მიმართვა თბილისის სათავადაზნაურო

სკოლის გამგე შიო ჩიტაძისადმი, რომელშიც იგი ქაქუცას სწავლის თანხის შეტანის გადავადებას ითხოვს.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა — გ. ბაგრატიონ-დავიდოვმა 1908 წლის 3 თენის მიმართვა გაუგზავნა თბილისის ქართული სათავადაზნაურო კერძო გიმნაზიის გამგეს, რომლითაც აცნობა, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულომ გამოყო 138 მანეთი სტიპენდიის სახით გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლისთვის, მათ შორის, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისთვის 11 მან. 50 კაპ.

ერთ-ერთ ფურცელზე მოცემულია გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლის ხელწერილი შესაბამისი თანხის მიღების შესახებ. აქვეა მაშინ 19 წლის ქაქუცას მიერ საკუთარი ხელით დაწერილი: „მივიღე 11 მ. 50 კ. ქ. ჩოლოყაშვილი“. აღსანიშნავია, რომ ესაა მეცნიერთა განკარგულებაში არსებული საქართველოს ეროვნული გმირის ჯერჯერობით უძველესი ავტოგრაფი.

1909 წლის 1-ელ მარტს პედსაბჭომ გიმნაზიის გამგის, ალ. მდიენის თავმჯდომარეობით განიხილა შემდეგი საკითხი: „მოსხენება გამგის, რომ მეექვსე კლასის მოწაფემ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა სცემა თავის ამხანაგს ბერიძეს, რის გამო იგი ჩემის განკარგულებით დროებით დათხოვნილ იქმნა სასწავლებლიდან“. პედაგოგიურმა საბჭომ დაადგინა: „მიღებულ იქმნას ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი მეექვსე კლასში იმ პირობით, რომ თუ კიდევ გაიმეორა ასეთი ცუდი საქციელი, დაუყოვნებლივ დათხოვნილი იქნება სასწავლებლიდან“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილს თბილისის სათავადაზნაურო ქართული გიმნაზიის სრული კურსი არ დაუსრულებია, 1909 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, რის გამოც გიმნაზიის მეექვსე კლასში სწავლა შეწყვიტა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტატიაში პირველად ქვეყნდება ცნობილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, ელისე პატარიძის (1896-1975 წწ.) ლექსი, მიძღვნილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხსოვნისადმი.


*ქაქუცა ჩოლოყაშვილი (მეორე რიგში, მარცხნიდან მეორე) პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრებთან და ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან ერთად. მეორე რიგში, მარჯვნიდან პირველი, ზის გამოჩენილი ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე.*





### ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხსოვნას

ქაიხოსრო, შენ შეიგნე შენი დანიშნულება,  
 და ამით შენ გააძარცვე შენს ძველებზედ თქმულებას,  
 არ იცოდი ცხენოსანმა მარტო ცხენის ზტუნება,  
 გამოგანდა მამა-პაპათ შენ მხედრული ბუნება.  
 სამშობლოში შემოსული რუსი მტერად იცანი,  
 და როგორც კი გამოჩნდა განთიადის ცისკარი,  
 მეთაური ვარსკვლავი შენვე გამოიცანი,  
 დაგლოცეს და მიუშვირე მტერს შენ გულის ფიცარი.  
 შენ იყავი ჩვენი დროის დიდი ჩოლოყაშვილი,  
 სახელოვან წინაპართა სახელოვანი შვილი,  
 შენი გული არ იყო არც ნახი და არც ჩვილი,  
 ძლიერ მტერთან შენი ბრძოლა აღარ იყო ადვილი.  
 შენ არ გქონდა საამისო არც დრო და არც ადგილი,  
 ამიტომ ვერ აღიხრულე შენი გულის წაფილი,  
 გამარჯვებულმა ვერ სჭამე შენ ქართული ხაფილი  
 და საზღვარზედ გადმოიდა შენ ბრძოლებით გაზრდილი.  
 ცეცხლი იყავ, ქაქუცა, მუხლი გქონდა შენ ძალი,  
 შენზედ მოხული მტერი შენი წირვა-სამკალი,  
 სისხლი ისე დაღვარე, როგორც მდინარე-წყალი,  
 უბედობით გარდატედა ბიძინას ძველი ხმალი.  
 შენ იყავი ქართული ხე უცხოეთში გადმორგული,  
 უცხოეთში შვინიერდა შენ, ქაქუცა, გმირი გული,  
 დამარცხების შემდეგ იყავ სამშობლოდან წამოსული,  
 აღმოგზა და დაუბრუნდა კვლავ სამშობლოს შენი ხული.



### ელისე პატარიძის ხელნაწერი, ქაქუცასადმი მიძღვნილი ლექსის ნაწილი

2007 წლის 12 ოქტომბერს საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, წლების განმავლობაში საფრანგეთის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ბატონმა ოთარ პატარიძემ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს უსახსოვრა მამის, ემიგრაციაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის (1953 წლიდან), შურნალ „ივერიის“ რედაქტორის (1949 წლიდან), უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერალთა და შურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის, ელისე პატარიძის პირადი არქივი.

ამ არქივში, სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, აღმოჩნდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან დაკავშირებული რამდენიმე უნიკალური წერილობითი, თუ ფოტომასალა, კერძოდ: XX

საუკუნის 20-იან წლებში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია ქაქუცა ჩოლოყაშვილი პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ ოფიცრებსა (მათ შორისაა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი ალექსანდრე ჩხეიძე) და ემიგრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. აღნიშნული ფოტოსურათი პირველად დაიბეჭდა 2009 წელს გაზეთ „კვირის პალიტრაში“.

გარდა ამისა, არქივში ინახება ელისე პატარიძის მიერ ემიგრაციაში შეთხზული, ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ლექსების კრებული. მასში დაცულ ერთ-ერთ ლექსს (ავტორის მინაწერიდან ვიკვებ, რომ ლექსი დაიწერა 1941 წლის 10 ივნისს) შურნალ „ისტორიანი“ მკითხველი პირველად გაეცნობა.

# აღსასჯელი და ბავახიოსნება პეტაჩა ხანისა

ვინ აყაღებდა  
ცნობებს ერეკლე  
II-ის დაპრძალვის  
შესახებ



ალა-მაჰმად ხანმა დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს, მაგრამ ქვეყნის სახელმწიფოებრიობა მაინც არ იყო საბოლოოდ განადგურებული. ქვეყანა ისევ ფეხზე იდგა. დაიწყო მისწასთან გასწორებული თბილისის აღდგენა.

თუმცა ლეკების თარეშს ბოლო არ უჩანდა. თავდასხმის საშიშროება სუფევდა სპარსეთისა და ოსმალეთის მხრიდანაც. ქვეყანა მძიმე დღეში იყო. ერეკლეს ჯანმრთელობა შეერყა. სულ ორიოდე წლის წინ, ცხენს უზანგში ფეხის გაუყრელად შეაფრინდებოდა. 15 წლისა იყო, როცა ნეიმნის ველზე პირისპირ ეკვეთა მომხდურთ ქიზიყელთა მცირე რაზმით, ბელადი თავისი ხელით მოუკლა მტერს და უკან დაახვეინა. ამის შემდეგ ხმალი ხელიდან არ გაუგდია. ახლა კი სისუსტე შეეპარა, გრძნობდა, უნაგირზე ჯდომას ლოგინში წოლა ერჩივნა. ამიტომ თავისი შვილიშვილი, იონანე ბატონიშვილი უსარდლა ჯარს და ყვარულსა და მის მიდამოს შემოსეული ომარ ხანის რაზმების განდევნა დააჟალა, თავად კი უფრო ხშირად იწვა, ძალა დღითი დღე აკლდებოდა. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ თბილისსა და მის შემოგარენში შავი ჭირის ეპი-

დემიამ იფეთქა. ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა „მომსვრელმა სენმა“. თბილისში გაჩერება საშიში იყო და სამეფო ოჯახი თელავში გადავიდა საცხოვრებლად.

ერეკლე თელავიდან მართავდა სამეფოს. ყველაფრის საქმის კურსში იყო, რაც კი ხდებოდა მის ქვეყანაში.

1797 წლის შემოდგომიდან მისი ჯანმრთელობა გაუარესდა. ფეხები უსივდებოდა. ამბობდნენ, წყალმანკი სჭირსო. თავისი ექიმის შემწეობით, ლითონის პატარა ბასრი ხელსაწყოთი — ნეშტრით (რომელიც ასაცრელად და სისხლის გამოსაშვებად გამოიყენებოდა) შესივებული წვევი დაისერა და სითხე გამოუშვა. ამით მდგომარეობა ოდნავ შეუმსუბუქდა, მაგრამ ფეხების დასივების მიზეზი ალბათ მაინც გულის უკმარისობა იყო და სითხის გამოშვება მის ზოგად ჯანმრთელობას არას არგებდა.

ქათმის ბულიონი მიართვეს ექიმის რჩევით მეფეს, მაგრამ იუარა — ახლა მარხვაა, მე რომ მარხვა გავტეხო, ხალხი რას იტყვის, თავად როგორღა მოიქცევაო. გადიოდა დრო, ერეკლე სულეირად არ ტყდებოდა, ავადმყოფობას არ ეპუებოდა, თელავიდან იძლეოდა მითითებებს. ტახტის მემკვიდრე, უფროსი ვაჟი



ოთახი თელავის სამეფო სასახლეში, სადაც დაიბადა და გარდაიცვალა ერეკლე II  
ირაკლი ლეონიძის ვოტო

გიორგიც დაიბარა, მისი ნახვით გაიხარა, დავალები მისცა და უმაღლე მათ შესასრულებლად გაუშვა.

1798 წლის იანვრიდან კიდევ უფრო გაუარესდა მეფის ჯანმრთელობა. 5 იანვარს მკერდში უსიამოვნო შეგრძნება დაეუფლა, გონებაც დაკარგა, რამდენიმე საათს გაუნძრევლად იწვა, შემდეგ თვალები გაახილა, გონს მოვიდა, ახლობლებს გადახედა, ალბათ ფიქრობდა, ეს რა უდროო დროს გტოვებთ თქვენცა და მთელს ქვეყანასო. მერე მსახურები შემოიყვანა გვერდით და სთხოვა, გარეთ გაეყვანათ.

11 იანვარს, გამთენიისას — ერეკლე აღარ მოძრაობდა, თვალგახელილი ერთ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს უხმოდ ლოცულობსო. მერე, ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს და... იმავე ოთახში, იმავე საწოლზე მიიბარა მისი სული უფალმა, სადაც 78 წლის წინ დაიბადა.

დარეჯან დედოფლის კვილიმა შეძრა სა-

მეფო დარბაზი. მას აჰყენენ ოჯახის წევრები.

მეფის ცხედარი მართლმადიდებლური წესით გააპატიოსნეს.

ყველას აინტერესებდა და დღესაც აინტერესებთ, რამდენი ჭრილობა ჰქონდა სხეულზე მეფეს. გაუთავებელ ომებში ის ხომ თავად მიუძღოდა მეომრებს და თავდაუწონოგადა, პირველი ეკვეთებოდა მტერს, მაგრამ რამდენი და რა სახის ჭრილობა ჰქონდა მეფეს — ეს მათ საიდუმლოდ დარჩა, ვინც გააპატიოსნა მისი ცხედარი.

ზოგი ამბობდა, ერეკლეს ტანზე ადგილი არ მოეძეებოდა, ზედ ნაჭრილობები არ ჰქონოდაო, ზოგიც სიამაყით აღნიშნავდა — სიჩაუქის, სიმარჯვის, სიძლიერის, კარგი სომარი აღჭურვილობის წყალობით მეფეს არც ერთი ჭრილობა არ ჰქონიაო.

მეფის ცხედარი ორმაგად შეკრულ ხის კუბოში ჩაასვენეს. ყინულები ჩაულაგეს. კუბო ძვირფასი ხალჩებითა და შავი ზაფერდით მორთულ დიდ დარბაზში დადგეს. ქვეყანაში

დიდმა გლოვამ და უიმედობამ დაისადგურა. გლოვობდა ყველა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, თავადი თუ გლეხი.

დარეჯან დედოფალმა და კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ II-მ (ერეკლესა და დარეჯანის ვაჟი — ერისკაცობაში თეიმურაზი) მეფის გამოსვენებისა და დაკრძალვის ცერემონიალის მოწყობა თელავის სასულიერო სემინარიის რექტორს, დავით ალექსი-მესხიშვილს დაევალა.

მთელ ქვეყანაში აფრინეს შიკრიკები, რათა მოსახლეობისთვის მეფის გარდაცვალება ეუწყებინათ. დიდძალი ხალხი დაიძრა თელავისკენ, სადაც ღამის გასათევი ადგილიც აღარ იყო. სახელდახელოდ გამწილ კარვებში ათევენენ დამეს სამძიმარზე მოსულნი. ქართველებთან ერთად სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მცხოვრებნი, თავიანთი ადათ-წესების მიხედვით დასტიროდნენ თავიანთი მომავლის იმედს.

კუბო ოც დღეს სამეფო სასახლის დიდ დარბაზში იდგა, შემდეგ სასახლის ახლოს, თავად ყორჩიბაშიშვილების ტაძარში გადასვენეს და საკურთხეულის წინ ამბიონზე დასვენეს.

სასახლის ეზოში მეფის ნიეთების გამოსაფენ საგანგებოდ მოწყობილ, უძვირფასესი ხალიჩებით მორთულ ადგილზე განალაგეს ერეკლე II-ის ტანსაცმელი, სამკაულები, საბრძოლო იარაღი, აბჯარი, უნაგირები, ჯილდოები, საქართველოს სამი დახრილი დროშა...

მიწაზე მსხდომ მეჯინებებს აღვირით ეჭირათ ძვირფასად შეკაზმული გამორჩეული ცხე-

ნები მეფისა, ირანული ჯიშის ორი ტაიჭი, ერთი — თეთრი, მეორე — მოწაბლისფრო-წითელი, რომელსაც შავი ფაფარი და ძუა ჰქონდა. სწორედ ამ ცხენით ავიდა მეფე მთიულეთში კრწანისის მარცხის შემდეგ.

დარეჯან დედოფალი სტუმრების მისაღებად სასახლის დიდ დარბაზში გამოდიოდა და მისთვის საგანგებოდ მოწყობილ, ხალიჩებით მორთულ ადგილზე ჯდებოდა. გარშემო საპატიო სტუმრები იყვნენ. ორივე მხარეს ისხდნენ ასაკის მიხედვით ბატონიშვილები, შემდეგ სამღვდელთა და წარჩინებული თავადაზნაურობა ჩამწკრივებულიყო. თეთრი ტანსაცმლით მოსილი სეფეკალები ტერილითა და სახის ზოკვით ხვდებოდნენ სტუმრებს. სასახლის ოთახების კედლები შიგნიდან და გარედან შვენარმას დაეფარა. სამგლოვიარო დარბაზსა და სასახლის შესასვლელში მდგარ კარისკაცებს გადატეხილი კვერთხები ეჭირათ.

დარბაზში ქუდმოუხდელი არავინ შედიოდა, არც ფერ-უძარილი ჰქონდათ ქალებს წასმული.

სასახლის ეზოში მოთქმით შემოვიდა ზემო ქართლის ყოფილი სარდალი, 80 წელს გადაცილებული თავადი ციციშვილი, რომელიც მეფეს თითქმის ყველა ბრძოლაში ახლდა. იგი ერეკლეს ცხენის უნაგირს გადაეხვია და მწარედ აქვითინდა. წრფელი გულით მისტიროდა ბატონსა და მეგობარს. ტირილითა და სახის ზოკვით მიეგება მას დარეჯან დედოფალი.

უამრავმა ადამიანმა დაიტირა მეფის ცხედარი, მაგრამ განსაკუთრებით შეძრა ჭირი-



თელავის სასახლის დიდი დარბაზი, სადაც დასვენებული იყო ერეკლე II-ის ცხედარი

სუფალნი ქიზიყელი გლეხი ქვრივი ქალის მოთქმამ. მისი ნატირალი მთელ საქართველოს გადასწვდა და კიდევ ერთხელ დაუთუთქა გული მგლოვიარეთ.

სამეფო კარზე ყველაზე გამორჩეული და განსწავლული კაცის, სოლომონ ლიონიდის სამგლოვიარო სიტყვა ისტორიას შემორჩა, როგორც ნიმუში ქვეყნისათვის თავდადებული მეფის ღვაწლის ობიექტურად შეფასებისა.

შემზარავი იყო არაგველთა ტირილი. მათ საქვეყნოდ ცნობილი ლექსით მიმართეს სათაყვანებელ მეფეს და მისი დაღუპვა საქართველოსთვის რკინის კარის ჩამოხსნას შეადარეს.

რუსეთიდან ჩამოვიდა ერეკლეს ერთ-ერთი ვაჟიც, მირიანი, რომელსაც იქ გენერლის ჩინი მიეღო. 14 წელიწადს არ ენახა მირიანს დედ-მამა. პეტერბურგიდან ვეროპაში განსწავლული ექიმიც წამოყვანა, მაგრამ მამას ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო.

თელავისკენ მიმავალ გზაზე, თითქმის შვიდ კილომეტრზე ორივე მხარეს იდგა მგლოვიარე ხალხი. მირიანი ცხენიდან ჩამოხდა და სასახლისკენ ფეხით გაემართა. უკან ადიუტანტი და მხლებლები მიჰყვებოდნენ. ბატონიშვილი ბუნდოვნად ამჩნევდა, მის დანახვაზე როგორ ეცემოდა მუხლებზე შავით მოსილი მგლოვიარე ხალხი და შესტიროდა:

— ვინდა გვიპატრონებს ობოლთა და გაჭირვებულთ...

— ვინ განდევნის შემოსეულ მტერს...

— ვინ გაარჩევს ჩვენს ტყუილსა და მართალს...

— ვინ გამოესარჩლება ლატაკთა და სნეულთ...

— დაეკარგეთ საქართველოს იმედი, დაიღუპა საქართველო...

სასახლის ეზოში მირიანი შეჩერდა, თვალცრემლიანმა გახედა სასახლეს, მერე მამის ცხენებთან მივიდა და მათ წინ მუხლზე დაიჩოქა. ცხენები გულშემზარავად აჭიხინდნენ, ფლოქვების ცემით აამტვერეს მიწა.

მირიანი დარბაზში შევიდა და დარეჯანისკენ გაემართა. 14 წლის უნახავი დედა-შვილი მუხლებზე დაეცნენ, დაჩოქილნი გადაეხვივნენ ერთმანეთს და მწარედ ატირდნენ. ბოლოს მირიანი წამოდგა, დედა ანუგეშა და ბატონიშვილებთან მივიდა მისასამძიმრებლად.

ამ დროს, ქვეყანაში შავი ჭირი მძვინვარებდა, ამიტომ სამეფო ოჯახი რამდენიმე ათეულ დღეს ელოდა ეპიდემიის ჩაცხრომას, რათა დაკრძალვის ცერემონიალი წინასწარი გვეგმით განსაზღვრული სათანადო პატივისცემით გამართულიყო თბილისშიც და მცხეთაშიც. მიუხედავად ზამთრის ცივი დღეებისა და კუბოში ყინულების ჩაწყობისა, იყო ცხედრის გაფუჭების საშიშროებაც.

დრო კი აღარ ითმენდა, არც ეპიდემია ეკლებდა და ბოლოს ტახტის მემკვიდრე გიორგისთან შეთანხმებით გადაწყდა, მეფის ცხედარი გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს პირდაპირ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში დაეკრძალათ.

ერეკლეს გამოსვენების დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი ეკლესიის გარშემო, რო-

*თელავის სასახლე*



მელშიც მეფის კუბო იდგა. თელავში და თელავიდან გასასვლელ გზაზე ხალხის ტევა არ იყო.

პროცესიის წინა რიგებში ცხენოსანი და ქვეითი ჯარი განლაგდა ორი ზარბაზნითურთ.

ორმოცდღიანი ტირილი, სამგლოვიარო წირვა-ლოცვა და გალობა დროებით შეწყდა. ზარბაზნების ბათქმა და თოფების სროლამ ხალხს აუწყა, რომ ერეკლეს ცხედარს უკვე მცხეთაში მიასვენებდნენ.

ატყდა ზარების სულის შემძვრელი რეკვა.

პროცესია დაიდრა, საგარაუდოდ გომბორის გზით მიდიოდნენ თბილისისკენ. კუბო ხელით მიჰქონდათ. ერეკლეს კუბოს ხელით ტარება დიდი პატივი იყო ყველა ქართველისათვის. გზისპირა სოფლებში გამოფენილი ხალხი ხმამაღალი ტირილით ბოლო გზაზე აცილებდა თავის მეფეს.

„ოცი ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლი მიაცილებდა ერეკლეს კუბოს“, — წერს რუსი ისტორიკოსი პიოტრ ბუტკოვი, რომელიც ამით თითქოს გვეუბნება, — აი, რა ხალხი ხართ ქართველები. მეფემ გადამწყვეტი ბრძოლისთვის ორი ათასამდე კაციც კი ვერ შეაგროვა, მის კუბოს კი ოცი ათასი მეომარი მიჰყვებოდაო. სად იყვნენ ისინი მაშინ, როცა უჭირდა მეფეს და ქვეყანასო. თუმცა ვფიქრობთ, მეომართა რიცხვი ამდენი ვერ იქნებოდა.

იმ დღეს თელავში მართლაც მოვიდოდა ბევრი ხალხი, შეიძლება ოცი ათასზე მეტიც, მაგრამ ცნობილია, რომ მაშინ ქართლ-კახეთში ამ რაოდენობის მეომრის შეკრება შეუძლებელი გახლდათ. მით უმეტეს, შავი ჭირის ეპიდემიის საშიშროება არსებობდა, რის გამოც ქართლიდან კახეთისკენ გადაადგილებას ერიდებოდნენ. მოდარაჯე რაზმელებს იმათი მოკვლის უფლებაც კი ჰქონდათ, ვინც მათ არ დაემორჩილებოდა და უნებართვოდ, ძალით წასვლას მონიდომებდა კახეთისკენ.

ოცი ათასი მეომარი მართლაც რომ მოსულიყო დაკრძალვაზე, შეკრებილი ხალხის კოლონები ჯართან ერთად 10 კილომეტრზე მაინც გაიჭიმებოდა, რაც წარმოუდგენელია და რაზეც არც რომელიმე სხვა ისტორიული წყარო არ მიუიბუთებს. ალბათ მართალია ცნობილი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი, როდესაც ბრძანებს: „ოდეს მეფე გარდაიცვალა თელავსა, ჭირი ესე იყო მიზეზი რომელ მცირედითა კაცითა და არა დღესასწაულებით გადაიტანეს გვაში მეფისა მცხეთას დასასაფლავებლად“.

როგორც ჩანს, დაკრძალვა დიდი პომპეზურობით კი იყო გათვალისწინებული, მაგ-



ღვთაების სახელობის ეკლესია (ე.წ. ყორჩიბაშიშვილების) თელავის სასახლესთან, სადაც დასვენებული იყო ერეკლე II (ირაკლი ლეონიძის შოტო)

რამ შავი ჭირის გამო, როგორც ამას პლატონ იოსელიანი წერს, „დღესასწაულებით“ ვერ მოხერხდა.

იმ დროს ბევრი არასწორი და დამამცირებელი რამ იწერებოდა ქართველებზე, რასაც ზოგჯერ ჩვენც ვიმეორებთ და საკუთარ თავს ვაკინებთ.

აი, რა ტყუილს მოგვითხრობს არტემ არარატსკი თავის წიგნში, რომელიც 1813 წელს პეტერბურგში რუსულად გამოსცა (შემდგომ ეს წიგნი ოთხ ენაზე ითარგმნა — გერმანულად, ინგლისურად, სომხურად და ქართულად და ამიტომ ბევრი ისტორიკოსი იმეორებს ამ არასწორ მონათხრობს): „კრწანისის ომის შემდეგ ერეკლე ანანურის ეკლესიაში ვნახე დამწერებული, ცხვრის ტყაპუჭში გახვეული. იგი კედლისკენ პირმიქცეული იჯდა. ერთ დროს ძღვეამოსილი და სახელგანთქმული მეფე ყველას მიეტოვებინა, მისთვის ყველას ეღალატა — ოჯახის წევრებს, ახლობლებს, თანამებრძოლებს, რომელნიც ადრე მის შხეს ფი-



ერეკლე II-ის საფლავი. სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ამბოხის წინ

ცულობდნენ. ასაკოვან მეფეს საქართველოში მხოლოდ ერთადერთი ერთგული კაცი შემორჩენოდა. ეს იყო სომეხი მსახური, რომელიც სომხურად დამელაპარაკა, მითხრა, რომ ნამათხოვრებით ირჩენდა თავს და ნაწყალობეკ პურის ნატყებებს ერეკლესაც უნაწილებდა სამადლოდ“.

ეს არარატელის ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ცნობილია, რომ კრწანისის ომში დამარცხებული მეფე ანანურში ასელისთანავე ოჯახისა და ახლობლების გარემოცვაში იყო. მან იმავე დღიდან დაიწყო საქმიანი მიწერ-მოწერა და საომრად მზადება. მისთვის არც ერთ ოჯახის წევრს არასდროს უღალატია.

საქმე ის გახლავთ, რომ არასწორი და ქართველთა დამაკნინებელი ამბების გავრცელება რუსეთის იმპერიას საქართველოს „ნებაყოფლობით“ მიერთების გასამართლებლად სჭირდებოდა.

თულავიდან წამოსული, ერთობ შეთხელეებული პროცესია თბილისის მოუახლოება. შავი ჭირის მძვინვარების გამო მეფე ქალაქში ვერ შეაბრძანეს და მცირე ხნითაც ვერ დაას-

ვენეს სიონში. მახათას მთის ძირას შეჩერდნენ, კუბო თბილისისკენ შეაბრუნეს, თითქოს უნდოდათ მეფისთვის მისი საყვარელი ქალაქი უკანასკნელად დაენახებინათ. შემდეგ ავჭალისკენ დაიძრნენ. მცხეთის გამოღმა მიადგნენ არაგვს და კუბო მდინარის ნაპირთან დაასვენეს. არაგვის გაღმა მცხეთელები იდგნენ. პროცესიის მოსვლისთანავე მათ ფეხით გადმოვლეს არაგვი, რათა ძვირფასი ნეშტი გადაეხარებინათ.

კახეთიდან მოსულებმა კიდევ ერთხელ დაასველეს ცრემლით მეფის ცხედარი და უკან გაბრუნდნენ.

მცხეთელები მიუახლოვდნენ, მოწიწებით თაყვანი სცეს მეფეს, დაიჩოქეს კუბოსთან, შემდეგ კუბო ასწიეს და ისე ფრთხილად გადაატარეს არაგვზე, თითქოს ცდილობდნენ, არ გაეღვიძებინათ მხცოვანი, ხალხზე ფიქრით გადაღლილი მძინარე მეფე.

კუბო სვეტიცხოვლის კარიბჭესთან მიიტანეს და იქ შემოგებულ ბერებს გადააბარეს.

თულავიდან წამოსულ ჭირისუფალთაგან არაგვი შეპყლია მცხეთაში ერეკლეს ცხედარს, გარდა სამეფო კარის მღვდელ ქრისტეფორესი. შავი ჭირით დაავადების შიშით ვერაგვი ეკარებოდა სვეტიცხოვლის მიდამოებს, რადგან სვეტიცხოვლის ეზო და თვით ტაძარი სასე იყო სნეულებით. ზოგი მათგანი ცოცხლად გადარჩენის იმედით, ზოგი კი გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში — ღვთის სახლს შეფარებოდნენ და მის განაჩენს ელოდნენ.

ქრისტეფორე კეჭერაშვილი-ბადრიძე იყო ის მოძღვარი, ვინც მეფის ოჯახს აღუთქვა, რომ საკუთარი სიცოცხლის განსაცდელში ჩაგდების ფასად აღასრულებდა ყველა ქრისტიანულ წესს და საკადრისად დაკრძალავდა მეფეს. ქვეყნისა და მეფის ერთგულმა მოძღვარმა, რომელსაც კიდევ სხვა მრავალი კარგი საქმე ჰქონდა ერისთვის გაკეთებული, ახლაც პირნათლად მოიხდა თავისი ვალი — „თავი გამოიმეტა“, „საფლავს მიუდგა და ემსახურა“, მცირე ალაპიჯ გადაიხდა.

1798 წლის 21 თებერვალს, კვირას, სვეტიცხოვლის ტაძარში მიწას მიეპარა კიდევ ერთი ქართველი მეფე, ღირსეული წარმომადგენელი ბაგრატიონთა გვარისა. დაასაფლავეს „მუნ, მარჯვენით კერძო შინაგან დიდისა მის ეკლესიისა, ქვემოთ პირისპირ ხატისა მაცხოვრისა, მეუფისა ქრისტე მხსნელისა ჩვენისა“.

**თეიმურაზ პატრიარქი**



კახის რაიონის (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) სოფელ ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის კურთხევისას შეკრებილი მრევლი

## ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია განახლდა

*ისტორიულ ჰერეთში 1921 წლიდან დღემდე იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულენი, მშობლის კალთიდან აგლეჯილი და გაშვილებული ბავშვებით არიან. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად უძძიმესი ზეწოლისა, შეინარჩუნეს ქრისტიანული სარწმუნოება. ჰერეთი საკმაოდ მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათი უმრავლესობა, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაშია. უფრო მეტად სავალალოა ის ფაქტი, რომ ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი ღვთისმსახურებას მოკლებულია.*

ჰერეთის ეპარქია 2002 წლიდან შეიქმნა და ნეკრესის ეპარქიასთან გაერთიანდა. 2009 წლიდან ჰერეთი გამოეყო ნეკრესს და ზორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიად იწოდა, მღვდელმთავრად კი დადგინდა ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე).

კახის რაიონის ტერიტორიაზე აქამდე მხოლოდ ერთი მოქმედი ქართული წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი იყო, რომელიც უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის

სის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის მზრუნველობით ამოქმედდა, თუმცა ამ რეგიონის ეკლესიებში ღვთისმსახურების აღდგენა არც ისე მარტივად მოსაგვარებელია. სამწუხაროდ, ქურუმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოლოცვა მხოლოდ წელიწადში ორჯერ, გიორგობის დღესასწაულებზე — 6 მაისს და 23 ნოემბერს არის შესაძლებელი.

სოფელ ალიბეგლოს (ისტორიული სახელწოდებაა ქათმისხევი) მოსახლეობა მთლიანად





მეუფე მელქისედეკი სოფელ ალიბეგლოში წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის კურთხევისას

მართლმადიდებელი ქრისტიანია. ამ სოფელში 1871 წელს წმინდა ნინოს სახელობის ტაძარი აშენდა. კომუნისტური მმართველობის ეპოქაში ტაძარი მინერალური სასუქების საწყობად გადაკეთდა.

ყოვლადუსამღვდელოესმა, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა აზერბაიჯანის მხარესთან მოლაპარაკების შედეგად ალიბეგლოს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის აღდგენისა და იქ ღვთისმსახურების უფლება მოიპოვა. კომპლექსი ჯვარგუმბათოვანი და ბაზილიკის ტიპის ტაძრების ერთიანობას წარმოადგენს.

შარშან ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის მელქისედეკის ლოცვა-კურთხევითა და ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით დაიწყო ტაძრის აღდგენის სამუშაოები. კეთილმოეწყო შიდა ინტერიერი, გაკეთდა ფასადი და მისასვლელი გზა. ალიბეგლოს დრამატული თეატრის წარმომადგენლის, კოტე ბარიხაშვილის ხელმძღვანელობით ტაძარს კერძო პირებმა და ორგანიზაციებმა ფინანსური დახმარება აღმოუჩინეს.

ბოლო ხუთი წელიწადია, რაც ალიბეგლოში მრევლმა წმინდა ნინოს დღესასწაულების განსაკუთრებული აღნიშვნა დაიწყო. 2011 წლის 27 იანვარს, ნინობას უკვე აღდგენილ, რესტავრირებულ ტაძარში მეუფე მელქისედეკის ლოცვა-კურთხევით კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა მღვდელმა ბასილი გოგილაშვილმა პარაკლისი გადაიხადა. მსახურებას მიმდებარე სოფლებიდან მოსული ასობით ადამიანი დაესწრო. მრევლს განახლებული ტაძარი დახვდა.

2011 წლის 1-ელი ივნისი ჰუმანიტარული დღეა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიისა და სრულიად საქართველოსათვის. ამ დღეს სოფელ ალიბეგლოში ეპარქიის მმართველმა მღვდელმთავარმა მელქისედეკმა (ხაჩიძემ) ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად განახლებული ტაძარი აკურთხა. მსახურებას დაესწრნენ მხარეთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ოფიციალური პირები. ათწლეულების დუმილის შემდეგ, ტაძარში პირველად აღველინება ქართული ლოცვა, იგალობებენ ქართულად. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საზეიმო განწყობა კონცერტით გამოხატეს. იმ დღეს ალიბეგლოელები გულით მღვროდნენ, გულით ცეკვავენ და კიდევ უფრო სავსე გულით ქართველობდნენ.

ლიაკონი გაბრიელი (გაენიაძე)





# ქრისტიანობა

ქრისტეს ერთი დიდი სასწაულთაგანი იყო დაპურება ხუთი ათასი კაცისა, რომელიც მისი ქადაგების ხმას გამოჰყოლოდნენ თავიანთი დაბებიდან და ქალაქებიდან. უზარმაზარ ბრბოს, რომელიც ტიბერიის ტბის პირას შეჩერებულყო, ისე შემოაღამდა ქრისტეს ქადაგებაში, რომ შინ წასვლა დაუგვიანდა. ანდრია მაცხოვარს უთხრა, რომ მხოლოდ ხუთი პური და ორი თევზი ჰქონდა ერთ ყმაწვილს. მაშინ იესომ მოატანინა პურები, თვალები ცისკენ აღაპყრო, პურიანი კალათა მალა ასწია და დაილოცა, შემდეგ პურები დატეხა და მისცა მოწაფეებს, რომელთაც დაარიგეს ხალხში. საჭმელი ყველას ეყო, მორჩათ კიდევაც, რომლის შეგროვება ბრძანა ქრისტემ და ეს ხაზგასმულად გააკეთა, რათა დაენახებინა თავისი მოწაფეებისთვის, რომ მფლანგველობა უცხოა ღვთის სახლის მამულებელათთვის.

ამის შემდეგ ხმა დაირხა, რომ ჰუმარიტად მესიის სასწაულს შეესწრნენ. ხალხი აღტაცებაში მოიცვა. შხად იყვნენ, ქრისტე მეფედ გამოეცხადებინათ. ამას რომის ხელისუფლების გაღიზიანება შეეძლო. სამიშროება წამიერად

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №6)

იგრძნო იესომ. მისი მითითებით მოწაფეები ნავში ჩასხდნენ და ზღვის შუაგულისკენ გაცურეს, თავად მან კი ხალხი დაარწმუნა, რომ ამჟამად მათთან განშორება იყო საჭირო.

იესო ზევანზე სალოცავად განმარტოვდა. გრძობდა, რომ დადგა დიადი გარდატეხის მომენტი, რომელიც მას განსაცდელს უშხადებდა და აჰა, ავიდა მამის წინაშე თავისი სულის გასამაგრებლად. ანაზდეულად ქარი ამოვარდა, ზღვა აღელდა, ნავს ქარიშხალი დანთქმით



იმ ადგილას, სადაც იესო ქრისტემ ხუთი პურითა და ორი თევზით ხალხი დააპურა, ამჟამად ტაძარია აგებული



და ოდეს დაჰპანნა ფერხნი მათნი, მოიღო სამოსელი თვისი და ინახ-იდგა და მერე ჰრქუა მათ: უწყითა, რაი-ესე გიყავთქუნენ თქუნენ მზადით მე: მოძღუარო და უფალო, და კითილად სოქუთ, რამეთუ ვარ უკუეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან და მოძღუარმან, თქუნენცა თანა-ვაც ურთიერთას დაბანად ფერხთა (იოანე, 13. 12-14).

ემუქრებოდა. მოციქულებს იმედი გადაეწურათ, რადგან მათ გვერდით არ იმყოფებოდა ის, ვისაც შველა შეეძლო. ამ დროს ზღვაში გაიბრწყინა რაღაცამ, მოციქულებმა ნანახი მოჩვენებად მიიღეს, რადგან ზღვაზე მავალი იესო ვერ წარმოედგინათ. ის კი მოიწვედა მათკენ და არ იძირებოდა. იესომ ხმა ამოიღო: „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ“. იესოს ხმით გულმოცემულმა პეტრემ ანგარიშშიუცემლად წამოიძახა: „უფალო, თუ ეს შენა ხარ, მიბრძანე, მოვიდე შენთან წყალ-წყალ“ და მაცხოვრის დასტურზე წამსვე გადაეშვა წყალში, მაგრამ იწყო დაძირვა და უმწეოდ ასავსავება ხელებს. მაშინ მაცხოვარმა გაუწოდა ხელი, აიყვანა ნაეზე და უთხრა: „რატომ დაეჭვიდი მცირედ მორწმუნე“. როცა ზღვაზე ქარი ჩადგა, აღტაცებულმა მოციქულებმა თავყვანი სცეს იესოს და მიაგეს სიტყვა: „ჭეშმარიტად ღვთის ძე ხარ შენ“.

ებრაელთა წარმოდგენით, ავადმყოფობა ცოდვის გამო მოველინებოდა ადამიანს, ცოდვა კი უნდა გამოესყიდათ საწესჩვეულებო რიტუალითა და მსხვერპლშეწირვით და იგი უნდა შეესრულებინათ მხოლოდ კულტის მსახურთ. ხოლო ქრისტე კიდევაც კურნავდა სნეულთ და კიდევაც მიუტყვებდა, რასაც ფარისევლები თავიანთ საქმეში ჩარევად მიიჩნევდნენ.

იესოს წინააღმდეგ ფეხზე დადგა იერუსა-

ლიმის სამღვდელეობა, მღვდელმთავრების — ანასა და კაიაფას მეთაურობით. ღვთისმსახურთა თათბირისას მათთან გამოცხადდა იესოს ერთი მოწაფეთაგანი, იუდა და თავისი სამსახური შესთავაზა იესოს დასატყვევებლად, რადგანაც ეშმაკი შევიდა მასში და მისი ბნელი სული ბოროტებით აივსო.

ვნების კვირის ოთხშაბათს ქრისტემ თავისი მოწაფეები პეტრე და იოანე გაგზავნა იერუსალიმში, რათა მოეშადებინათ ყველაფერი მომავალი დღესასწაულისთვის. წინასწარ მიანიშნა მათ იმ სახლზე, სადაც უნდა მომზადებულყვენენ პასექისთვის. როცა მოაღწია ჟამმა, იესო მოწაფეებთან ერთად მივიდა ამ სახლში და უთხრა მათ, „დიდად მსურდა, თქვენთან ერთად მეგემა ეს პასექი ჩემი ტანჯვის წინ. რადგან მე გეუბნებით, რომ აღარ ვჭამ მას, ვიდრე არ აღსრულდება იგი ღვთის სასუფეველში“. მოატანინა ვარცლი და ყველა მოწაფეს თავად დაბანა ფეხები. მხოლოდ პეტრემ გაბედა ეკითხა ამ უცნაური ქმედების მიზეზი, რაზეც ქრისტემ უპასუხა: „თქვენ მე მიწოდებთ მოძღვარს და უფალს, სწორადაც ამბობთ, რადგანაც ვარ, ამიტომ თუკი მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფეხები. რადგან მაგალითი მოგეცით, რათა როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ“. ამ

სიტყვებში გაცხადებულია უსაზღვრო თავმდაბლობისა და სიყვარულის მაგალითი, რომელიც ქვაკუთხედად უნდა დასდებოდა ქრისტიანულ რელიგიას.

საიდუმლო სერობისას იესომ რამდენჯერმე მიანიშნა მოწაფეებს, რომ მათ შორის ერთი გამცემი უნდა ყოფილიყო. „უფალო, ვინაა იგი?“ — იკითხა იოანემ. — ეს ისაა, — მიუგო იესომ, ვისაც ამოუწებ ლუკმას და მიეცემ. მან მართლაც აიღო პურის ქერქი, ამოუწო საერთო სინზე, მიაწოდა იუდას და უთხრა: „რასაც აკეთებ, მალე გააკეთე“. იუდა ელდისგან გახედა და მსწრაფლ გაეცალა სერობის მონაწილეთ. იესომ აიღო პური, აკურთხა, დატება, მისცა მოწაფეებს და თქვა: „აიღეთ, ჭამეთ — ეს ჩემი სხეულია“. აიღო სასმისი, მადლი შესწირა, მისცა მათ და უთხრა: „ყველამ შესვით აქედან, ვინაიდან ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა“. ამით ჩაეყარა საფუძველი ზიარების საიდუმლოს, რაც მოასწავებდა პურისა და ღვინის მეშვეობით ადამიანის შეერთებას მაცხოვართან. იუდას წასვლის შემდგომ მაცხოვარმა საბოლოო დარიგება მისცა თავის მოწაფეებს. „გიყვარდეთ ერთმანეთი“, დაღაღებდნენ მისი ბაგენი. ეს მტენება, რომელიც მოსეს კანონებშიც იყო მოცემული, ახალ შინაარსობრივ დატვირთვას იღებდა. ამ დარიგებამ დააეჭვა პეტრე და შეეკითხა მაცხოვარს: „უფალო, სად მიხვალ“. „სადაც მე მივალ, შენ ვერ გამომყვები ამაჟამად, არამედ შემდეგ გამომყვები“. — სულს დაუდებ შენთვისო, — უთხრა პეტრემ. „მაჟლის

ყოფილამდე სამჯერ უარმყოფ მე“ — წენარად მიუგო იესომ. ეს იყო მწარე სიმართლე. ეს იყო შეცნობა ადამიანისა, რომელმაც მართლაც დაადასტურა თავისი სისუსტე, როდესაც დატყვევებულმა მოსალოდნელი დასჯის შიშით იმავე ღამეს ქრისტეს ნაცნობობაზე სამგზის განაცხადა უარი.

მაცხოვრის დარიგებაში ისმოდა მკაცრი გაფრთხილება ახალი მოღვაწეობის შესახებ. რომ ბედნიერი მოგონება იცვლებოდა მკაცრი მომავლით, რომლის დროსაც არათუ აბგა და ჯოხი იყო საჭირო, არამედ ხმალიც, რათა გადარჩენილიყო მომავლის იმედი. გამოთხოვებისას ქრისტემ განაცხადა, რომ მოაღწია განკითხვისა და დამცირების ჟამმა, რომ ამაღლებამდე დარჩენილი დრო მისი წამებისა და შურისძიების უმძიმესი წუთებით იქნებოდა სავსე.

გეთსიმანიის ბაღში შემოუძღვა ბრბოს იუდა და საკოცნელად მიიწია იესოზე, რითაც ნიშანი მისცა, რომ ვისაც კოცნას უპირებდა, შესაპყრობიც ის უნდა ყოფილიყო.

ებრაელებს სიკვდილით დასჯის უფლება არ ჰქონდათ, რადგან იუდეაში რომის კანონები მოქმედებდა და მხოლოდ რომის მოხელეს შეეძლო განაჩენი აღესრულებინა. მღვდელმთავრებმა იესოზე მსჯავრის გამოტანა იუდეის რომაელ მმართველ პილატეს სთხოვეს. პილატემ საკმარისი სამხილი ვერ დაინახა და იესოს გათავისუფლებაც კი დააპირა, რისთვისაც კეისრის მოლაღატეობა დას-



საიდუმლო სერობა, უბისის ეკლესიის მხატვრობა. ქართველი ავტორი დამიანე. XIV ს.



ისტორიული იერუსალიმის რეკონსტრუქცია, შესრულებული ადოლფ ელზნერის მიერ. 1862

ყველა ქრისტიანისთვის საკვალდებულოა იესოსგან დადებული ათი მცნების აღსრულება, რომელიც შემდგონაირადაა ჩამოყალიბებული:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი და არ აღიარო ჩემ გარდა სხვა ღმერთი.
2. არ შექმნა კერპები და არ ეთაყვანო მას.
3. არ მოიხსენიო ღვთის სახელი ცუდად და ტყუილებრად.
4. იმუშავე და აკეთე საქმე ექვს დღეს და მეშვიდე დღე მთლიანად მიუძღვნე ღვთისმსახურებას.
5. პატივი ეცი მშობლებს და დაემორჩილე მათ.
6. არა კაც ჰკლა.
7. არ იმრუშო.
8. არ იპარო.
9. არავის დასწამო ცილი.
10. ერთდღე ცუდ საქმეს, შურიანობას, აუ განზრახვას და გიყვარდეს სხვა ისე, როგორც საკუთარი თავი.

წამეს. პილატე იძულებული შეიქნა, ხალხის ნებას დაჰყოლოდა. ამის შემდგომ იესოს დაუწვეეს ცემა, წყევლა, დაცინვა. ეკლის გვირგვინი დაადგეს თავს, ბოლოს წაიყვანეს გოლგოთის მთაზე და ორ აუზაკთან ერთად ჯვარზე გააკრეს. ექვსი საათის განმავლობაში იტანჯებოდა ჯვარზე გაკრული და უკანასკნელად მამის წიადში მობრუნებულმა ეს სიტყვები წარმოთქვა: „მამაო, შენს ხელთ ჩამიბარებია სული ჩემი“. ეს იყო ტანჯვის დასასრული, ეს იყო მისი გამეფება ზეციურ სამყაროში, ეს იყო მისი სასუფეველი ცაით, რომელიც მიიღო ღედამიწაზე ადამიანური ცხოვრების ტანჯვის შემდგომ.

ქრისტეს ჯვარცმა მოხდა პარასკევს. იმავე საღამოს ვინმე იოსებ არიმათიელი გამოცხადდა პილატესთან და სთხოვა, უფლება მიეცათ ჩამოეხსნათ ქრისტე ჯვრიდან და დაეკრძალათ. პილატე დათანხმდა, ტილოში შეხვეული მაცხოვრის გვამი გადაასვენეს კლდეში გამოკვეთილ მღვიმეში, რომლის გამოსასვლელს დიდი ქვა მიაფარეს. კვირას მენესაცხებლე ქალები მარიამ მაგდალინელი, სალომე და სხვანი მივიდნენ მაცხოვრის საფლავთან, რათა მისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ, მაგრამ მაცხოვარი იქ აღარ დაუხვდათ.

მაღე პეტრემ და იოანემაც შეიტყვეს მომხდარის შესახებ, მივიდნენ გამოქვაბულთან და იხილეს მხოლოდ ტილოს ნაჭრები, რომელშიც მესია იყო გახვეული. მოწაფეები განაცვიფრა ქრისტეს აღდგომა და ზოგი ეჭვობდა კიდევ, ვიდრე თავად არ გამოეცხადა მათ.

ქრისტეს აღდგომა და გამოცხადება არის უდიდესი და უეჭველი ფაქტი.

საყურადღებოა, რომ მოციქულები, რომლებიც ქრისტეს მოღვაწეობისას დიდი გულადობით არ გამოირჩეოდნენ, მისი ამადლების შემდგომ რადიკალურად შეიცვალნენ. არ დარჩენილა წამების არც ერთი ზერხი, მათ წინააღმდეგ რომ არ გამოეყენებინათ წარმართებს. ჩვენს სმენას დღესაც სწვდება ყიფინი აღტყინებული ბრბოსი, რომელიც მღუღარეს ასხამს და ქვევით ქოლავს შეუდრეკელ მოციქულს, რომელსაც ერთი ნერვიც არ უთრთის სახეზე და ქრისტეს მაღლით გასხვიოსნებული, უდრტვიწველად ტოვებს ამქვეყნიურ სიცოცხლეს.

სწორედ ქრისტეს ამადლება და მისი გამოცხადება იყო რწმენის გვირგვინი, რომელიც ტალღასავით აღიმართა წარმართული მსოფლიოს თავზე.

იესოს აღდგომის პირველი მოწმე იყო მარიამ მაგდალინელი, შემდეგ კი იგი სხვა ქალებსაც გამოეცხადა, ეჩვენა პეტრესა და იოანეს, ასევე ყველა მოწაფეს, გალილეის მთაზე კი თავის ხუთასზე მეტ მიმდევარს.



*პილატე პონტოელი იერუსალიმის მოსახლეობას აჩვენებს გვეშულ იესოს. ანტონიო ჩიზური (1821-1891)*

ასე გაგრძელდა ორმოცი დღის განმავლობაში. იესო ცხრაჯერ გამოეცხადა თავის მიმდევრებს, მაგრამ მისი სხეული უკვე აღარ ეკუთვნოდა ადამიანურს, მასში უკვე შეიმჩნეოდა არამიწიერი ცხოვრების ხატი და ბოლოს დადგა დრო განშორებისა. იგი თავის მოწაფეებს უკანასკნელად გამოეცხადა იერუსალიმში. წაიყვანა ისინი ბეთანიისკენ და დაუბარა, არ მოსცილებოდნენ იერუსალიმს მანამდე, სანამ სულიწმიდა არ გადმოვიდოდა მათზე. მისცა მათ საბოლოო დარიგება, ხელები მაღ-



*სტენა ფილმიდან „ქრისტეს ვნებანი“ (რეჟისორი მელ გიბსონი)*



*იესო ქრისტეს გამოსახულება სამთავისის ტაძრის გუმბათზე. დაცხრილულია კომუნისტი აქტივისტების მიერ*

*ბიჭვინთის ტაძარი (აფხაზეთის ა/რ, საქართველო), რომლის ეპისკოპოსი იხსენიება ნიკეის პირველი საეკლესიო კრების მონაწილეთა შორის*



ლა ალაპერო, დალოცა და თანდათანობით ამაღლდა ცაში. აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს იერუსალიმში ძლიერმა ქარმა დაჰბერა და მოციქულებზე სულიწმიდა ცეცხლის ენების მსგავსად გადმოვიდა; დაიწვეს ლაპარაკი და ღმერთის დიდება სხვადასხვა ენაზე. მაშინ პეტრემ განუმარტა მოციქულებს, რომ ნება ეძლეოდათ იესოსგან, წასულიყვნენ სხვადასხვა ქვეყანაში და მესიის სახელით ექადაგათ ქრისტიანობა.

ისტორიული თვალსაზრისით, ეს იყო ერთობ რთული პროცესი, რომელსაც უამრავი დამაბრკოლებელი გარემოება ახლდა თან ებრაელებისა და წარმართების მხრიდან, რამაც შეიწირა ყველა მოციქული, გარდა იოანესი. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობის ძლევამოსილი სვლის შეჩერება უკვე აღარავის შეეძლო.

ქრისტიანული თემის წევრებს, ჯერ კიდევ რომის იმპერიის აღმოსავლეთის პროვინციების მმართველ გალერიუსის 311 წელს გამოცემული ედიქტით, მიეცათ ლეგალიზებული აღმსარებლის ნება იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ „მათ რიტუალში არ ყოფილიყო შემჩნეული საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედება“.

ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის ხელშეწყობით ქრისტიანები დამკვიდრდნენ წმინდა ადგილებში, ქრისტიანობაში ჩამოყალიბდა სამღვდლოების იერარქიული ორგანიზაცია. 325 წელს ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იმპერატორ კონსტანტინე I-ის დასტურით ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. წარმოიქმნენ ავტოკეფალიური, დამოუკიდებელი ეკლესიები, რომელთაც სათავეში პატრიარქები ჩაუდგნენ.

თავდაპირველად იყო რომის, ალექსანდრისა და ანტიოქიის ავტოკეფალიური ეკლესიები. შემდეგ ასეთთა რანგში შეირაცხნენ იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებიც. ნიკეის საეკლესიო კრებაზე შეიმუშავეს უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხები. კრებამ დაადგინა სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი. საინტერესოა, რომ ნიკეის საეკლესიო კრების ოქმებში მოხსენიებულია ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მღვდელმთავარი სტრატოფილე, რაც აშკარად მიუთითებს იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული მრევლის არსებობას.

**ელდარ ნალირაძე**

# დიდი ანტიკონი ხელოვნები — ეპიკურიანი საქართველოდან

გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილის  
რამდენიმე ნამუშევარი  
თბილისში აღმოჩნდა

*„გაამერიკელებული ქართველი ფიროსმანი“  
— ამ ფრაზას დაფიქრებული წარმოთქვამს  
ამერიკაში მყოფი ქართველი მწერალი  
აკაკი ბელიაშვილი. აქ, ნიუ-იორკში,  
სასტუმრო „სკოტლენდის“ მეოცე თუ  
ოცდამეორე სართულზე მცხოვრებ  
მასპინძელს, ცნობილ ფალაჟან ნიკოლოზ  
ქვარიანს მწერალი არც იმას დაუმალავს,  
რომ მათი თანამემამულის, გიორგი  
პაპაშვილის შესახებ საქართველოში  
ლგენდები დადის, ანუ ამ თაობამ კარგად  
იცის ბევრი რამ... უფრო მეტის შეტყობას  
ცდილობს.*



გიორგი (ჯორჯ)  
პაპაშვილი

ცნობილი ამერიკული ბესტსელერის —  
Anything Can Happen („ყველაფერი შეიძი-  
ლება მოხდეს“) ავტორი გიორგი (ჯორჯ) პა-  
პაშვილი მოქანდაკე გახლდათ. მისი გვარ-სა-  
ხელი შეტანილი იყო ისეთ სოლიდურ გამო-  
ცემებში, როგორებიცაა „ვინ ვინ არის ამე-  
რიკულ ხელოვნებაში“, აგრეთვე „ვინ ვინ  
არის XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატუ-  
რაში“.

გამოფენები: პენსილვანიის სახვითი ხე-  
ლოვნების აკადემია, ფილადელფიის ხელოვნების  
მუზეუმი, რედინგის სახელმწიფო მუ-  
ზეუმი და ხელოვნების გალერეა, ვუდმორის  
გალერეა... მოქანდაკის გარდაცვალებამდე  
რამდენიმე წლით ადრე (1971) უილიამ პენის  
მემორიალურ მუზეუმს რეტროსპექტულ ჩვენებაზე  
გიორგი პაპაშვილის 60 ნამუშევარი  
გაუტანია.

ორივე წარმატება — მწერლისა და მოქან-  
დაკისა, დაუგვემავად, თავისთავად მოხდა. მისი  
ექვსასზე მეტი ნამუშევარი — ნიჭის, შრომის-


მოყვარეობის, გემოვნების ნიმუშია. ამ ნამუ-  
შევრებში პრიმიტივიზმი და მოდერნიზმი შე-  
მოქმედის ხელწერის ნიშნად იქცა. ფრაგმენ-  
ტი ერთ-ერთი შეფასებებიდან: „ადრეული ნამუ-  
შევრები, საიდანაც მისი სტილი განვითარდა,  
სულაც არ არის დამწყობისა. ეს არის ჩამოყა-  
ლიბებული, მცოდნე პროფესიონალის ქმნი-  
ლებები... მათ, ვინც ესკიზის შესწავლას აპირ-  
ებს, გიორგი პაპაშვილის ეს დამახასიათე-  
ბელი ნიშანი ნამდვილად გენიად უნდა მიიჩ-  
ნიონ“, — ამ სიტყვებს ჩარლზ ჰ. მულენბერგი  
(უმცროსი) დაწერს.

თითქმის 40 წლისა იყო... შინ სტუმრები  
ჰყავდა. მეგობრები მაგიდასთან სასაუბროდ  
დასხდნენ. დისკუსიაში ჩაერთო, მაგრამ მა-  
ლე გაჩუმება არჩია. გაჩუმება, მაგრამ არა გა-  
ჩერება. უსმენდა, მაგრამ უკვირდა:

— რატომ არ შეიძლება იმის გაკეთება, რა-  
საც კარგად იცნობ?!

მოსაუბრეები ერთმანეთს მოქანდაკის ნიჭ-  
სა და შესაძლებლობებზე ედაუებოდნენ. გიორ-





ამერიკული ბესტსელერის, „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ (Anything Can Happen) გარეკანი

გი პაპაშვილმა თავისი მოსაზრების დამტკიცება გადაწყვიტა:

„ფარულში წავედი და წაბლის ხის ნაჭერი ავიღე. გადავწყვიტე, ცხვარი ამომეკვეთა. ამ ცხოველს ისე კარგად ვიცნობდი, რომ შეცდომა ნამდვილად არ მომივიდოდა. დავიწყე ფიგურის ამოკვეთა და მას შემდეგ ეს საქმე არც შემინწყვეტია“.

ეს მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ ყოფილა, იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ სასიცოცხლო ყოველდღიურობად იქცა. დადიოდა ტყეში, ზღვის სანაპიროზე, მდინარის ნაპირზე, მინდორში... ყველგან ქვეს არჩევდა. ამოწმებდა სიმტკიცეს, სიჯანსაღეს, ფერს. არცთუ იშვიათად, ყიდულობდა კიდეც. ქვებით დატვირთული სატვირთო მანქანა ქუჩას რომ შეუყვებოდა, ყველამ იცოდა, რომ მოქანდაკეს ქვები კი არა, უკვე მათში დანახული ქანდაკებები მოჰქონდა; ამიტომაც მოჰქონდა ფროთხილად.

„პაპაშვილების ოჯახი პენსილვანიაში ცხოვრობდა. ეზოს უკან ბაღი ჰქონდათ, რაღაცები. ქვები, დიდი ქვები. გამოხატულებით ზედა: დათვი, სელაპი... სპეციალურ ქვას ნა-

ხელობდა, ყიდულობდა და მოჰქონდა. მერე დიდი გამოფენა მოაწყო“, — ამას ბატონი ალექსანდრე ფუტკარაძე ჩემთან საუბრისას გაიხსენებს (იგი ამერიკაში მცხოვრები უხუცესი ემიგრანტი ქართველია, რომელსაც პაპაშვილების ოჯახსა და ჰოლოკოსტთანაც საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა).

უზარმაზარი ნამუშევრების გადაადგილება თოკების, ბორბლების, თავკაყების, გორგოლაჭებისა და ძელების გამოყენებითაც კი ზოგჯერ შეუძლებელი იყო. თოკი წყდებოდა, ქვა იმსხვრეოდა და ჩამოიშლებოდა, ძელი გადატყდებოდა... ეს არაფერი! მოთმინება, სიყვარული და ყველაფრის „თავიდან დაწყების“ ჩვეულებრივი განცდა...

ახალმა სახელოსნომ ბევრი რამ შეცვალა. გიორგი პაპაშვილს აკადემიური სამხატვრო განათლება არ მიუღია. ის თვითნასწავლი ნიჭიერი შემოქმედი იყო, მუშაობდა ხეზე და ქვაში.

ნამუშევრებზე ინიციალებს არასოდეს ტოვებდა. მიაჩნდა, მეტიც — დარწმუნებული იყო, რომ „ხელმოწერა თავად ხელოვნების ნიმუშია“. თავად ნამუშევრით უნდა მიმხვდარიყო მხაზველი ავტორის ვინაობას და არა მიწერილი გვარ-სახელის მეშვეობით. მის ნამუშევრებზე, გამოფენებზე იწერებოდა რეცენზიები, სტატიები, გამოკვლევები; შეერთებულ შტატებში გამოიცა რეტროსპექტული კატალოგიც (1979).

კარგა ხანს, გიორგი პაპაშვილის ნამუშევრებზე ჩვენში მხოლოდ მისი აღწერებითა და ილუსტრაციებით შეიძლებოდა ესაუბრაო, იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ ისინი საბჭოთა სივრცეში არავის უნახავს.

1990-იან წლებში სატელევიზიო გადაცემა „ვერნისაჟმა“ წარუდგინა ქართველ მაყურებელს მოქანდაკე ჯორჯ პაპაშვილი. გაზეთი „ეთერშია საქართველო“ წერდა, რომ „შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის“ სახვითი ხელოვნების პროგრამების შემოქმედებითი ჯგუფი დღენიდაგ გულისყურით ეკიდებოდა და ეკიდება როგორც ქართველ მხატვართა გასვლას საზღვარგარეთ... ისე საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ ხელოვნთა შემოქმედების პოპულარიზაციას“. გაზეთმა რამდენიმე ამონარიდი გააცნო მკითხველს გადაცემიდან: „ჯორჯ პაპაშვილი ჩადა აშშ-ის ყველაზე გამოჩენილი მოქანდაკეების რიგში“; „იმას, რაც ჯორჯ პაპაშვილმა ჩვენს ქვეყანაში 55 წლის განმავლობაში შეძლო, შეიძლება ეწოდოს

„ამერიკული ოცნება“. ან კიდევ: „ემიგრანტი საბჭოთა საქართველოდან გახდა მსოფლიოში ცნობილი სკულპტორი“. და საჯარო ინფორმაცია, რაც ამჯერად მეტად ყურადსაღებია: „საქართველოს არც ერთ მუზეუმში, გალერეასა თუ კერძო კოლექციაში მოქანდაკის არც ერთი ნამუშევარი არ არის დაცული, ვერც ალბომსა და კატალოგზე მიგვიწვდება ხელი“.

ამ განაცხადსა და კომენტარს არავინ გამოხმაურებია — არც სახელმწიფო სტრუქტურებიდან, არც რომელიმე ხელოვნებათმცოდნე.

გიორგი პაპაშვილის ნამუშევართა შეფასებისას, „ცხენი“ ერთ-ერთ საინტერესოთა რანგში განიხილება და შესაბამისად, გამოიყოფა კიდევ. ამგვარადაა შეფასებული ის შემოსვენებულ წიგნში, რომელშიც ყოველ ნამუშევარზე მითითებულია მისი შექმნის წელი, მასალა, ზომები და შენახვის ადგილი სახელმწიფო დაწესებულებასა თუ კერძო კოლექციაში. ყურადღება მიიქცია იმან, რომ სწორედ „ცხენი“ ინახება საქართველოში.

სხვათა შორის, საბჭოთა საზღვარი ხელნაწერს ან წიგნს მალულად რომ „გადმოეღახა“, ათასგვარი ხერხი არსებობდა, თუმცა ერთმნიშვნელოვნად საშიში იყო (მსგავსი ფაქტურაკიანი თავგადასავლები არაერთი უხუცესი ემიგრანტისგან მომისმენია...), მაგრამ ქანდაკება? და ისიც სახელმწიფო დაწესებულებაში დაცული?! ეს მხოლოდ ოფიციალურად შეიძლება დაშვებულიყო.

1960-იან წლებში გიორგი პაპაშვილი საქართველოში მეუღლესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით გახლდათ... უკან დაბრუნებულმა გზიდან მაშინდელ გაზეთ „კომუნისტს“ სამადლობელი წერილი გამოუგზავნა. კმაყოფილებით იხსენებდა მწერალთა კავშირში შეხვედრას, საუბრებს, მცხეთაში მიხეილ მამულაშვილის ბაღის დათვალიერებას... ერთი ამონარიდი: „ვნახეთ ხელოვნების მუზეუმის მდიდარი კოლექციები. შევხვდით მხატვართა კავშირის წევრებს“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ კი მკითხველს ამცნობს მის გადაწყვეტილებას: „ამერიკაში რომ დავბრუნდები, ქანდაკებას (გულისხმობს სვეასტოპოლის გმირი დამცველებისადმი მიძღვნილ სკულპტურას, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა ჯორჯ პაპაშვილის შემოქმედებაში. — რნ.) გმირ ქალაქს გამოვუგზავნი, ხოლო საქართველოსთვის „რაჭველი მეს-



*სვეასტოპოლის გმირი დამცველებისადმი მიძღვნილი სკულპტურა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა ჯორჯ პაპაშვილის შემოქმედებაში*

ტვირე“ — ორმეტრიანი ქანდაკება მაქვს და ჩასვლისთანავე გამოვგზავნი“.

„კოლექციები“ წარსულია, „ამერიკაში რომ დავბრუნდები“ კი — მომავალი. აწმყო გამოტოვებულია. აწმყოზე ისევ არაფერს ამბობს ან ეგებ თქვა კიდევ, მაგრამ ამის თაობაზე გაზეთებმა არაფერი დაწერეს.

აწმყოზე არც მაშინ თქმულა არაფერი და როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, არც მოგვიანებით. არადა, გიორგი პაპაშვილის ნამუშევრები მის სამშობლოშიც ინახება! სკულპტორის სამი ნამუშევარია დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განყოფილების ქანდაკების, კერამიკისა და გამოყენებითი ხელოვნების საცავებში. სწორედ საცავებში, რადგანაც იმ დღიდან, რა დღესაც ეს ნამუშევრები მოქანდაკემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა 1961 წელს საქართველოში ყოფნისას, ისინი არც ერთ გამოფენაზე არ წარმოუდგენიათ. ყოველ შემთხვევაში, მათზე არა-



„ცხენი“. ქვა, გრანიტი

ფერი დაწერილა; არანაირი მოსაწვევი ან ბუკლეტი არ გამოცემულა!

ამ ნამუშევრებს ქართული ხელოვნების მუზეუმისეული აღწერილობით წარმოგიდგინო:

1. № 167. „ცხენი“. ქვა, გრანიტი. 49X52X17 სმ (შემოწირულია ავტორის მიერ 1961 წლის ივნისში).

2. № 168. „ჩიტი“. ქვა, მოწითალო-მონაცრისფრო. 8X9X11 სმ (შემოწირულია ავტორის მიერ 1961 წლის ივნისში).

3. № 169. „ჩიტი“. ქვა, მომწვანო-მოშავო. 9X12X11 სმ.

აღწერილობაში საინტერესო რამდენიმე დეტალია, მაგრამ ერთია თვალში საცემი: 1961 წლის აპრილში (ერთი თვით იყო ჩამო-

სული საბჭოთა საქართველოში) გადაცემული ნამუშევრები მხოლოდ იენისშია გატარებული. მაინც, რა იყო ეს? დაუდევრობა, ყოყმანი, თუ არცოდნა: როგორ... ავტორი, რომლის ნამუშევრები საზღვარგარეთის ქვეყნების არაერთ სახელმწიფო თუ კერძო კოლექციაში ინახება; ამჟამად ამერიკელი, მაგრამ – ქართველი და თანაც წარმატებული ემიგრანტი... იქნებ, მერე გამოაგზავნა?! – შეიძლება დაუშვას ვინმემ. ასე სწრაფად? თანაც ოფიციალური ჩანაწერი სრულიად სხვაგვარი იქნებოდა. მინდა გავიხსენო გიორგი პაპაშვილისადმი მიძღვნილი ერთი ლექსი, პატრიცია მარტინის დაწერილი, მულენბერგისეული კომენტარით და ლელა ჟამურაშვილის მიერ თარგმნილი (ის ჯერ არ გამოქვეყნებულა ქართულად):

საჭრეთელი და ჩაქუჩი მის ხელში  
 მთელი დღეა სიყვარულზე მღერიან,  
 მანდ რა გინდა, ქვიდან მალე გამოდი,  
 ჩვენთან იყავ, აქ ვეელანი გელიან.  
 მტკიცე ხელი ქვის კარსაც კი გაადებს,  
 ეს დრუნჩია, ეს კუდია, ეს თათი,  
 როგორ ფრთხილად გადმოდიან, შეხედე,  
 ეს ძაღლია, ეს ბატკანი, ეს დათვი.  
 ისევ ისე იჭედება სიმღერა  
 სიყვარულით მოუღლელი გულით,  
 მზიარულად დარბიან და ცელქობენ,  
 ქვებს ჩაჰბერა უკვდავების სული.

ვისაც უნახავს, როგორ მუშაობს გიორგი პაპაშვილი გრანიტზე, როგორ ცვივა ნატეხები და ნაპერწკლები აქეთ-იქეთ, ვისაც მისი საჭრეთელის „სიმღერა“ მოუსმენია, ლექსის დაწერის სურვილი ნამდვილად გაუჩნდება.

გიორგი პაპაშვილის შემოქმედებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს.

რეტროსპექტული კატალოგი ამგვარ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირებს: „ჯორჯ პაპაშვილი ლიპაის ველის ხელოვნების ალიანსის, ფილადელფიის ხელოვნების ალიანსის, ოდუბონის ხელოვნება და ფილადელფიის ხელოვნება თანასწორობის ორგანიზაციის წევრი იყო“.

„ჯორჯ პაპაშვილის ხელოვნებაში გულწრფელი უშუალობა იგრძნობა; სამყარო, რომელიც მან შექმნა, საჩუქარია ყოველი ჩვენგანისთვის და დადასტურებაა იმისა, რომ ცხოვრება მშვენიერია“, – ამ სიტყვებს ჩარლზ



„ჩიტი“: ქვა, მოწითალო-მონაცრისფრო



„ჩიტი“: ქვა, მომწვანო-მოშავო

პ. მულენბერგი (უმცროსი) დაწერს პენსილვანიაში, გიორგი პაპაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ.

გიორგი (ჯორჯ) პაპაშვილი 1978 წლის მარტში გარდაიცვალა 80 წლის ასაკში. დატოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა როგორც მოქანდაკემ და როგორც მწერალმა. ეს მემკვიდრეობა ვფიქრობთ, ქართველთაგან მეტ ყურადღებას მოითხოვს.

რუსულად ნიშნინიკი

# როგორ აიყვანეს ქართველებმა ტახტზე ახალი შაჰი

მაჰ აბასის სიკვდილს ირანში ქართველთა შორის მორიბი დავირისპირება მოჰყვა...

*ირანის მდგომარეობა XVII საუკუნეში, აბას I-ის (1587-1629 წწ.), „შაჰ აბას დიდის“, „სპარსეთის ლომის“ ზეობის შედეგად არნახულად განმტკიცდა. შაჰ აბასმა ირანის შიდა პროვინციებსა და კავკასიაში გაბატონებული ოსმალები დაამარცხა და განდევნა. რამდენჯერმე ილაშქრა თავისი სამეფოსთვის არასტაბილურ მხარეებში, მათ შორის კახეთში, სადაც განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა, ასეულ ათასობით ადამიანი აყარა და ირანში გადასახლა. აღსანიშნავია, რომ ირანის სახელმწიფოს მშენებლობაში, მის შემდგომ წარმატებასა და გაძლიერებაში უდიდესი წვლილი ქართველებს მიუძღვით.*

XVII საუკუნის იტალიელი მოგზაური ჯუსტო პრატო აღნიშნავდა: „დღეს მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით, სჯულგანდგომილებით, მათ ხელშია ყველა დიდი თანამდებობა“. მართლაც, შაჰ აბასის ზეობისას ირანში მრავალი ქართველი იყო გადახვეწილი. დედაქალაქ ისპაჰანის ტარულები, ირანის სარდლები და ბეგლარბეგების დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ (როსტომ სააკაძე, უნდილაძეების საგვარეულო, სეფი ყული ხანი მირიმანიძე, ხოსრო მირზა ბატონიშვილი, ბარათაშვილები და სხვ). 1612 წლიდან მათ რიგს მოურავი გიორგი სააკაძე შეუერთდა.

შაჰ აბასი ჭირვეული, ეჭვიანი და სასტიკი დესპოტი იყო. თავისი უფროსი ვაჟიშვილი, ტახტის მემკვიდრე, ნიჭიერი მოჰამედ ბაყერი, იგივე სეფი მირზა მოაკვლევინა. სეფი მირზა ირანში ძალიან პოპულარული იყო და ჩანს,



შაჰს ეშინოდა, მის სიცოცხლეშივე არ მოენდომებინა მამის ტახტიდან ჩამოგდება. შაჰ აბასი თავის ამ საქციელს დიდხანს ნანობდა, მით უმეტეს, რაც გაცხადდა, რომ არანაირ შეთქმულებას არ უშხადებდნენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, იმავე „საფრთხის“ გამო, მომდევნო ორი ვაჟი — მოჰამედ მირზა და იმამყული მირზა დააბრმავებინა, ხოლო მეოთხე და მეხუთე — ისმაილ მირზა და ჰასან მირზა — ბავშვობაშივე გარდაიცვალნენ.

ირანის ძლიერების ზენიტში მყოფი შაჰ აბასი თავს მშვიდად ვერ გრძნობდა, მუდმივად აფიქრებდა მემკვიდრის საკითხი და აწუ-



*ბუხარის ხანის, მაჰმად ხანის მიღება შაჰ აბას I-ის კარზე. შაჰის მარჯვენა ალაფურდი ხან უნდილაძე. ჩიპილ სუთუნის (თრმოცკოშკა) სასახლის კედლის მხატვრობა, ისპაჰანი, დაახლ. 1650 წელი*


სებდა კითხვა – ვინ იქნებოდა მის შემდეგ?  
 და რადგან შვილები თვითონვე მოიშორა, უმემკვიდროდ დარჩენილმა და საგონებელში ჩაყარდნილმა შაჰმა ბოლოს არჩევანი უფროსი ვაჟიშვილის, სეფი მირზას ძეზე — საამ მირზაზე შეაჩერა და მემკვიდრედაც ის გამოაცხადა. საამის დედა ქართველი ქალი იყო. ადამ ოლეარიუსის მიხედვით, ეს ქართველი ქალი შაჰ აბას I-ისთვის უჩუქებიათ, მაგრამ რადგან იგი სეფი მირზას შეუყვარდა, შაჰმა შვილს მასზე დაქორწინების ნება დართო და ასე მოველინა ქვეყანას საამ მირზა. იგი ნაზი და უნებისყოფო, ჰარამხანაში გაზრდილი ჭირვეუ-

ლი ახალგაზრდა იყო. მის შემდეგ სეფიანებმა წესადაც კი შემოიღეს თავიანთი უფლისწულების ჰარამხანაში გაზრდა, რათა ისინი ტახტზე მჯდომი შაჰისთვის უსაფრთხო პიროვნებად ჩამოყალიბებულიყვნენ.  
 შაჰ აბასის სურვილით საამ მირზას ტახტზე ასვლის შემდეგ სახელი უნდა შეეცვალა და შაჰ აბასის „საყვარელი“ შვილის, სეფის სახელი უნდა დარქმეოდა.  
 თუმცა შაჰის ტახტზე პრეტენზია შეიძლება განეცხადებინა ისა ხან ყორჩიბაშის შვილსაც, რომელიც ასევე შაჰ აბასის შვილიშვილი იყო. თვით ისა ხანი შაჰის სიძე გახლდათ.

ირანში ამ დროს ქართველები უკვე ერთ-მანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. დაწინაურებულთა შორის გამოიკვეთა ქართული წარმომავლობის დიდებულების ორი ძლიერი დაჯგუფება.

პირველი ეს იყო შაჰ აბასისგან მეტად დაფასებული უნდილაძეების ოჯახი. სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე მოღვაწე ქართველებიდან განსაკუთრებული მდგომარეობა სწორედ უნდილაძეთა ფეოდალურ სახლს ეკავა, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ალავერდი ხანი, იმამყული ხანი, დაუდ ხანი და სეფიყული ხანი.

XVI საუკუნის ბოლოდან 1614 წლამდე ალავერდი ხანი განაგებდა ფარსის საბეგლარბეგოს. მისი გარდაცვალების შემდეგ ფარსის ბეგლარბეგი გახდა მისი ძე იმამყული ხანი, რომელმაც სპარსეთის ყურეში პორტუგალიელებს ჰორმუზი წართვა, რამაც დიდება და სახელი მოუტანა. იმამყული ხანი მის თანამედროვე ვეროპულ წყაროებში სამხრეთ ირანის ვიცე-კოროლად იხსენიება. მისი ერთი ასული ცოლად ჰყავდა ანდუყაფარ ამილახორს, მეორე — ირანში მოღვაწე დაუდ ბეგურჯს, ხოლო მესამე, ირანის სპასალარისა და თავრიზის ბეგლარბეგის, როსტომ სააკაძის ძმის, ალიყულიბეგის ცოლი იყო. ასევე გამორჩეული იყო იმამყული ხანის ძმა, განჯა ყარაბაღის ბეგლარბეგი (1625-1632 წწ.) დაუდ ხანი, რომელსაც ცოლად თეიმურაზ I-ის (1606-1648 წწ.) და ელენე ჰყავდა. მას ახლო



ურთიერთობა ჰქონდა გიორგი სააკაძესთან. იგი 1625 წელს, შაჰ აბასის ელჩის სტატუსით თბილისის მახლობლად თეიმურაზ I-თან გამართულ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა. ფარსიდან კავკასიაში გადმოსულ დაუდ ხანსა და თეიმურაზ I-ს შორის უფრო მტკიცდება კავშირი.

უნდილაძეების ოჯახი ირანში ერთ-ერთი უმდიდრესი იყო, ისინი ფლობდნენ ბაზრებს, ფუნდუკებს, ქარვასლებს, რადგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო გზები იმ დროს ისპაჰანსა და ფარსზე გადიოდა, აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ვაჭრობაშიც. ცნობილი იყვნენ ინტენსიური მშენებლობითაც, ცენტრალურ და სამხრეთ ირანში აშენებდნენ კაშხლებს, არხებს, ხიდებს, ქარვასლებს, მედრესეებს, რომლებიც დღესაც ხიბლავს მნახველს.

ქართველთა მეორე ნაწილი კი სიმონ I-ის (1556-1569; 1578-1600 წწ.) გამაჰმადიანებელი ძმის, დაუდ ხანის (ქართლის მეფე დავით XI,

*ალავერდი ხან უნდილაძის მიერ აშენებული ოცდაცამეტთაღიანი ხიდი (სი-ო-სე ფოლი), რომელიც ახალ ჯულფას ისპაჰანთან აკავშირებს*



1569-1578 წწ.) უკანონო შვილის, ხოსრო მირზას ირგვლივ ჯგუფდებოდა. იგი ირანში გაქცეულ დაუდხანს წაგვისელი გლეხის ქალისგან შეეძინა, ხოლო როცა დაუდხანი საქართველოში წამოვიდა (1569 წ.), მცირეწლოვანი ხოსრო მირზა და დედამისი „მუნ დაშთა“. ირანში დარჩენილი დედა-შვილი სიდატაკეში ცხოვრობდნენ. საინტერესოა, რომ შაჰ აბასმა სწორედ სიდატიბეში ჩაფარდნილ ხოსრო მირზას მიაქცია ყურადღება. ქართული წყაროების მიხედვით, პირველად გიორგი სააკაძემ აღმოაჩინა ნიჭიერი, ახალგაზრდა ხოსრო მირზა და მის დაწინაურებასაც დიდად შეუწყო ხელი. ხოსრო მირზამ გონიერებით გამოიჩინა თავი შაჰის კარზე. მან მალე 1618 წელს ირანის დედაქალაქის, ისპაჰანის ტარულობას მიაღწია. შაჰის არჩევანი გამართლდა. ქართველი უფლისწული სეფიანთა დინასტიისადმი ერთგულებით, სიმამაცითა და პოლიტიკური ალღოთი გამოირჩეოდა. ხოსრო მირზა ძალ-ღონეს არ იშურებდა სეფიანთა დინასტიის ხელისუფლების განმტკიცებისთვის. უდიდესი გავლენით სარგებლობდა მთელ ირანში.

შაჰ აბასი 1629 წლის იანვარში გარდაიცვალა. როცა ეს ცნობილი გახდა, ისპაჰანში არეულობა დაიწყო. ყველას ქალაქის ტარულობა, ხოსრო მირზამ დაასწრო, მან მაშინვე შეკრიბა და შეაიარაღა მოქალაქენი, შემდეგ ქალაქის ცენტრში ქართველი ყულების ჯარი ჩააყენა, ხოლო შაჰის ხაზინას მცველებად სამიველი პირები მიუჩინა, ამით ფაქტობრივად განიშტკიცა მდგომარეობა და ისპაჰანზე კონტროლი აღადგინა. წესრიგის დამყარების შემდეგ ხოსრო მირზამ შაჰ აბასის მემკვიდრე სეფი მირზა ტახტზე აიყვანა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა მისი ავტორიტეტი ირანში. შაჰი ხოსრო მირზას გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, „ნიჭვიდა ყაენი ურიცხვსა და უხმობდა მამად“.

ახალმა შაჰმა სეფი I-მა (1629-1642 წწ.), ჭირვეულმა და ავადმყოფურად სასტიკმა ახალგაზრდამ, ტახტზე ასვლისთანავე შაჰ აბას I-ის კარზე მოღვაწე ნიჭიერი დიდებულების ჩამოცილება დაიწყო.

შაჰ აბასის ანდერძის თანახმად, შაჰ სეფის პირველი მრჩეველი იმამყული ხან უნდილაძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ მისიას ფაქტობრივად ხოსრო მირზა ასრულებდა. ამკარა იყო, მისი სახით იმამყული ხანსა და



ხოსრო მირზა, როსტომ ხან  
ღონ ქრისტოფოროს ალკომიდან

მთლიანად უნდილაძეებს სახიფათო მეტოქე გამოუჩნდათ.

ირანში მყოფი ქართველები თანდათან ამ ორი ძლიერი პიროვნების ირგვლივ დაირაზმნენ.

პირველ ხანებში შაჰ სეფი თავისი წინამორბედის ყველაზე გავლენიან ხელისუფალს პატივისცემით ეყვრობოდა და მის ღირსებას იმით აფასებდა, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში და საჯაროდ მამას უწოდებდა.

უნდილაძეთა ძლიერი ფეოდალური სახლის ერთბაშად დამხობა ძნელი იყო. ეს კარგად ესმოდა შაჰსაც და მის ახლო წრესაც. მათ თანდათან განაპირებდასა და ბოლოს, ამოწყვეტა-გადააშენებდას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

შაჰი და მისი მრჩეველი, მუდამ ფრთხილი

**შაჰ აბასის საფლავი ქაშანში**







ირანის შაჰი სეფი I  
პორტრეტი. 1640 წელი



1629/1630 წლებში შაჰ სეფის მიერ ტეგამში  
მოჭრილი ვერცხლის აბაზიანი



1641/1642 წლებში შაჰ სეფის მიერ თბილისში  
მოჭრილი ვერცხლის აბაზიანი

დაუდ ხან უნდილაძე  
ლონ ქრისტოფოროს  
დმ პასტაშლის  
ალბომიდან



ხოსრო მირზა, დაუპირისპირდა არა ძლიერ-სა და გაგლენიან იმამყული ხანს, არამედ, შორს, კავკასიაში მყოფ დაუდ ხან უნდილაძეს, მით უმეტეს, რომ ამ დაპირისპირებით იგი ერთდროულად ქართლში თეიმურაზის მეფობის საკითხსაც წამოჭრიდა. რადგან ხოსრო მირზა ქართლის ბაგრატიონების შთამომავალი იყო, ხოლო თეიმურაზი კახეთის, იგი ფიქრობდა, რომ თეიმურაზს ქართლის სამეფო უკანონოდ ეკავა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ხოსრო მირზა ქართლის მეფობასაც აპირებდა. მისი რჩევით შაჰმაც დაუდ ხანი ამოიღო მიზანში. მალე აშკარა კონფლიქტმა იჩინა თავი, დაუდ ხანს შაჰი რამდენჯერმე გაუწერა, ხოლო გულმოსული დაუდ ხანი საქართველოში გაიქცა და თეიმურაზთან ერთად აჯანყების მომზადება დაიწყო.

აჯანყებულებმა განჯა-ყარაბაღი მოარბიეს. ამ დარბევაში მონაწილეობდნენ თეიმურაზ I, იმერეთის მეფე ალექსანდრე, ოდიშის მთავარი ლევან დადიანი, მესხნი თავადნი და აზნაურნი, ქართლელნი და კახელნი. აჯანყებულებს მხარს უჭერდა განძასარის სომეხთა კათალიკოსიც.

საერთო ჯამში ეს აჯანყება საბედისწერო აღმოჩნდა უნდილაძეებისთვის, სწორედ ამის შემდეგ დაჩქარდა მათი ორმოცწლიანი ბატონობის დამხობა ფარსიში. შაჰ სეფი განრისხებას ვერ მალავდა, მაგრამ მაინც ფრთხილად მოიქცა. თეიმურაზს მრავალ წყალობას დაპირდა, თუ იგი დაუდ ხანს გასცემდა, მაგრამ თეიმურაზმა უარი განუცხადა.

განრისხებულმა შაჰმა ჯერ თავისთან მძევლად მყოფ დაუდ ხანის ცოლსა და შვილზე იყარა ჯაერი. ხოლო, შემდეგ ყაზვინის მიუდანხე გამოიყვანა იმამყული ხანის სამი ვაჟი – ლარის ბეგლარბეგი სეფიყული ხანი, ფათალი ბეგი და ალიყული ბეგი და დახოცა, თვით იმამყული ხანს კი მოსაკლავად მისივე სიძეები გაუგზავნა, რომელთაც დასაძინებლად გამზადებული ხანი მოტყუებით გამოიყვანეს და მოკლეს.

ფარსის ბეგლარბეგად ოდიურ ხანი დაინიშნა, მასვე დაეკალა უნდილაძეების გადარჩენილი ნათესავების, პირველ რიგში კი დაუდ ხანის ვაჟის, გორგანის მმართველის მოკვლა.

როცა თეიმურაზმა და დაუდ ხანმა ეს ამბები შეიტყვეს, ყოველგვარი იმედი დაჰკარგეს და ბრძოლა შეწყვიტეს. დაუდ ხან უნდილაძე ოსმალეთში, სტამბოლში გადაიხვეწა; სიკვდილს მხოლოდ იმამყული ხანის უმცროსი ვა-



*წითელი ხიდი მდინარე ხრამზე – აგებულია როსტომ ხანის მიერ XVII საუკუნის შუა ხანებში. ხიდი გვერდებიდან შუაგულისკენ თანდათანობით მალღდება და მთავარი თაღის თავზე გარდატყდება, ამის გამო „კატეხილ ხიდსაც“ ეძახიან.*

ჟი გადაურჩა, რომლის დედაც არაბი შეიხის ასული იყო. იგი დედასთან ერთად არაბეთში გაიქცა და შემდეგ ბასრაში ცხოვრობდა.

სეფი I-ის დროს ირანის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეირყა. ოზბეგი ხანების თავდასხმა ხორასანზე მართალია მოიგერიეს, მაგრამ ყანდაარი დაიპყრო „დიდმა მოგოლმა“ ჯეჰან შაჰმა. ამჟვე ხანებში ირანს ოსმალეთის სულთან მურად IV-ის (1623-1640 წწ.) ჯარი დაესხა თავს. ოსმალეთთან განახლებულ ომში ირანი იძულებული იყო, თავდაცვით შემოფარგლულიყო. ოსმალებმა 1630 წელს დაიკავეს ქალაქი ჰამადანი, ამოწვევითეს მისი მოსახლეობა, 1635 წელს, დროებით დაიპყრეს ერევანი, გადაწვეს ნახიჭევანი და თავრიზი, ბოლოს 1638 წელს ბაღდადი აიღეს. 1639 წლის ზოკაბის ზავით სეფიანებმა ოსმალებს დაუთმეს სამცხე-საათაბაგო მთლიანად და არაბეთის ერაყი ბაღდადითურთ.

უნდილაძეთა ძლიერი სახლის დაცემამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ირანში. მიზეზებსაც დაუწვეს ძებნა. საინტერესოა, რომ ერთი ასეთი ვერსიაც ყოფილა: შაჰ აბას I თავის ყველაზე დაახლოებულ პირს, იმამყული ხანს თავისი ჰარამხანიდან ქალებს უგზავნიდა საჩუქრად. ერთ-ერთი ქალი ფეხმძიმედ აღმოჩნდა და მას მალე ვაჟი შეეძინა. იმამყული ხანს თითქოს განზრახული ჰქონდა ამ ვაჟის (შაჰ

აბასის შვილის) შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე აყვანა. სეფი I-მა იმის შიშით, იმამყული ხანს თავისი განზრახვა არ შეესრულებინა, მთელი უნდილაძეები ამოწვევითა.

როცა ხოსრო მირზამ ირანში მოწინააღმდეგეები მოიშორა და საბოლოოდ დაამარცხა, ხოლო თეიმურაზი ქართლიდან გააძევა, ასეთ ვითარებაში, მისთვის უკვე ძნელი არ იყო ქართლის ტახტის შოვნა, რაზედაც დიდი ხანი ოცნებობდა. 1632 წელს შაჰ სეფიმ ირანის ყულარალასი და ისპაჰანის ტარულა (თუმცა ისპაჰანის ტარულობა სიკვდილამდე შეინარჩუნა, მის სიცოცხლეში ირანის დედაქალაქს ნაიბები, ანუ მოადგილეები განაგებდნენ) გურჯისტანის ვალიდ დანიშნა. მას ახალი სახელი როსტომი ეწოდა. დიდი არმიითა და საკუთარი, გამუსლიმებული ქართველებისგან შემდგარი არისტოკრატით ქართლში ჩამოვიდა, 67 წლის ასაკში ქართლის მეფე გახდა. ქართლში იგი ორბუნება პოლიტიკას ატარებდა, ქართველობას აშკარა ბრძოლას არ უცხადებდა, ამჟვე დროს, შესაძლოა მოჩვენებითაც „ყიზილბაშობის“ დანერგვისთვის იღვწოდა. როსტომი 1658 წელს გარდაიცვალა, იგი წაასვენეს და დიდი პატივით დაკრძალეს შიიტების წმინდა ქალაქ ყუმში.

**ალექსანდრე გოშიშვილი**

# იარაღის მცველი

კოტე ჩოლოყაშვილი:  
ისტორიულ პირთა  
საჭურველზე  
„ვნადირობდი“, არ  
მინდოდა საქართველოს  
დაჰკარგოდა...



*კოტე ჩოლოყაშვილის სახელი მამულიშვილობას უკავშირდება, მამულიშვილობას და ქართულ საჭურველს. ქართული ხმალი ხომ დღეინადავ ეიმედებოდა ჩვენს წინაპარს ომსა თუ ღზინში. ღზინში რატომო, არც არავინ იკითხავს, — ნეფე-პატარძალს ხომ გადაჯვარედინებულ ხმლებქვეშ გაატარებდნენ; მეფეს, მხედართმთავარსა და დეაჯვაცეხულ ვაჟს ხმალოს შემოარტყამდნენ და ისე აკურთხებდნენ. დიდ თამარსაც კი მეფედ კურთხევისას ხმალი შემოარტყევს. ერთ ხალხურ ლექსში ასეთ სტრიქონებსაც შეხვდებით: „განა არ იცი, მე ხმალი / სახლ-კარს და ცოლ-შვილს მერჩია“. ბრძოლის დროს სასიკვდილოდ დაჭრილ მებრძოლს ცალ ხელში ანიებულ სანთელს დააჭრინებდნენ, მეორეში კი ხმალოს. ქართულ ჩოხა-ახალუხს ხომ სწორედ ხმალი ან ხანჯალი ამშვენებს... ქართულ საჭურველსა და ამ საჭურველით განვლილ ცხოვრების გრძელ ვზაზე სასაუბროდ ბატონი კოტე ჩოლოყაშვილი მოვიწვიეთ „ისტორიანში“.*

## „შინ იარაღი რად მიხდა?“

— მჭვლელს დანა ეკვეთებო, ხომ გავი-გონიათ. შინ იარაღი რად მიხდა. მთელი ჩემი ცხოვრება, სადაც კი რამე ღირებულს ვნახავდი, ეროვნულ მუზეუმში მინდოდა ყველაფრის თავმოყრა და ასეც ვაკეთებდი. ისტორიულ პირთა საჭურველზე „ვნადირობდი“. არ მინდოდა, საქართველოს დაჰკარგოდა. რამდენი ძვირფასი ხმალი თუ ხანჯალი მოუტანიათ ჩემთან, ხან ძვირად ყიდდნენ, ხან ძალიან იაფად, ვისაც როგორ უღირდა. ქართველ კაცს მაინცდამაინც არასდროს უღზინდა და ზოგჯერ იძულებული ხდებოდა, სახლიდან მამა-პაპის ნაქონი იარაღი აეღო და გაეყიდა. ისიც ყოფილა, ფულს დახარბებულნი ერთი ხმლით აპირებდნენ გამდიდრებას... ამგვარ ნივთებს მუზეუმში ვუყრიდი თავს. სიმართლე გითხრათ, არც მუზეუმს წყალობდნენ ყოველთვის ძლიერი ამა ქვეყნისანი, თუმც კი ძნელად ვინ-

კოტე ჩოლოყაშვილი — პროფესორი. გაისად 90 წლის განხდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა; ქართული საჭურველის სიყვარულმა ისტორიკოსად „აქცია“. ეთნოგრაფიისა და მუზეუმმცოდნეობის კურსის ათწლეულების განმავლობაში კითხულობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებში. ხელმძღვანელობდა ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდს. იყო თბილისის საკრებულოს წევრი, წინამძღოლობდა საქართველოს თავდაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს. მისი თაოსნობით მხარეთმცოდნეობის მუზეუმები დაარსდა რუსთავსა და ზესტაფონში. თავის უმთავრეს საქმედ კი ქართული საჭურველის მოვლა-პატრონობას მიიჩნევს. სიცოცხლის ნახევარზე მეტი სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის იარაღის უმდიდრეს ფონდს შეაღია...

სენებ, უარი ეთქვათ საინტერესო და ისტორიულად ღირებული ნივთის შესყიდვაზე. ზოგჯერ მუზეუმებებს ჩვენი ფულითაც შეგვიძენია ისეთი ნივთი, დასაკარგად ან ქვეყნიდან გასატანად რომ ვერ გავგვიმეტებია. მოგეხსენებათ, არაერთი უნიკალური ნივთი გაიზიდა ქვეყნიდან სხვადასხვა დროს... ახლა, რომ იტყვიან, ჩუმად ჩიტიც ვერ გადაფრინდება საზღვარს იქით და მშვიდად ვარ...

**ასე დაიწყო...**

— ჩემი ოჯახი ბაკურციხეში ცხოვრობდა. მე 1922 წლის 18 აგვისტოს დაებადებულვარ, მამაჩემი კი, კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილი 7 სექტემბერს დახვრიტეს. რისთვის? როტმისტრი ყოფილა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი. ქიზიყის მახრის თავდაზნაურთა წინამძღოლი. მელაანის ტყეში შეუპყრიათ. 28 წლისა იყო მხოლოდ!

„ხალხის მტრის“ ოჯახი ბაკურციხიდან გამოუძევებიათ, თუმცა რაღა ოჯახი: ჩვილი ბავშვი და ორი უძმეო ქალი — დედაჩემი ეკატერინე ჩერქეზიშვილი და დედამისი, სოფიო ავალიშვილი. თბილისში ჩამოსულები, პროფესორ ალექსანდრე ალადაშვილს შეუუფარებოვართ თავის საავადმყოფოში. დედა მალე დაოსტატებულა და საოპერაციო მედდად მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე, თუმც კი საკმაოდ ახალგაზრდა გარდაიცვალა, 1946 წელს. ექვს წელიწადს საავადმყოფოს მიერ გამოყოფილ პატარა ოთახში ვცხოვრობდით... 25-ე სკოლაში ვსწავლობდი, მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე ფილოლოგიურზე. ჩვენი თავადობა



ვის ახსოვდა. ისე, ჩოლოყაშვილი რომ თავადია, ამას რად უნდა თქმა!..

გვარს თუ ვმაღავდი? ჰო, ბავშვობაში ბებია მაფრთხილებდა, ყველას ნუ ეტყვი, რომ ჩოლოყაშვილი ხარო. ერთხელ, ალბათ ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი, სტუმრები მოვიდნენ ჩვენთან. ერთმა ქალბატონმა დიდხანს მეფერა, შემაქო, მერე მკითხა, რა გვარი ხარო და დამორცხვებულმა ვუპასუხე, — თუ კარგი დეიდა ხართ, მაშინ ჩოლოყაშვილი ვარ-მეთქი...

როგორ გავამხილო და, ჩემი სახლი ბაკურციხეში არ მინახავს. მიუხედავად იმისა, რომ სულ მინდოდა, ერთ დღეს წავსულიყავი და ჩემი





*ბედნიერი ოჯახი გვეჩვენა...*

წინაპრების ნაფუძარი მენახა. არც ის ვიცი, ის დიდი სახლი (როგორც დედა იხსენებდა) ისევ დგას თუ არა... იმდენად მტკივნეული იყო ჩემთვის იმ მძიმე წლებთან დაბრუნება, რომ წასვლა ვერ გავბედე. რომ იცოდეთ, ახლაც მაწუხებს ბაკურციხეზე ფიქრი, ახლაც ასე ვამბობ, იქნებ ამ ზაფხულს მაინც წავიდე-მეთქი.

კახეთში სახლი თუ მაქვს? მაქვს, როგორ არა, თოხლიაურში. თოხლიაური დედაჩემის სოფელი იყო, ჩემი დედუღეთი. ახლა იშვიათად ჩავდივარ, ადრე ზაფხულობით სულ იქ ვიყავით. ძალიან მიყვარს იქაურობა...

**მუზეუმში, საჭურველის მცველად**

— უნივერსიტეტი რომ დაეამთავრე, სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაეიწყე მუშაობა. წიგნი მიყვარდა და მალე მთელმა მუზეუმმა გამიცნო. ზშირად მოდიოდნენ ბიბლიოთეკაში აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და პროფესორი ვერა ბარდაველიძე, დიდი ქართველი ეთნოგრაფები. შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, რომ გამორჩეულად ვუფრთხილდებოდი წიგნებს საჭურველზე, ომების ისტორიებზე, საბრძოლო ხელოვნებაზე. ჯერ ბატონმა გიორგიმ შემომთავაზა, სამეცნიერო ნაშრომი მომეშზადებინა ქართულ იარაღზე, შემდეგ ჩემი ნაშრომებით ქალბატონი ვერაც დაინტერესდა და ასე მაქციეს „საჭურველის მცოდნედ“. სულ მალე კი მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში გადამიყვანეს. მერე იარაღის

ფონდიც ჩამაბარეს. ამ ფონდის კურატორი დღემდე გახლავართ.

ასე დაუუმეგობრდი იარაღს. იარაღის ფონდის ისტორიაც მე შეგქმენი — ქართულ ტრადიციებში, ისტორიულ წყაროებში, მატთანეებში. ყველგან ქართულ საჭურველსა და მასთან დაკავშირებულ ლამის ლეგენდად ქცეულ ამბებს ვეძებდი და ვპოულობდი... ალბათ ამიტომ ფიქრობდა ბევრი, რომ აუცილებლად მექნებოდა შინ იარაღის უმდიდრესი კოლექცია. არა, ბატონო, ჩემი სიყვარული ქართული საჭურველისადმი იმაში გამოიხატა, რომ მუზეუმში დაცულ საგანძურს არაერთი მნიშვნელოვანი ექსპონატი შეემატე. შემიძლია ვთქვა, რომ მამულის დამცველთა რიგში ვიდექი, როგორც, ვთქვით, მხატვრულ ფილმ „გიორგი სააკაძეში“. თქვენც იცით, ეპიზოდურ როლში ვითამაშე, დიდი მსახიობობა არ დამჭირვებია. მასობრივ სცენაში ვდგავარ ქართველ მეომრებთან, ფარ-შუბით შეიარაღებული, იქაც ყველაზე მაღალი ვარ...

სიმაღლეც დამეხმარა. უნივერსიტეტის პირველ გუნდში კალათბურთს ვითამაშობდი. საბჭოთა კავშირის პირველობაზე წარმატებით გამოვდიოდით. იმ გუნდში სტუდენტობის მერეც მიწვევდნენ. საუკეთესო წლები იყო, მარ-



**გონდო  
დაღვაძის  
ფოტო**

თლა საუკეთესო. კიდევ, ვხუმრობ ხოლმე, ბიბლიოთეკაში რომ მიმიღეს, ერთმა შუახნის ბიბლიოთეკარმა ქალმა გახარებულმა ამომხედა, კიბე არ გვაქვს და მაღალ თაროებს იოლად შესწვდებო...

### ქეთო და კოტე

— ქეთო ცნობილი კარტოგრაფის, მიხეილ ქეთარაძის ქალიშვილი იყო. ჩემს კურსზე სწავლობდა და უბრალოდ, ვმეგობრობდით. მუზეუმის ბიბლიოთეკაში რომ დავიწყე მუშაობა, მალე ქეთოც ჩემთან მიიღეს. ბიბლიოთეკაში „ადმოვანინეთ“, რომ მხოლოდ კურსელები არ ვყოფილვართ...

ძნელი თუ იყო ტყუპის მამობა? რა ვიცი, აბა, როგორ გითხრათ. მაშინ ექოსკოპია სად იყო და არც მიფიქრია, რომ ერთბაშად ორი შვილის მამა გავხდებოდი. მე და ქეთო მართო ვცხოვრობდით. იმ დღით სამსახურში წასასვლელად გავემზადე. ბავშვს ერთი-ორი კვირის შემდეგ ველოდებოდი. შინიდან გამოსული უკან შევბრუნდი, ქუდი დამრჩა. ქეთო ფერდაკარგული მოშვარდა, ვიცოდი, მობრუნდებოდიო... რამდენიმე საათში ორი ულამაზესი შვილი გვყავდა — ბიძინა და რუსუდანი!


ხშირად ვამბობ: როგორიც ქალია, ისეთივეა ოჯახი; როგორი ოჯახიცაა, ისეთივეა სახელმწიფო!.. ბედნიერი ვიყავი, რომ ქეთო დიდხანს მედგა გვერდით. ძნელია სიბერეში მართო დარჩენა, მაგრამ ახლა მე მოგონებები მაცოცხლებენ. ეპ, იყო და არა იყო რა... მართლა ზღაპარივით ყოფილა ცხოვრება...

მურმან ქართველიშვილის ცნობილ კლიპში თითქოს მთელი თბილისია თავმოყრილი, მათ შორის მეც ვარ, ვითომდა მთავარი გმირი. მინდა გითხრათ, რომ ეს კლიპი კი არა, მხატვრული ნაწარმოებია, თითქოს ჩემი ცხოვრების ანარეკლია, თითქოს ტაძრისკენ მიმავალ გზას ვადგავარ... მშვიდად ვერ ვუყურებ.

### წმინდა გიორგი ლახვრიძეს...

— ეს სიტყვები მიანიშნებს, რომ ლახვარსა და საერთოდ, საჭურველს სიწმინდესთან, უფლის სიყვარულთან აკავშირებდნენ. საღვთოდ შეწირულ ცხოველსაც ლახვრითა თუ ხანჯლით კლავდა ქართველი კაცი. სალოცავებსა და ეკლესიებს საჭურველსაც სწირავდნენ. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. საჭურველით ხომ თავსაც ვიცავდით და მამულსაც.

ისევ ტრადიციებს მივუბრუნდეთ. ძველად, მსცოვანი კაცი ახალგაზრდას რომ მიუახლოვ-



ქართული საჭურველი

დებოდა, ჭაბუკი სატევარზე ხელებდაყრდნობილი, თავდახრილი მანამდე იდგა, ვიდრე ჭარმაგი არ გასცდებოდა. სირცხვილი იყო უსატევრობა. მელოგინე ქალს, მშობიარობის გასაადვილებლად, ბალიშის ქვეშ სატევარს ამოუდებდნენ. დალუპულ ვაჟკაცს მის სატევარზე დაყრდნობილი დასტიროდნენ. სპარსელთა რწმენით, ქართველმა ქალებმა სატევრის შელოცვა იცოდნენ. ჯაფარ-ბეგს შესალოცად თავისი სატევარი ქართველი ტყვე ქალისთვის გადაუცია.

ერთი ლეგენდად ქცეული ამბავი მინდა გაგახსენოთ: შაჰ აბასს ერთაწმინდის ეკლესიის გალავნის დანგრევა უნებებია და ბრძანებაც გაუცია. როცა მტრის მეომრები საქმეს შესდგომიან, დამპყრობელს თვალის ჩინი წართმევია. იქვე მყოფ დარბაისელ ქართველ გლეხს შაჰისთვის შეუბედავს, თუ ეკლესიას ხელს აღარ ახლებ, თვალთ აგეხილებო და ასეც მომხდარა. განცვიფრებულ შაჰ აბასს ერთაწმინდის ეკლესიისთვის ხმლის ვადა შეუწირავს, რომელიც

წმინდა ნივთად შეურაცხავთ. ამ ხმლის კადით ერეკლე მეორეს სწეული შვილი მოურჩენია და თავის სასახლეში დაუვანებია, იქიდან კი ალა-მაჰმად ხანს გაუტაცნია.

მოგვიანებით შაჰ აბასს ხმალი ძალის მონამატებლად მრავალძალის ეკლესიისთვისაც შეუწირავს. ეს ხმალი დღეს ჩვენს მუზეუმში ინახება.

**შამილი ქართული ხელით**

— რა გიკვირთ? მართლა ყოფილა თბილისში საჭურვლის დიდოსტატი გიორგი ელიზარაშვილი, რომლის გამოჭედილი ხმლითაც შამილი იბრძოდა. მას უბადლო საჭურვლით თბილისიც ამარაგებდა. ეს ამბავი დიდად არ მოსწონებია კავკასიის მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვს, ნიკოლოზ პირველს კი ზღაპრულად იარაღის ქარხნის საუკეთესო ოსტატები გამოუგზავნია თბილისში, ხელობა შეისწავლეთო. როგორ არ ეცადნენ თურმე, რომ ყარამან და ეფრემ ელიზარაშვილებისგან, ოსტატ გიორგის ვაჟებისგან გამოწველივით შეისწავლათ ფოლადის საიდუმლო. ეფრემს ვერაფერი მოუხერხეს, მაგრამ ყარამანს ვეღარ გაუძლია რუსების ძალდატანებისთვის. ამდგარა და სულ წვრილად უსწავლებია მათთვის ქართული ჯავარდენის ჭედვის საიდუმლო. რუსებსაც გულუხვად დაუჯილდოებიათ არა მხოლოდ ყარამანი, არამედ ეფრემიც. თითოეულს ათას-ათასი ჩერვონეცი ოქრო მისცეს თურმე. ეს დღევანდელ მილიონს ბევრით როდი ჩამორჩება.

ალა-მაჰმად ხანმა კი ჯერ ააოხრა თბილისში თოფხანა, მაგრამ იმდენად მოხიბლა თურმე ქართულმა საჭურველმა, ქართველ ოსტატთა უბადლო ხელოვნებამ, რომ ოჯახებით წაასხა თეირანს აქაური ოსტატები.

**საჭურვლის ოსტატები თბილისში...**

— დარჩნენ, როგორ არა! სიონისა და ვერცხლის ქუჩაზე ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი დუქნები, სადაც იჭედებოდა ხმალი-ხანჯალი, მზადდებოდა ხირიმი, სიათა, მაჟარო (ხომ იცით, ეს თოფის სახეობებია), სხვადასხვა სახის დამბაჩა, ჯაჭვის პერანგი, ბეჭთარი, მუზარად-ჩაბალახი, ჩაჩქანი, ფარი. დღესაც გვყავს ახალგაზრდა ოსტატები, რომლებიც ბევრით როდი ჩამორჩებიან იმ განთქმულ ელიზარაშვილებს... ყველაფერს ხელშეწყობა უნდა. იმედს არ ვკარგავ, ქართულ



*კოტე ჩოლოყაშვილი: „იყო და არა იყო რა... მართლა ზღაპრით ყოფილა ცხოვრება“*

იარაღს ისევ ყოლებს პატრონი და გულშემატკივარი...

**„მშვილდ-ისარს შვილივით უვლიდნენ“**

— გიკვირთ? მაგრამ ასე იყო. ჩვენი წინაპრები მშვილდს შვილს უთანასწორებდნენ. უმემკვიდრეო კაცი შვილიანს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა:

**მე ჩემი მშვილდი გამიტყდა,  
თავ-ბოლო სევადიანი,  
შენ, შენი მშვილდი დაგარჩენს,  
შენი ისრისა პირები,  
ვაი, ბრალ ჩემი თავისა,  
ვისგანლა დავიტირები.**

ჩხორიწყუს მახლობლად მდებარე სოფელ ჯუშის წმინდა გიორგის — მირსას სალოცავ ხატში ინახებოდა მშვილდი, რომლის ქვეშაც სალოცავად მისულ, გათხოვილ ქალებს გაატარებდნენ, ბოროტმა და მკვნე სულმა არ დაამინჯოსო. ილორის წმინდა გიორგის მნათე სულით აუადმყოფს რეინის მშვილდში გაატარებდა და წმინდა გიორგის შევედრებოდა, რომ სწეული ეშმაკისგან გათავისუფლებულიყო.

**შთამომავლობა**

— მყავს სენია და ძალიან ამაყი ვარ ამით! ოღონდ ეგაა, იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს პაპა-შვილიშვილი. უმცროსი კონსტანტინე ჩოლოყაშვილი პარიზში ცხოვრობს, 27 წლისაა. ინფორმატიკის ინჟინერია. ბიძინაც, მამამისი, პარიზშია ოჯახთან ერთად. ნინო კი, ჩემი უფროსი შვილიშვილი, ხელოვნების მუზეუმში მუშაობს და პატარა მარიამითაც ხშირად მესტუმრება ხოლმე. ასე რომ, შვილთაშვილიც მყავს. აი, კონსტანტინეს შვილსაც რომ

მოვესწრებოდე, მერე მართლა არწივივით გავიშლებოდი მხრებში!... ამ ზაფხულს ბიძინა ჩამოვიდა პარიზიდან. რამდენიმე თვეს აქ დარჩება, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საკითხებზე მუშაობს და მასალებს აგროვებს. რუსუდანი ფოლკლორისტიკა, პროფესორი. მე ისევ ჩემს საჭურველს ჩავკირკიტებ. დღეს ჩემმა უმცროსმა კოლეგამ დამირეკა მუზეუმიდან, მამუკა ქაფიანიძემ. ჩემი ფონდი მას გადაუბარე. ყოჩალი ბიჭია, ჩემზე ნაკლებ როდი უყვარს იარაღთან ფუსფუსი. ახალი გამოფენა მოუწყვიათ, მუზეუმში მეპატიჟება. მოვალ და წაგიყვანთო... მინდა და არც მინდა წასვლა. იქ თითქოს ჩემი განვლილი წლები დამხვდება და კიდევ ერთხელ შემახსენებს, რომ 90-ს მიუკახლოვდი... ყველა ასაკს თავისი სილამაზე აქვსო, კი ამბობენ, თუძცა...

**თამადა**


ჩემი თამადაობის ამბავი ბოლოსთვის შემოვინახეთ? რა ვიცი, აბა, ხშირად მპატიჟებ-

დნენ თამადად. ქორწილებში, ნათლობებში, ძეობებში... ჭირის სუფრაზეც, „დესერტაციებზეც“ ... ვინ მოთვლის, რამდენი დოცენტი და პროფესორი დამილოცავს (ჩემს „დესერტაციაზეც“ ითამადა. — ნ.შ.), რამდენი წყვილი გამიბედნიერებია. შემხვდებიან და მეტყვიან, ჩემს ქორწილში თამადა იყავითო, ჩემს ნიშნობაზე ისეთი სადღეგრძელო თქვით, ახლაც ვიხსენებთო... მე კი, სიძარტლე გითხრათ, ყველა სუფრა როდი მასსოვს, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ ყველა სუფრას გულით ვთამადაობდი. არც ყანწის დაცლას ვაძალებდი მოქიფეს და არც მე მიყვარდა ბევრი ღვინის დალევა... ჩემს სუფრაზე სიტყვა თამადაობდა და არა ღვინო!

გამორჩეულად რომელი სადღეგრძელების თქმა მიყვარდა? სიყვარულის, ქართველი ერის გამრავლების, ქართველი ერის აღორძინების, ტრადიციების დაცვის... და ისევ და ისევ სიყვარულის!..

**ნოდარ ზოზიჭავჭავილი**

*მუზეუმშიც თამადაობდა: მარჯვნიდან კოტე ჩოლოყაშვილი, პროფესორები პარმენ ზაქარაია, ლევან ჭილაშვილი და გივი გაფრინდაშვილი*





# მისი უდიდესი ულესობა ხინკალი



1 მილიონი კილოგრამი „კუჭები“  
საბჭოეთის ლიდერისთვის

საქართველოში სტუმრად ყოფილა ნიკიტა ხრუშჩოვი. როდესაც სუფრაზე მისთვის ხინკალი მიუერთმევიათ, აუხსნიათ, რომ კუჭის შეჭმა არ იყო სასურველი. აბა, რას უშვებით ამდენ ხინკლის კუჭსო? უკითხავს ნიკიტას ვასილ მჭავანაძისთვის, საქართველოს ცეკას იმჟამინდელი პირველი მდივნისთვის. ნაგავში ვყრითო, უპასუხია ალაღად ვასილ პავლოვიჩს. ნიკიტა ვაგლახად ჩაფიქრებულა და იქვე, გვერდით მდგომი თანაშემწისთვის „კონფიდენციალური“ დაგალება მიუცია.

მცირე ხნის შემდეგ, თანაშემწეს ხრუშჩოვისთვის წარუდგენია „ეკონომიკური“ გაანგარიშების შედეგი.

აღმოჩნდა, რომ 5-მილიონიან საქართველოში ყოველწლიურად იჭმებოდა 250 მილიონი ცალი ხინკალი. შესაბამისად, ნაგავში გადაყრილი ხინკლის კუჭების საერთო წონა 1 მილიონ კილოგრამს აღემატებოდა.

ძველი აღთქმის ხანაში ჩვენი წინაპრები გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ მზის ღვთაებას, ქალღმერთ „ბარბალეს“, იგივე „ბარბოლს“, რომელიც ითვლებოდა ასევე ქალე-

ბის, დედობრივი ძალებისა და ნაყოფიერების მფარველ ღვთაებად. სხვათა შორის, სიტყვა „ბორბალი“ პირდაპირ უკავშირდება მზის ღვთაების — „ბარბოლის“ სახელს.



# „ისტორიანი“

საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის ნაცნობი და უცნობი ფაქტები, პიროვნებები, მოვლენები-ახალი კუთხით!



თოქოვუს ავტორი და წამყვანი ჯაბა სამუშია

ჩვენთვის გაზუღადებული თემები არ არსებობს!



უსმინეთ!

# FM 103.9

[www.palitratv.ge](http://www.palitratv.ge)

უყურეთ!



ყოველ სამუშაოს  
**16.00** სთ-ზე  
განმეორებით კვირას  
**17.00** სთ-ზე



ღვთაება „ბარბალე“, რეკონსტრუქცია. მხატვარი ს. კობახე

კვირის დღეთაგან შხის დღედ ითვლებოდა კვირა — დღე, რომელსაც ძველქართულად ერქვა „შხისა“, ანუ „საუფლო“. ზამთრის შხის ბუნიობის დღეს — თანამედროვე კალენდრით 21 დეკემბერს, იმართებოდა ქალღმერთ ბარბალესადმი მიძღვნილი დიდი დღესასწაული „ბარბალობა“ — რიტუალური ღვთაებით, გალობით, ჰიმნებითა და ფერხულით. ბარბალესადმი მიძღვნილი იმეამინდელი სიმღერა ახლაც არის შემონახული ქართულ ხალხურ ეპოსში: „შეე შინა და შეე გარეთა, შეეე შინ შემოდით“. ბარბალეს უძღვნიდნენ რიტუალურ შესაწირავს: რძის ფაფას, ხაჭაპურს და რა თქმა უნდა, ისეთ უძველეს ქართულ კერძს, როგორცაა მისი უდიდებულესობა ხინკალი! ბარბალობის დღესასწაულით იწყებოდა ძველად საქართველოში ახალი წელი...

დაკვირდეთ ხინკალს და ყველაფერი ნათელი შეიქნება: ხინკლის კუჭი შეესატყვისება შხეს, ნაოჭები კი — შხის სხივებს. ხინკალი ყოფილა წარმართული ხანის სარიტუალო კერძი. მას უპირატესად ამზადებდნენ კვირადღეს, ანუ „შხის დღეს“.

თავდაპირველად გავერკვეთ სიტყვის ეტიმოლოგიაში. დიდი ქართველი ლექსიკოლოგი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ხინკალი არის დუმის შაში“. გამოდის, რომ „ხინკალი“ სახელს უნდა უმადლოდეს თავისი ძველი რეცეპტურის უმთავრეს ინგრედიენტს — დაშაშხულ, გამოყვანილ ცხვრის დუმას, რომელიც ძველად ბარაქისა და სიმდიდრის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. ჩვენი აზრით, კერძის სახელწოდება მომდინარეობს რთულფუძიანი სიტყვიდან „ცხიმ-გალი“, რაც უნდა ნიშნავდეს დასაშაშხად გაკიდული ცხიმისანი ხორცის აცმას, აკიდოს ანუ გალას.

ხინკალი უნიკალური კერძია, რადგანაც შეიცავს ქართველი კაცის მენიუს ყველა აუცილებელ კომპონენტს: პურს, ხორცს, სხვადასხვა სანელებელს. სახინკლე ცომისთვის ვარგისია ხორბლის ფქვილის სამივე სახეობა: შავი, რუხი, თეთრი.

საუკეთესო ვარიანტია თეთრი ფქვილი. სახინკლე ცომი იზილება წელა და დიდხანს, საფურის გარეშე, მხოლოდ წყლისა და მარილის გამოყენებით.

რაც უფრო დიდხანს იზილება ცომი, მით უფრო ძარღვიანი ხდება და ხარშვისას ნაკლებად იშლება, თან უფრო გემრიელიც გამოდის. ამბობენ, ხინკლის კანი მოხარშვის შემდეგ რომ გლუვი, კრიალა და სასიამოვნო შესახედაობისა იყოს, ცომის მოზეღვაძედ ფქვილში უნდა გაიხსნას ერთი ათქვეფილი კვერცხის წყალხსნარი.

ფარმისთვის გამოიყენება ძროხის, ღორის, ცხვრისა და ნადირის (ჯიხვის, გარეული ღორის, ირმის, დათვის) ხორცი, ასევე ცალკეულ სახეობათა კომბინაცია: ძროხისა და ცხვრის, ღორისა და ძროხის, ასევე ცხვრისა და ღორის ხორცი. საქართველოს მთიან რეგიონებში — მთიულეთში, ფშავეში, ხევსურეთში, თუშეთსა და ხევში უპირატესობას ანიჭებენ ცხვრისა და ძროხის ხორცს, ბარში კი ძროხისა და ღორის ხორცს. ხინკლის მოსამზადებლად არ იყენებენ შინაური ფრინველის ხორცს, თუმცა ვინ იცის... აგრეთვე, პიკანტური, სასიამოვნო გემო აქვს ზუთხისგან მომზადებულ ხინკალს.

ნაღდი, „კლასიკური“ ხინკლის ფარშის-თვის საუკეთესო ვარიანტია:

1 წილი ძროხის ხორცი (უმჯობესია ჩალადაჯი); 1 წილი — ღორის ხორცი (უმჯობესია ჩალადაჯი და სუკი) + 1/3 წილი ცხვრის ღეძა (ანუ ის ინგრედიენტი, რისგანაც ხინკალის სახელწოდება მოდის).

ხინკალი შეიძენს დაუეიწყარ გემოს, თუ ხორცი გატარდება არა ხორცსაკეპ მანქანაში, არამედ ხელით დაიკეპება, პატარა ცულისა და კუნძის გამოყენებით, როგორც ამას ჩვენი წინაპრები აკეთებდნენ.

ფარში ზავდება ხაზვით, წითელი წიწკით, შავი პილპილითა და მარილით. ზოგან ფარშს უმატებენ სუნელს, ძირას, მწვანინლს...

როგორც იტყვიან, გემოვნებაზე არ დაუობენ. ქალაქურად წოდებულ ხინკლის ფარშს უმატებენ როგორც ნელს, ისე ხმელ ქინძს.

ხორცის ხინკალს საგემოვნებო თვისებებით არაფრით ჩამოუვარდება ხაჭოს ხინკალი, რომლის მირთმევაც სასურველია გამდნარი ერბოთი. გადმოცემით, ხაჭოს ხინკალი გამორჩეულად პეკარება ჩვენს დიდ მგოსანს — ვაჟა-ფშაველას. ძალიან გემრიელია ასევე ყველის — მეგრული ან სვანური სულგუნის ხინკალი. არანაკლება ნაღდის ხინკალიც.

მარხვის დროს ხინკლის ფარშად გამოიყენება სოკო (საუკეთესოა ხის, ე.წ. კალმახა სოკო), კარტოფილი, სოიო, ნივგვისა და ნივრის ნაზავი...

ამბობენ, ხინკლის მთავარი ღირსება მა-

ინც მისი წვენიაო, თუმცა კი ხინკალი ზომიერად უნდა იყოს წვენიანი.

ახლა მოვიცალოთ „მარადიული“ კითხვისთვისაც: რამდენი ნაოჭი უნდა ჰქონდეს ნაღდ ქართულ ხინკალს — 15, 17, 19 თუ მეტი?

ქართულ ხალხურ ეპოსში შემორჩენილია ძველთაძველი მთიულური ლექსი: „ტიალო ხაჭოს ხინკალო, ოცდარუა ნაოჭიანო“. გამოდის, ჩვენი წინაპრები ხინკალს უკეთებდნენ 28 ნაოჭს. რატომ მაინცდამაინც 28-ს?

28 საკრალური რიცხვია. 28 არის 7-ის ანუ ძველთაგან წმიდათაწმიდად მიჩნეული ციფრის, ასევე კვირის დღეთა რაოდენობის ჯერადი რიცხვი და რაც მთავარია, 28 არის მზის წელთა რიცხვი ანუ მზე ცის სფეროს დიდ წრეზე გარშემოვლას უნდება, არც მეტი და არც ნაკლები, ზუსტად 28 წელიწადს.

როგორც ჩანს, ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა.

როგორც ხედავთ, ხინკალი მართლაც საუკეთესო და გემრიელი კერძია. წარმოადგენს ხარისხიანი ხორბლის ფქვილის, საუკეთესო ხორცის, წვენისა და სანელებლების გემრიელ ნაზავს.

ხინკალს, რაღა თქმა უნდა, უხდება ლუდი.

ხინკალსა და ლუდს კი უხდება სიმღერა ფანდურზე, შაირი და კაფია.

სწორედ ხინკალს უკავშირდება არაერთი გონებაშაზვილური კაფია.



ხინკალი, გემოს გარდა, ნაოჭების რიცხვითაც ფასობს...



დუშეთის სასადილოში ერთი ფშაველი, შარახველი კაცი შესულა, სუფრას მისჯდომია და ხინკალი და ლუდი მოუთხოვია. მიურთმევიათ, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მიმტანი მიბრუნებულა იმ სუფრასთან. სტუმარს ლუდი დაეღია, ერთადერთი ხინკალი შეეჭამა და წასულიყო. წასვლის წინ კი ფული და ხელსახოცზე მინაწერი დაეტოვებინა:

**დუშეთის სასადილოში  
შამოველ, შარახველი,  
არ ვარგებულხარ, ხინკალო,  
მოგიკვდეს შამამხვეველი.**



ფარმისთვის გამოიყენება ძროხის, ღორის, ცხვრისა და ნადირის ხორცი, ასევე მათი კომბინაცია

დასასრულ გეტყვით, რომ გაცივებული ხინკალი უნდა შეიბრაწოს ტაფაზე, ერბოში. გაფიცებულ ხინკალს ჩვეულებრივ, ნაბახუსეუზე მიირთმევენ. ზოგს მიაჩნია, რომ მას ძალიან უხდება ორნახაი ჭაჭის არაფი.

და კიდევ, გეტყვით, რომ ხინკლით, ამ ნაღდი ძველქართული კერძით, საქართველოს ბევრი სტუმარი მოხიბლულა. ამ ბოლო წლებში მათ რიცხვს მიმატებია ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უმცროსი).

ხინკალს უკავშირდება არცთუ სასიამოვნო ამბავი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. საქართველოში სტუმრად ყოფილა მაშინდელი საბჭოთა კავშირის ცეკას გენერალური მდივანი, ქართველთმოძულე ნიკიტა ხრუშჩოვი. როდესაც სუფრაზე მისთვის ხინკალი მიურთმევათ, აუხსნიათ, რომ კუჭის შეჭმა არ იყო სასურველი. აბა, რას უშვებით ამდენ ხინკლის კუჭსო? უკითხავს ნიკიტას ვასილ მჟავანაძისთვის, საქართველოს ცეკას იმჟამინდელი პირველი მდივნისთვის. ნაგავში ვერითო, უპასუხია ალაღად ვასილ პავლოვის. ნიკიტა ვაგლახად ჩაფიქრებულა და იქვე, გვერდით მდგომი თანამემწისთვის „კონფიდენციალური“ დაუღება მიუცია.

მცირე ხნის შემდეგ, თანამემწეს ხრუშჩოვისთვის წარუდგენია „ეკონომიკური“ გაანგარიშების შედეგი.

აღმოჩნდა, რომ 5-მილიონიან საქართველოში ყოველწლიურად იჭმებოდა 250 მილიონი ცალი ხინკალი. შესაბამისად, ნაგავში გადაყრილი ხინკლის კუჭების საერთო წონა 1 მილიონ კილოგრამს აღემატებოდა.

ნიკიტა საშინლად აღშფოთებულა: საქართველო ყოველწლიურად ათას ტონაზე მეტ პირველხარისხოვან ხორბალს ნაგავში ყრისო! ნიკიტას აღშფოთებამ მალევე გამოიღო საუალალო შედეგი: საქართველოს თითქმის მთლიანად შეუწყვიტეს თეთრი ფქვილის ცენტრალიზებული მიწოდება...

ხინკალი არ არის არც რუსული „პელმენი“ და არც თათრული „მანტი“, არც მონღოლური და არც ინდური საკვები. ის გაცილებით უკეთესია. გასინჯეთ და თავად დარწმუნდებით კიდევ ერთხელ. და კიდევ: ხინკლის მომზადება სულაც არ არის ისეთი რთული, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

**გიორგი მისიჩაი**

# ყველაზე პატარა ადამიანები

კვიპეები

აფრიკის კონტინენტზე, ტყეთა სიღრმეში, სადაც იზრდება მაღალი ხეები და ბინადრობენ ყველაზე დიდი ცხოველები — სპილოები, ცხოვრობენ დედამიწის ყველაზე პატარა ადამიანები — პიგმეები (მამაკაცის სიმაღლე არ აღემატება 140 სანტიმეტრს, ქალითა კი გაცილებით ნაკლებია). პიგმეების ტომებია: ეფე, ბასუა, ბაკვე, ბამბუტი, აკა, ბატვა, ბაბინგა და სხვ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პიგმეები მდინარე კონგოს აუზში გაცილებით უფრო ადრე დასახლდნენ, ვიდრე სხვა ხალხები, ამიტომაც ამ ადგილის აბორიგენებად პიგმეებს მიიჩნევენ.



პიგმეები განცალკევებულად ცხოვრობენ, თუმცა სამეურნეო კავშირი აქვთ მეზობელ ხალხებთან. მათთან ცვლიან ნანადირევს მიწათმოქმედების პროდუქციას — ბანანზე, ფეტვზე.

პიგმეების სოფლები ტყის სიღრმეშია. ისინი ხშირად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. მათი საცხოვრებლები პალმის ფოთლებისგან აგებული ფაცხებია, რომლებიც მწვანე გორაკებს ჰგვანან. ფაცხებს ქალები ამგვარად აშენებენ: მიწაში არჭობენ ტოტებს და ზედა ნა-

წილებს კრავენ ლიანებით ისე, რომ წარმოიქმნება თალი. თაღების რიგი ქმნის საცხოვრებლის ჩონჩხს, ზედ აწეობენ პალმების დიდ ფოთლებს და ამაგრებენ. ასეთი საცხოვრებლის აშენებას 2-3 საათს ანდომებენ. მასში გამართულია საწოლი — ორი ერთმანეთის გვერდზე მიწყობილი ფიცარი, რომლის ქვემოდან იდება ხის ჯოხი მათ დასაკაეებლად. საწოლზე არაფერია გადაფარებული, ბალიშის მაგიერად იყენებენ საკუთარ ხელს. ბალიშსა და საბანზე პიგმეებს წარმოდგენაც არ აქვთ. ფაცხ-





ები გამძლეა, მყარადაა შეკრული და შშენი-  
ერი თავშესაფარია ტროპიკული თავსხმების  
დროს. აგეჯსა და ჭურჭელს პიგმეები მხოლოდ  
მცენარეული მასალისგან — ხის ფოთლებისა  
და ქერქისგან აშხადებენ, ძირითადად „ერთჯე-  
რადი“ დანიშნულებისას.

პიგმეების ძირითადი საქმიანობა ნადირობა  
და შემგროვებლობაა. პირველყოფილი იარა-  
ღით მამაკაცები თამამად მიდიან ყველაზე დიდ  
ცხოველებზე სანადიროდ. მონადირეები ტყე-  
ში გვიან გადიან — მხოლოდ მას შემდეგ, რო-  
დესაც შუე ააორთქლებს ფოთლებზე არსებულ  
ნაშს, რადგან მათ უმინიათ ჩამოცვენილი ცი-  
ვი წვეთებისა. პიგმეებმა იციან ლიანებისგან  
ბადების დაწნა. ასეთი ბადის სიგრძე ცხრა  
მეტრამდეა, სიგანე ერთ მეტრამდე. ისინი ერ-  
თმანეთს გადააბამენ 10-20 ასეთ ბადეს და ასო-  
ბით მეტრზე გადაჭიმავენ. ბავშვები მიდიან  
შორს და ყვირილით, ხმაურით დევნიან ნა-  
დირს, რომლებიც თავის გადასარჩენად მიე-  
ქანებიან და ბადეში ებმებიან. ფართხალებენ,  
იბრძვიან თავის დასახსნელად და უფრო მე-  
ტად იხლართებიან შიგ. მონადირეებს გამოიპ-  
ყავთ ბადიდან ცხოველები, ლიანებით უკრა-  
ვენ ფეხებს და მიჰყავთ სახლში, დაკლავენ და  
მოსამზადებლად ქალებს გადაულოცავენ. ამის  
პერე მამაკაცები ისვენებენ, ქალები კი საჭ-  
მელს აშხადებენ. ნანადირეები მთელი თემის სა-  
კუთრებაა.



შემგროვებლობას ქალები და ბავშვები ეწე-  
ვიან. ისინი არჩევენ საკვებად ვარგის ფესვებს,  
ბალახს, ხის ფოთლებსა და ქერქს. მთელი „მო-  
სავალი“ თანაბრად იყოფა ოჯახებს შორის.  
შემგროვილ პროდუქტებს საკვებად უმად იყე-  
ნებენ ან ხარშავენ და სხვადასხვა კერძს ამ-  
ზადებენ.

ზოგჯერ პიგმეები მაიმუნებზეც ნადირო-  
ბენ. ადამიანებსა და მაიმუნებს შორის ნამ-  
დვილი ბრძოლა იმართება. მაიმუნები ზემო-  
დან ისვრიან ყველაფერს, რაც ხელში მოხ-  
ვდებათ — გირჩებს, ნაყოფს, ტოტებს. პიგმე-  
ები მათ ისრებს უშენენ. თუ დედალი მაიმუნი  
მოკლეს, მაშინ შვილი, ხშირ შემთხვევაში,  
თვითონ ვარდება ქვემოთ, ეკვრება მკვდარ დე-  
დას და ხელთ უვარდება მონადირეებს.

პიგმეები თავყანს სცემენ სულებს, სჯერათ  
ჯადოქრობის. მუსიკალურებიც არიან — უყ-  
ვართ ცეკვა-თამაში, ადიდებენ წინაპრებსა და  
მითურ გმირებს.

**ნოდარ ელიზაბარაშვილი  
ლია მაჭავარიანი**



ლალი ბადურაშვილი:

— წუთით წარმოიდგინეთ, რომ ისეთი მძიმე ლოდი დაგეცათ, ყველაძღე მიწაში ჩაგიტანათ... უნდა ამოხვიდეთ, თავი გადაირჩინოთ და ოჯახიც ამოიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. ეს გადამიტანია და ამოვსულვარ...

# კონსტანტინე გამსახურდიას შორენა — ბიბლიური ქალი

ლალი ბადურაშვილი — ლამაზი ქალი, რომელიც მხოლოდ სადედოფლოდ შეიძლება გავმეტებოდა. ასეთი იმიჯით დამკვიდრდა ის ჩვენს ცნობიერებაში, რადგან „დიდოსტატის მარჯვენაში“ ნანახი შორენას მერე სხვანაირად ვერც მოხდებოდა...

მართლაც ყოფილა პერიოდი, როცა გარეშე თვალისთვის უზრუნველი ცხოვრება ჰქონია. გარეშე თვალს ვახსენებ, რადგან სინამდვილეში ყოველთვის ჰქონდა თავისი წილი დარდიცა და საზრუნავიც. მერე რა, რომ არავის დაანახვებდა ტკივილს. ასეთი იყო, სრულ სიმარტოვეშიც კი ძუნწად მისცემდა თავს უფლებას, ცრემლი მოსდგომოდა.

თავისი ცხოვრების ურთულეს წლებში, როცა მისი ოჯახის სამივე წევრი ჩაკეტილ სფეროში იყო მოქცეული და სამივე მისი საპატრონო, ამ სადედოფლო ქალისგან უცებ ჩამოვალიბდა ყოვლისშემძლე ვაჟკაცი, არანაირ სირთულეს რომ არ უშინდებოდა...

მისი ვაჟი ერეკლე ბადურაშვილი, ცნობილი რეჟისორი მაშინ უკიდურეს აღმოსავლეთში გადაისროლეს, სამხედრო ნაწილში... სინამდვილეში ურჩი მამის დასჯა უნდოდათ,

რომელმაც არ ინება სხვისი კარნახით ბინძურ საქმეში მონაწილეობა...

სწორედ ერეკლესთან მიდიოდა სანახაუდ, კონიაკებს აწყობდა სამგზავრო ჩანთაში ჯარის ნაწილში მისატანად. კონიაკი ზომ რუსეთის უკიდევანო სფეროში ყველა კარს აღებდა... მეგობარი — ლამარა ღონდაძე უყურებდა. მერე წყნარად უთხრა: — ლალი, და მანინც, შენი ისევ შურთო...

რა შურდათ? ალბათ სიმაღლე, რომელიც არ დაუკარგავს, სიცოცხლის უნარი, რომელიც ვერ მოკლეს და ისტორია, რომელიც შენია და ამქვეყნად ვერაფერი ხელყოფს.

„ისტორიანის“ მკითხველს ვთავაზობთ ლალი ბადურაშვილის ცხოვრების ისტორიას — იმას, რაც უძძიმეს წუთებშიც რჩებოდა ამაღლებულად...

ყველაზე ადრეული მოგონებით დავიწყეთ...

— სკოლაში რომ მიმიყვანეს, ის დღე მახსოვს ძალიან კარგად. ყველას თავისი სკოლა უყვარს, მაგრამ ჩემი — ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე სკოლა მართლა გამორჩეული იყო. მახსოვს უსაყვარლესი დუშა მასწავლებელი — ჩემი პირველი მასწავლებელი. დუშა





*კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად*

სანიკიძე ჟანრი ლოლაშვილის დედა გახლავთ. სკოლის დამთავრებიდან 50 წელი რომ გავიდა, შევიკრიბეთ. დედა მასწავლებელი ყველას სახელით მოგემართავდა, არავისი სახელი არ შეშლია. კლასელები დღესაც ვმეგობრობთ, მარინე რჩეულიშვილი, ნანა თოიძე... სამწუხაროდ ესმა ონიანი, ქეთევან სააკაშვილი ადრე გამოგვეცალნენ.

მერვე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი. მერე აღარ — მათემატიკა ძალიან მძიმე საგანი აღმოჩნდა ჩემთვის. დედაჩემი მიყვანდა ამოცანებს.

ლამაზი ბავშვი ვყოფილვარ. დედას არც ვეჭირე ხელში, სულ აქეთ-იქით დამატარებდნენ... დედა მიამბობდა, ქუჩაში თუ ვინმე გაგივლიდა გვერდით და არ იტყოდა, ვაიმე, რა კარგი გოგოა, მაჯას ჩამომქაჩავდი და მკითხავდი, — რატომ არ თქვა, კარგი გოგოაო...

ახლა უკვე ჩემი ასაკიდან გამომდინარე, შეიძლება ესეც გიამბოთ... სკოლაშიც ბევრს მოვწონდი. გაა ჭირაქაძე — ახლა ვმეგობრობთ, ორი კლასით წინ იყო. მეშვიდე ვაჟთა სკოლაში სწავლობდა. 13 წლის ვიყავი, კომპლიმენტი რომ მითხრა: — ლალი, ია ნე ზნალ, ჩტო ტაკოე კრასოტა, უვიდელ ტუბია, ი ია უზნალ ჩტო ტაკოე კრასატა... მას მერე რამდენი

კომპლიმენტი მიმიღია და ეს დღესაც მახსოვს...

მიყვარდა ლიტერატურა, ისტორია... რატომღაც ფრანგულ ენაზე ჩავაბარე... მე და მარინა რჩეულიშვილი — ჩემი უახლოესი მეგობარი, ერთად დავდიოდით ფრანგულზე. მათ თავზე ცხოვრობდა არაჩვეულებრივი ბებო თეკლე — ორბელიანებისა და ბაგრატიონების შთამომავალი. ძაძები ეცვა, შვილი ჰყავდა გარდაცვლილი... ძალიან თბილი ქალი იყო. ჯერ კანფეტებს გვაჭმევდა, მერე ვიწყებდით მეცადინეობას.

მახსოვს, პირველად რომ წაგვიყვანეს სკოლიდან ბავშვები კინოსტუდიაში სინჯებზე... მაშინ საკმაოდ პუტკუნა გოგო ვიყავი, მიყვარდა „პონჩიკების“ ჭამა. სტუდიაში მითხრეს, ეკრანმა არ მიგიღოო. ბებო თეკლე აქტიურობდა, მეკითხებოდა, აბა, ლალიკო, რა ქენიო... მახსოვს, ძია ერეკლე აბაშიძეც იქ იყო. ვუთხარი: ეკრანმა არ მიმიღო-მეთქი. გაფუჭებულია ეგ ეკრანიო, — ძია ერეკლემ.

რჩეულიშვილებთან სმირად დავდიოდი... გურამი ჩაგვიკიდებდა ხელს მე და მარინეს და ხან სად მიყვავდით, ხან — სად... გურამის ჩხუბი თუ მინახავს? არა... ხომ ასეთ ამბებს ჰყვებიან გურამზე, ხან ხევსურეთში იყო, ხან უბე-

ლო ცხენს დააჭენებდა... მე მინახავს, როგორ იდგა დეიდა მაროს გვერდით და როგორ ეხმარებოდა ფანჯრის გაწმენდაში.

მეცხრე კლასში ვიყავი, თეიმურაზმა რომ შემამჩნია (თეიმურაზ ბაღურაშვილი). მას მერე აღარ მომეშვა. სკოლა დავაბოლოე თუ არა, დაეკორწინდით. თეიმურაზი ნიჭიერი ბიჭი იყო, ამიტომაც ჩართო ნიკო კეცხოველმა კომკავშირულ მუშაობაში. მერე კომკავშირის ცეკას მდივანი იყო, მასთან მუშაობდა თემო ნაცვლიშვილიც... კარგ საქმეებს კი აკეთებდნენ. მაშინ მოეწყო პირველად ოჩიაურების გამოფენა, მაშინ გამოიცა ჟურნალი „ცისკარი“... „თეთრ ქარავანს“ არ სწყალობდნენ რატომღაც, მაშინ დართეს ნება ჩვენებისა... თემო ნაცვლიშვილის იდეით შეიქმნა ქურთული ანსამბლი...

საოცარი იყო ჩვენი ქორწილი. აკაკი ხორავა იყო თამადა. მიდიოდა ქართული ცეკვასიმღერა და ამ დროს ეზოში გამოჩნდა ქურთების ჯგუფი. გაუგიათ ჩვენი ქორწილი და მოგვილოცეს, ცეკვა-თამაში გაახურეს... იმ დღეს პირველად მეცვა მაღალ ქუსლზე. ფეხსაცმელმა მომიჭირა, ჩემმა დედამთილმა ატლასის ჩუსტები მომიტანა. ამ დროს აკაკი ხორავამ გამომიყვანა საცეკვაოდ. კვდებოდა სიცილით, პირველად ვცეკვავ ფლოსტებიან პატარძალთანო...

კინოში გადაღება არაერთხელ შემოუთავაზებიათ, მაგრამ თეიმურაზი სულ უარს ამბობდა... მაგაზე არ დამელაპარაკოთ, მსახიობი რომ მდომოდა, მსახიობის მოვიყვანდი ცოლად... მაგრამ როცა „დიდოსტატის მარ-

*თავისი ცხოვრების ურთულეს წლებში, როცა მისი ოჯახის სამივე წევრი ჩაკეტილ სივრცეში იყო მოქცეული და სამივე მისი საპატრონო, ამ სადღეღოფლო ქალისგან უცებ ჩამოყალიბდა ყოვლისშემძლე ვაჟკაცი, არანაირ სირთულეს რომ არ უშინდებოდა...*

ჯვენაზე“ მიდგა საქმე, ვეღარაფერი თქვა. ვახტანგ ტაბლიაშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიას ვერ გაუწვედა წინააღმდეგობას. თანაც შორენას როლიც არ იყო უბრალო...

ერთ ბანკეტზე შევხვდით ვახტანგ ტაბლიაშვილს. ფილმის გადაღება არ იყო დაწყებული, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი იყო. ქალაქში ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ვინ იქნებოდა არსაკიძე, ვინ — გიორგი მეფე, ვინ შორენა. ტაბლიაშვილსაც ყველა ამას ეკითხებოდა.

მე საკმაოდ აქტიური ხასიათისა ვიყავი და კი არ ვაცლიდი ლაპარაკს ვახტანგს... ეს იყო ენციკლოპედიური განათლების, არაჩვეულებრივი ქართული, დინჯი, სასიამოვნო... მღვდლის შვილი იყო და სხვანაირი ვერც იქნებოდა... კიდევ რომ დაუსვენს კითხვა, მძიმედ გაიცინა: მოდი, ლალის შეეკეთხნოთ, მე და ლალი მგონი ერთნაირად ვაზროვნებთო... გამკენწლა...

იქიდან რომ წამოვედით, მეუღლემ მითხრა, შეამჩნიე, ვახტანგი როგორი დაკვირვებით გიყურებდაო... შევაძინე. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ როლისთვის მაკვირდებოდა.

მას მერე, რაც ფილმზე სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, ტრადიციისამებრ, გაიშალა სუფრა. ასე იყო მიღებული კინოსტუდიაში, იქაც მიგვიწვიეს. იქ უკვე კონსტანტინე გამსახურდია და მისი მეუღლეც, მირანდა ფალავანდიშვილი დაგვხვდნენ.

კონსტანტინე ვახტანგს მოუბრუნდა: შენ შორენას ნუ ეძებ, შორენა აქ ზისო... იქ ორი ქალი ვიყავით, მე და ქალბატონი მირანდა... მოულოდნელობისაგან დავიბენი. ეტყობა, ანგარიში ვეღარ გავუწიე სიტყვებს და ისე, როგორც მესმოდა ხოლმე, ბატონო კოწია-მეთქი, მივმართე... შორენა ქერაა და ცისფერთვალეა, მე რომ მისი საწინააღმდეგო გარეგნობა მაქვს-მეთქი... მასსოვს, როგორ გაუქრა სახიდან ღიმილი... კოწია არ ვარ მე, კონსტანტინე ვარო! მერე ვახტანგს უთხრა, ფილმი შავ-თეთრია, ეს არ გამოჩნდება, მაინც ლალი



ლალი და თეიმურაზ ბაღურაშვილები



აიყვანე. ამაში არის ის, რაც მთავარია. იგი მთლიანად ბიბლიური...

მოგვიანებით ვახტანგ ტაბლიაშვილს ვეკითხებოდი, რა ჰქონდა მზედველობაში ამ შემთხვევაში, ბიბლიური რომ მიწოდა-მეთქი... განზოგადებული, მასშტაბური...

ამის მერეც სინჯები გრძელდებოდა, ჩემთან არავის დაურეკავს. ერთ დღეს კი რეჟისორმა დარეკა. ძალიან მინდა ლალის გასინჯვა, ამდენ ხანს ვდუმდი, ჩემს თავში უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ყველაზე მეტად მომწონს ლალიო... წავედი სინჯებზე. ლიალია ურუშაძე გამყვა. ჩემ წინ ლეილას სინჯავდნენ ვარდისახარზე. ღელავდა. რამდენჯერმე გაამეორებინეს სცენა. გადაიღეს. ლიალიას უფიქრია: ლეილას რომ ასე აწვალე ბენ, ლალი რას შეძლებს გადაღებასო... ეტყობა, ფსიქოლოგიურად მოეგმზადე... ამიტომ არ გამჭირვებია... რომ დასრულდა სინჯი, ფოტოგრაფმა ვასილ პალაიდიდმა, რომელიც კამერასთან მუშაობდა, შუბლზე მაკოცა. ვასილი ნატო ვანჩაძის ფოტოგრაფი ყოფილა. მითხრა, — მერწმუნეთ, ისე თამაშობთ, თით-

ქოს უკვე ათ ფილმში იყოთ გადაღებულიო. სამხატვრო საბჭოზე ორი გავედით — მე და რუსუდან კიკნაძე. უთქვამთ, რუსუდანი უფრო ვეროპული გარეგნობისაა, ლალი ავირჩიოთო.

გადაღებებზე არაჩვეულებრივი მოგონებები დამრჩა. ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სპარტაკ ბაღაშვილი, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ვასაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, ლიანა ასათიანი თამაშობდნენ ამ ფილმში. ყველა ცდილობდა დამხმარებოდა... მე ხომ ერთი ვიყავი არაპროფესიონალი. ოთარი მეუბნებოდა, შინ რომ მივდივარ, ვფიქრობ, რა შეიძლებაოდა, გაეკეთებინა კიდევ ლალის და არ ვიცო... ზუსტად ბეწვის ხიდზე გადიხარ. მოუმატებ თამაშს, გადაამლაშებ, დაუკლებ, არასაკმარისი იქნებაო. ძალიან მიხაროდა...

„დიდოსტატის მარჯვენის“ შემდეგ მქონდა შემოთავაზებები... ერთზე მეცინება, რომ მახსენდება. ელდარ შენგელაია თეიმურაზის მეგობარი იყო. ერთ დღეს უთხრა, „შერეკილებში“ ლალი უნდა გადავიღო. რა როლიაო... ცოტა „ისეთი“ ქალიაო... ისეთი ქალის როლში ჩემი ცოლი რატომ უნდა გადაიღო, შენი ცოლი გადაიღეო... მართლაც არიანა შენგელაია არ გადაიღო!..

რალაცები ვითამაშე, მაგრამ ძალიან შეზღუდულად... „წიგნი ფიცისაში“ ხვარაშე მიყვარს ძალიან...

მიხარია, რომ ჩვენი ოჯახის კარი ღია იყო ყველასთვის. აქ ვინ აღარ ყოფილა სტუმრად: გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, ნოდარ დუმბაძე, ეროსი მანჯგალაძე, დოდო აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი... მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები...

მას მერე, რაც თეიმურაზი კახეთში გახდა რაიკომის მდივანი, ყველა კახეთში ჩამოდიოდა. არ დამავიწყდება, ერთხელ ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი გვეწვივნენ მთელი ანსამბლით. ვუმასპინძლეთ. მათ მსოფლიო აქეთ შემოვლილი და რომ მიდიოდნენ, გვითხრეს, მსგავსი დრო, რაც თელავში გაატარეთ, არსად გაგვიტარებიაო...

როგორც ამბობენ, ძალიან ძლიერი ვარ... შვილებიც ასე მეუბნებიან... ერთი ვაჟი მხატვარია, მეორე — რეჟისორი... მართლმთავე დენჯერ სჭირდებოდათ ძლიერი ხელი!

ნუ იქნები ძლიერი ასეთ მკაცრ რეალობაში. შეიძლება?

ბევრი სირთულის გადატანა მომიხდა... იყო

უზრუნველი პერიოდიც... მაგრამ მერე ისეთი მძიმე წლებიც გავიარე, როგორსაც ვერაფრით წარმოვიდგენდი. წუთით წარმოიდგინეთ, რომ ისეთი მძიმე ლოდი დაგეცათ, ყელამდე მიწაში ჩაგიტანათ... უნდა ამოხვიდეთ, თავი გადაირჩინოთ და ოჯახიც ამოიყვანოთ ამ მდგომარეობიდან. ეს გადამიტანია და ამოვსულვარ...

სულ მარტო წავსულვარ შუა აზიაში ერეკლესთან. იქ ჯარის ნაწილი იყო და გადაიყვანეს, რომ მამამისზე ზეწოლა მოეხდინათ. თეიმურაზი ამ დროს ციხეში იყო. პოლიტიკური კლანები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ხაბეიშვილის საწინააღმდეგოდ თეიმურაზის გამოყენება უნდოდათ. მან არ იკადრა მსგავსი რამ. ამიტომაც ოთხი წელიწადი გაატარა ციხეში. დასასჯელად ხომ ერეკლეს ავღანეთში გაგზავნა უნდოდათ — კიდევ კარგი, ორი დღით გაასწრო ეშელონმა და შუა აზიაში დარჩა, გიაც დაიჭირეს... მილიციელიც კი, მის ასაყვანად რომ მოვიდა, აღშფოთებას ვერ მალავდა, — ამ ნახატების ავტორი როგორ უნდა დავიჭიროთ, ამდენი ნაძირალა დადისო...

უცნაური იყო. მთელი ქალაქი იდგა ჩემ გვერდით. თანამიგრძნობდნენ.

არ დამავიწყდება, ევგენი ევტუშენკო რომ ჩამოვიდა და მკითხა, თეიმურაზი რა მანძილზეა თბილისიდანო. რუსთავშია-მეთქი. შეხვედრის შემდეგ წავიდეთო. ეს ფურორი იყო, რუსთავის კოლონიაში რომ ევტუშენკო გამოჩნდა...

ეს ურთიერთობები გაძლიერებს, მაგრამ შენს თავთან მაინც მარტო ხარ. მთავარი სიმძიმე მაინც თავად უნდა იტვირთო.

რომანტიზმი დღემდე შემომრჩა და ძალიან მიმლის ხელს ცხოვრებაში. ხან ვფიქრობ, იქნებ არც უნდა გაზარდო ასე ბავშვი... რომ კითხულობ რომანტიკულ ლიტერატურას, სულიერად გამდიდრებს, მაგრამ ღრუბლებში მიჰყავს ხარ, ცხოვრება კი ისეთი უხეშია... ის რომანტიზმი გიშლის ხელს. იქნებ შენც უხეში უნდა იყო, ადვილად არ გტკიოდეს. გინდა, სულ გმირი გყავდეს გვერდით. სად არის ეს გმირი? ბიჭები ხომ ყოველთვის ვერ უძლებენ მოთხოვნებს... შენ განიცდი... წიგნებში მეგობრობა სულ სხვაა... ცხოვრებაში — სხვა. მე კი გამიმართლა მეგობრებში, მაგრამ ხომ ვხედავ, ირგვლივ რა ხდება. თანამედრობას რომ იშოვიან და გაიფუფებინან, აღარ ახსოვთ არაფერი.

ახლა დავამთარე გიორგი ფარაჯანოვის ფილმში გადაღებები. სერგო ფარაჯანოვის დე-



დას ვთამაშობ. ვეჩხუბებოდი, ცოლო არ არის ბებიამენი, ასეთი რომ გამოგყავს-მეთქი... ნუ მასწავლით, ქალბატონო ლალი, მე ვიცი, ბებიამენი როგორი იყო. მეუბნებოდა, არტისტიზმი, რაც ჰქონდა ბიძაჩემს, ბებიასგან დაჰყვაო. იმდენად არტისტული ქალი ყოფილა, რობერტ სტურუასთან სალომე ყანჩელი რომ თამაშობდა ხანუმას, მასთან მიდიოდა და ბევრი ნიუანსი გადაჰქონდა თავის როლზე... გიგა ლორთქიფანიძეს კკითხე, როგორი ქალი იყო-მეთქი. ტიპური ინტელიგენტი იყო. წარმოგიდგენიათ, გიგასთან ინტელიგენტი იყო, სალომე ყანჩელთან — ყარაჩოხელი... ამიტომ ძალიან საინტერესო პერსონაჟია.

მყავს ერთი შეილიშვილი — ნინი ბადურამვილი. როცა ბიჭები რამეს იტყვიან ხოლმე ჩემზე, აჩუქებს, — ლალი ძალიან მაგარიაო!...

**P.S.** არ დაუწუწუნია, ისე დავტოვე. არაა, გულმა მიგრძნო, სასაყვედურო ბევრი რამ უნდა ჰქონდეს... სწორედ ამ უსაყვედურობისა და უცრემლობისა შურდათ ყოველთვის — ყველაზე იშვიათი უცრემლობის!

**ლელა ჯიყაშვილი**



მას ყველაზე მეტად პოეზია უყვარს. ყველანაირ ლექსს სიამოვნებით კითხულობს. პოეზიის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურა, ესეისტიკა, ბიოგრაფიული და ისტორიული ჟანრები იზიდავს. წიგნებთან „მეგობრობა“ ადრეული ასაკიდან დაიწყო. ძალიან ბევრი ლიტერატურული პერსონაჟი მოსწონს და ამბობს: „განა შეიძლება, ჰამლეტსა და ფაუსტთან ურთიერთობის სურვილი არ გაგინდეს, ოფელია ანდა ალაზა არ შეგიყვარდეს“? ისტორიული პირობიდან გამორჩეულად სულხან-საბა ორბელიანი უყვარს. მასზე როგორც პოლიტიკოსზე, მეცნიერზე, დიპლომატზე დაუსრულებლად შეუძლია ლაპარაკი. მე კი ბევრს აღარ გვაგვრძელებ და გეტყვი, რომ „ერუდიტის“ სტუმარი პოეტი რატი ამბალლობელი გახლავთ.

## რატი ამბალობელი:

### „კაცობრიობის ბამოცდილება ყველაზე პარბალ ისტორიაში ჩანს“

■ რატი, სკოლაში ისტორიას როგორ სწავლობდი?

— ეს საგანი მიყვარდა და მაინტერესებდა, შესაბამისად, კარგადაც ვსწავლობდი. მოვლენები და ამბები უფრო მახსოვს და ვიცი, ვიდრე — თარიღები. მიმაჩნია, რომ საკუთარი წარსულის ცოდნა უმნიშვნელოვანესია. ადამიანს აქვს შესაძლებლობა, იცხოვროს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ კაცობრიობის გამოცდილებით, კაცობრიობის გამოცდილება კი ყველაზე კარგად ისტორიაში ჩანს...

■ დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, ეს თანამდებობა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას აერთიანებდა. დაასახელეთ ეს თანამდებობა?

— ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

■ ეს ქართველი მამულიშვილები, რომლებიც ბახტრიონის გმირულ ბრძოლას მეთაურობდნენ, 1662 წლის 18 სექტემბერს თურქმანებმა წამებით დახოცეს. შემდეგ მათი სამშობლოში გადმოსვენება მოხერხდა. ისინი წმინდანებად შერაცხეს. რომელ გმირებზეა ლაპარაკი?

— შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავებზე და ბიძინა ჩოლოყაშვილზე.

■ ამ მეფის სიმამაცეზე „მატიანე ქართლისაში“ წერია: „რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ, ვითარცა უხორცო“. როგორი მეფეა?

— უნდა დაფიქრდე...

■ მიგანიშნებთ, იგი ტახტზე 12 წლისა ავიდა და 25 წლის გარდაიცვალა.

— ის ერთ-ერთი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟია, არა?

■ დიახ.

— მეფე გიორგი I, „უშიში ვითარცა უხორცო“ — ამ სიტყვებს მის დახასიათებაში კონსტანტინე გამსახურდიაც იყენებს.

■ სად გარდაიცვალა იმერეთის უკანასკნელი მეფე სოლომონ II?

— ოსმალეთში.

■ „წილი ნაყარია, რუბიკონი გადალახულია“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— იულიუს კეისარი.

■ რისი დრო ღვებოდა ძველ რომში, როცა დიასახლისი სტუმრებს სანდლების განდასთხოვდა?

— ზუსტად ვერ ვიხსენებ, ბანაობის დრო რომ არა?

■ სადილობის. რომელი ყვავილია გამოსახული ბურბონთა სამეფოს საგვარეულო გერბზე?

— შროშანი.

■ „სამშობლოს არვის წავართმევთ, / ნურც ნურვინ შეგვეცილება, / თორემ ისეთ დღეს დავაყრიტ, / მკვდარსაც კი გაეცინება“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

■ რას უწოდა „დიპლომატიის არდადეგები“ ფილოსოფოსმა კარლ გუსტავ იუნგმა?

— მგონი მეორე მსოფლიო ომს.

■ ზოგადად ომს. სანამ დავით გარეჯელი გარეჯის უდაბნოში გაემგზავრებოდა და იქ სამონასტრო კომპლექსს ჩაუყრიდა საფუძველს, სად განდევილობდა?

— მთაწმინდაზე. ამ მთას მამადავითის მთას ამიტომაც უწოდებენ.

■ ამ კითხვას „ისტორიანის“ მე-ნომერში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით დავისვამთ: ქართული ოქრომჭედლობისა და ქრისტიანული კულტურის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნიმუშმა ჩვენამდე არასრული სახით მოაღწია. სახეზეა მხოლოდ მისი ზედა ნაწილი და 999 წლით თარიღდება. ის გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს — ბაგრატ III-ს ბედიის ვლადიკერნის წმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრისთვის შეუწირავს. დაასახელებთ, რაზეა ლაპარაკი?

— ბედიის ბარძიშზე, არა?

■ რა თქმა უნდა. გერმანელების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს, პიკასოს ატელიეში ხშირად გერმანელი ოფიცრები მიდიოდნენ. მხატვარი ყველას სამახსოვროდ აძლევდა თავისი ცნობილი ნახატის პირს. ტილოზე ფაშისტების მიერ ესპანეთის ქალაქ გერნიკას განადგურება იყო ასახული. ერთხელ ატელიეში მასთან მისულმა გესტაპოს აგენტმა ჰკითხა: — ეს თქვენი ნამუშევარია? რა უპასუხა მხატვარმა?

— (ფიქრობს) არა, თქვენი. სხვა რა უნდა ეთქვა?

■ გამოიცანი. შაჰ აბას I-მა 1614-1617 წლებში საქართველოდან ტყვედ ათიათასობით ქართველი წაიყვანა. სად მოხდა მათი ჩასახლება?

— ფერეიდანში.

■ შილერის აზრით: „არ შეიძლება, თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც“...





- ...რომელიც სხვაზე ბატონობს.
- „...სხვას ჩაგრავეს“. თქვენს ბიბლიოთეკაში რომელი ჟანრის წიგნები ჭარბობს?
- მეტი წილი ისტორიული და ფილოსოფიური ლიტერატურაა.
- „როგორებიც არიან ადამიანები, ისეთია მათი წიგნებიც“. რომელი გერმანელი ფიზიკოსია ამ გამონათქვამის ავტორი?
- არ ვიცი.
- ლიხტენბერგი. მას ეთანხმებით?
- ფილოსოფიისადმი მიდრეკილება სტუდენტობის წლებში უფრო მქონდა.
- რა ბედი ეწია ტროას ომიდან დაბრუნებულ აკამენონს?
- მეუღლემ აბაზანაში მოკლა.
- ამერიკის შეერთებული შტატების ამ პრეზიდენტმა ბავშვობაში პოლიომიელიტი გადაიტანა, რის შედეგადაც ინვალიდის საფარძელს მიეჯაჭვა. დაასახელეთ იგი.
- რუზველტი.
- რომელი ძველი რომაელი მოღვაწის გვარი იქცა ქველმოქმედების სიმბოლოდ?
- გაიუს იულიუს მეცენატის.
- ეს ქართველი საზოგადო მოღვაწე კათოლიკების ოჯახში დაიბადა. 1872 წლიდან ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში ფიზიკამათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყვე-

ლო განყოფილებაზე სწავლობდა. შემდეგ ევროპის ქვეყნებში ქიმიურ ლაბორატორიებში მიმდინარე სამუშაოებს ეცნობოდა. 1881 წელს — ქიმიის მაგისტრი, 1885 წელს კი დოქტორი გახდა. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ივანე ჯავახიშვილთან. დაასახელეთ ეს პიროვნება.

- პეტრე მელიქიშვილი.
- სამხედრო გზა, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აერთებს, ჯვრის უღელტეხილზე გადის. რომელ მდინარეთა ხეობებს შორის მდებარეობს ჯვრის უღელტეხილი?
- არაგვისა და თურგის.
- „როცა ბარბაროსა დაიწყება, მთელი მსოფლიო სუნთქვას შეიკრავს“. ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
- ადოლფ ჰიტლერი.
- რომელ ნაწარმოებზე მუშაობდა ილია ჭავჭავაძე, როცა დავით ერისთავს მისწერა: „ეს ოხერი ჩვენი ისტორია მარტო მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს. მე მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს, საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არ ჩანს“.
- ამ ნაწარმოებს რა პერიოდში წერდა?
- 1858-1859 წლებში.
- „აჩრდილზე“.
- დაასახელეთ ერთმანეთზე მიყოლებული ხუთი დღე ისე, რომ არ გამოიყენოთ სიტყვები: ორშაბათში, სამშაბათი, ოთხშაბათი და ა.შ.
- ვერ გავიგე, აბა ისე როგორ?
- დღეს...
- (მწვევტინებს) მივხვდი, როგორ უნდა ვთქვა: გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ხუვ.
- ამ ქვეყანაში ექიმებს ჩვეულებრივ კარგ ხელფასს უხდიდნენ, მაგრამ თუ იმპერატორი ავად გახდებოდა, მკურნალს მის გამოჯანმრთელებამდე ფული არ ეძლეოდა. სად ხდებოდა ასე?
- ჩინეთში.
- კვირის რომელ დღეს გასცეს ქრისტე?
- ოთხშაბათს.
- „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“ — ამ სიტყვებს ვაზეთმა „დროებაში“ მეთერთმეტე მცნება უწოდა, დაასახელეთ მისი ავტორი.
- რაფიელ ერისთავი.
- მუსლიმანთა რომელი სალოცავია იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით მუჰამედი სამოთხეში ავიდა?

— იმ მეჩეთს რა ჰქვია? ვეღარ გავიხსენე...

■ მიგანიშნებთ, ის იერუსალიმის ყველაზე ლამაზ ნაგებობად ითვლება.

— ომარის მეჩეთი.

■ რომელი ქართული ხალხური სიმღერა მიემდგნა შალვა ახალციხელს?

— „შავლეგო“.

■ რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს ლუდოვიკო XIV-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინატრებდა თქვენს ადგილზე ყოფნას“?

— სულხან-საბა ორბელიანმა.

■ ცნობილია, რომ მომთაბარე მონღოლები დაბეგვილ უმ ხორცს მიირთმევდნენ. როგორ ბეგავდნენ ხორცს?

— ცხენით მგზავრობის დროს უნაგირის ქვეშ დებდნენ. ამიტომ საშინელი სუნი ჰქონდათ. ისე ყარდნენ, ბრძოლის დროს მტერს მათთან მიახლოებაც კი უჭირდა.

■ დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II. ჩამოთვლილთაგან რომელი მეფის ძეგლი არ დგას თბილისში?

— ერეკლე II-ის.

■ ვისზე თქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ნიქსონმა შემდეგი სიტყვები: „ის სუსტი პოლიტიკოსი, მაგრამ კარგი მძღოლია“?

— ხრუშჩოვზე.

■ ცდებით, ბრეჟნეფზე თქვა.

— მართალია, შემეშალა, ავტომობილების მართვით ბრეჟნევი იყო გატაცებული. ცნობილია, რომ ღამით მოსკოვის ქუჩებში დაქროდა.

■ ვინ ააშენა ენგურზე, აფხაზეთ-სამეგრელოს საზღვარზე გადებული ხიდი?

— არ ვიცი.

■ გერმანელმა ტყვეებმა.

— გერმანელი ტყვეების მიერ საქართველოში, მათ შორის თბილისშიც ბევრი რამ არის აშენებული. კოლხური კოშკი, პარლამენტის შენობა და სხვ.

■ რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ინგლისის მეფე, შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედიის გმირი, რიჩარდ III?

— პლანტაგენეტების.

■ ცდები.

— ვიცი, არასწორად ვთქვი, ტექსტი უნდა გავიხსენო (*პაუზის შემდეგ*), იორკების, არა?

■ დიახ. ამერიკის რომელ შტატში მდებარეობს პენტაგონი?

— ზუსტად არ ვიცი.

■ ვირჯინიის შტატში. კვირა 7 დღისგან შედგება, წელიწადი 12 თვედ იყოფა, საათში 60 წუთია, წრე კი 360 გრადუსია. პირველად სად გამოიგონეს ეს სათვალავი?

— ეგვიპტეში.

■ ცდები, ძველ ბაბილონში გამოიგონეს. ბრიტანეთის რომელმა პრემიერმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში?

— უინსტონ ჩერჩილმა.

■ და ბოლოს, დაასრულეთ ჰაროლდ მაკმილანის ცნობილი გამონათქვამი: „კარგ დიპლომატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ის, რაც მან...“

— ვერ დავასრულებ, ეს ციტატა ზეპირად არ მახსოვს.

■ „...რაც მან უნდა დაიფიქროს“.

თამარ კვინიკაძე





# ქველი ეგვიპტის გული

## 500 ფაქტი ისტორიიდან

1

ნილოსის გარეშე ქველი ეგვიპტის განსაცვიფრებელი ცივილიზაცია, ალბათ, ვერ იარსებებდა. ეს მძლავრი მდინარე უზრუნველყოფდა ქვეყანას სასმელი და მარცვლეული კულტურების სარწყავი წყლით. ყოველ წელს აღიდებული და ნაპირებიდან გადმოსული ნილოსი შავმიწანიადგვიან მინდვრებს ანოვიერებდა. მიწათმოქმედებს ამ მიწებზე მარცვლეული მოკვავდათ. ეგვიპტელები თავიანთ ქვეყანას კემეტს უწოდებდნენ, რაც „შავ მიწას“ ნიშნავს. ნილოსი მნიშვნელოვანი საგაჭრო და სატრანსპორტო არტერია იყო.



„ისტორიანი“ გთავაზობთ ახალ რუბრიკას — საბავშვო „ისტორიანი“. თავდაპირველად ვიწვევთ მსოფლიო ისტორიის 500 ყველაზე საინტერესო ფაქტის გამოქვეყნებას. ამასთან, მზადდება მსგავსი პუბლიკაციები საქართველოს ისტორიის შესახებაც.

## ძველი ეგვიპტე

© Miles Kelly

© გამოცემლობა პალიტრა L, 2011

▼ ნილოსი ქვეყანაში ვაჭრობისა და მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს და ამასთან, წყლის ძირითად რესურსსაც წარმოადგენდა.



# სამეფო სახლის აგებუბი

## 2

ძველი ეგვიპტის მმართველებს ფარაონებს უწოდებდნენ. სიტყვა „ფარაონი“ დიდ სახლს ნიშნავს. ფარაონი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლევამოსილი პირი იყო ეგვიპტეში. ხალხს სჯეროდა, რომ ის ღმერთი იყო.

## 3

რამზეს II-მ 60 წელი იმეფა და ერთადერთი ფარაონია, რომელსაც „დიდი“ უწოდეს. რამზესი დიდი აღმშენებელი და მამაცი მეომარი იყო. მას უამრავი შვილი ჰყავდა: 96 ვაჟი და 60 ქალიშვილი.



რამზეს II

► ფარაონს ხელში ძალაუფლების სიმბოლოები — კაცი და საცეხველი უჭირავს. ამ იარაღებს გლეხები მარცვლულის გაღწევა-გაცეხვისას იყენებდნენ.

▼ ეს ხალხი ფარაონს ხარკს უხდის. ისინი მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოვიდნენ და მმართველს პატვის-ცემის ნიშნად საჩუქრებს უძღვნიან.



# ძველი ეგვიპტე



▲ ქორწილზე პატარძალს ტილოს გრძელი, ნაოჭასხმული კაბა ეცვა.

**6** ძველ ეგვიპტეს სხვადასხვა დროს 30 სხვადასხვა დინასტია მართავდა. დინასტია ერთი და იმავე სამეფო გვარის წრიდან გამოსულ მმართველთა ერთობლიობაა.

ქვემო ეგვიპტის წითელი გვირგვინი



ზემო ეგვიპტის გვირგვინი



**4** ფარაონს ხშირად ცოლად უახლოესი ნათესავი, ღვიძლი და ან ნახევარდა მოჰყავდა. ამგვარად სამეფო ოჯახის სისხლი შეურყვნელი რჩებოდა. ფარაონის ტიტულული მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს ვაჟზე, რომელიც იმაგდროულად ყველაზე საყვარელი ცოლის შვილი იყო.

▲ ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი ორი ნაწილისგან შედგებოდა: პირველი, ჩამჩის ფორმის წითელი გვირგვინი, ქვემო ეგვიპტის რეგალია იყო, ხოლო მეორე, ბოთლის ფორმისა — ზემო ეგვიპტის.

**5** მოხლეჩები, რომლებსაც ვეზირებს უწოდებდნენ, ფარაონებს ეგვიპტის მართვაში ეხმარებოდნენ. თითოეული მმართველი ორ ვეზირს ნიშნავდა და ისინი ზემო და ქვემო ეგვიპტეს განაგებდნენ. ვეზირები დიდი გავლენით სარგებლობდნენ, ისინი მეთვალყურეობდნენ ჯარსა და ბეღელს, რომელშიც მარცვლეულს ინახავდნენ, თავად ფარაონი კი ყველასა და ყველაფერზე იყო პასუხისმგებელი.



▲ ეს ვეზირი ითვლის მარცვლეულით სავსე ტომრებს, რომელთა რაოდენობაც საჭიროზე ნაკლებია და ამ დროს ქურდი, ალბათ, სასტიკი სასჯელის მოლოდინშია.

# დიდახული კაბლახი

**7** გიზის სამი პირამიდა 4500-ზე მეტი წლისაა. ისინი ზუფუს (ზეოფსის), ხაფრასა (ხეფრენი) და მენკაურასთვის (მიკერინისთვის) ააგეს. პირამიდებს შორის უდიდესი დიდი პირამიდა 20 წლის განმავლობაში შენდებოდა. მშენებლობაზე 4000 კალატონი და ათასობით მუშა მუშაობდა.

▶ დიდი პირამიდის აშენებას ორი მილიონი კირქვის ბლოკი დასჭირდა. მისი სიმაღლე 140 მეტრია და ლონდონის წმინდა პავლეს საკათედრო ტაძარზე მაღალია.

ფარაონ მენკაურას (მიკერინის) პირამიდა

ფარაონ ხაფრას (ხეფრენის) პირამიდა

დელოფის პირამიდა

ქვაფენილი

დასაკრძალავი კამერა

**8** ადრეული ხანის პირამიდებს საფეხურებიანი გვერდები ჰქონდა. საფეხურები ჰგავდა გიგანტურ კიბეს, რომლითაც, ხალხის რწმენით, ფარაონს ღმერთებთან ასვლა შეეძლო. პირველი საფეხურებიანი პირამიდა ძვ.წ. 2650 წელს საჰარაში აშენდა.



▶ საფეხურებიანი პირამიდა ფარაონ ჯოსერის ბრძანებით ააგეს. ეს არის მსოფლიოში უძველესი პირამიდა.

**9** სამი პირამიდიდან უდიდესი — დიდი პირამიდა ფარაონ ზუფუს (ზეოფსის) განსასვენებელი იყო. მის გვერდით კიდევ სამი პატარა პირამიდა უნდა აეგოთ ფარაონის სამი უფროსი ცოლისათვის. ნავი, რომლითაც, სავარაუდოდ, ფარაონის მუშია პირამიდასთან მიიტანეს, მის გვერდით, შახტში ჩამარხეს.

## 10

გიზაში

დიდ პირამიდას-თან მისასვლელ გზას დიდი სფინქსი იცავს.

ეს არის ქვის მონუმენტური ქანდაკება, რომელსაც ლომის ტანი და ადამიანის თავი აქვს. სახის ნაკვეთებით სფინქსი ფარაონ ხეფრენს ჰგავს.



ფარაონ ხეფუს (ხეოფსის) დიდი პირამიდა

დელოფლის პირამიდა

ქვის მასტაბა-სამარხები სამეფო ოჯახისა და დიდებულე-ბისათვის

სფინქსი — პირამიდების მცველი

განსაწმენდელი ტაძარი

### დაუჯერებელია!

სპეციალურ სახელმძღვანელოს, რომელიც სამარხების მძარცველებისთვის იყო განკუთვნილი, „ჩამარხული მარგალიტების წიგნი“ ეწოდებოდა. მასში დაწვრილებით იყო მოთხრობილი პირამიდებში დამარხული განძის ამბები და განძისმაძიებელთა ასწავლიდა, როგორ დასხლტომოდნენ ხელიდან იმ სულებს, რომლებიც გარდაცვლილებს დარაჯობდნენ.




## 11

მძარცველები პირამიდებში იმისთვის იპარებოდნენ, რომ იქ დამარხული განძი გამოეტანათ. მათთვის პირამიდებში შესვლა რომ გაეძნელებინათ, შშენებლები გრანიტის მძიმე კარებსა და ყალბ დერეფნებს აკეთებდნენ.

## 12

დიდ პირამიდაში ორი დასაკრძალავი კამერა იყო — ერთი ფარაონის, ხოლო მეორე — დელოფლისთვის. ფარაონის კამერასთან მიღწევა დერეფნის გავლით შეიძლებოდა, რომელსაც დიდი გალერეა ეწოდებოდა. ის 8 მეტრის სიმაღლის იყო, ოთხჯერ მეტი ჩვეულებრივ ჭერთან შედარებით. როცა მეფის მუმიას დასაკრძალავ კამერაში მოათავსებდნენ, შესასვლელს მასწინვე ქვის ბლოკებით ჩახერგავდნენ. ბოლო მუშა დასაკრძალავ კამერას საგანგებოდ გაყვანილი დერეფნის გავლით ტოვებდა.



მიწისქვეშა პალატა

ფარაონის პალატა

დიდი გალერეა

ნავისთვის განკუთვნილი შახტი

დელოფლის პალატა

# უზენაესი ღვთაებები

## 13

ძველი ეგვიპტელები ათასზე მეტ სხვადასხვა ღმერთსა და ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ. უმთავრესი ღვთაება იყო მზის ღმერთი რა. ხალხს სჯეროდა, რომ ღამლამობით მას ცის ქალღმერთი ნუტი შთანთქავდა. ღამით ღვთაება რა ქვესკნელში მოგზაურობდა და დილით ისევ იბადებოდა.



◀ მოგვიანებით მზის ღმერთი რა უზენაეს ღვთაება ამონს შეერწყა და მას ამონ-რა ეწოდა.

## 14

ხშირად ღმერთებს ცხოველის, ნახევრად ადამიანის ან ნახევრად ცხოველის სახით გამოსახავდნენ. სობეკი ნილოსის ღვთაება იყო. ნიანგებს სობეკის ტაძრებთან ახლოს, აუზებში ამყოფებდნენ; ქალღმერთი ბასტი კატებს, მუსიკოსებსა და მოცეკვავეებს მფარველობდა. ძველ ეგვიპტეში კატა წმინდა ცხოველად ითვლებოდა. როცა მოკვდებოდა, სანამ კატების სასაფლაოზე დაკრძალავდნენ, მას კატის ფორმის კუბოში ჩაასვენებდნენ. მთვარის ღვთაება თოტს ადამიანის სხეულის მქონე იბისის ან ბაბუინისთავიან არსებად გამოსახავდნენ. ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ იეროგლიფური დამწერლობა თოტმა შექმნა.

▼ რამდენიმე კარგად ცნობილი ღვთაება, რომლებსაც ცხოველებად გამოსახავდნენ



სობეკი

ბასტი

თოტი

15

ღვთაება ოსირისი მიცვალებულთა და იმქვეყნიური ცხოვრების მეფე-ღვთაებაა. ძველი ეგვიპტელების რწმენით, მიცვალებულები იმქვეყნიურ სამყაროში მოგზაურობდნენ. ოსირისი და მისი ცოლი ისიდა პორუსის შშობლები იყვნენ. ის ფარაონს იცავდა.



ისიდა ოსირისი პორუსი

**უპასუსეპი კითხვებს**

1. ვინ დაკრძალეს დიდ პირამიდაში?
2. აღწერე ზემო ეგვიპტის გვირგვინი.
3. რომელი ფარაონი მეფობდა 90 წელზე მეტ ხანს?
4. რა არის დიდი სფინქსი?

„ღმწი ისო დივიდილუ  
 რა ივიღ დიეააჲ მილანქაჲ ილანსოჲი 4  
 II ილკე 3  
 ივიზრეიზე იყოივი დიეოროჲ დიოლოთაჲ 2  
 მქმეჲ სსსე 1  
 ძველი ეგვიპტე“

16

ღვთაება ანუბისი მუმიფიცირების (ცხედრის ბალზამირება) მფარველი იყო. რადგან ტურებს სასაფლაოსთან ტრიალი სჩვევიათ, მიცვალებულთა მფარველ ანუბისს ტურის თავით გამოსახავდნენ ხოლმე. ეგვიპტელი ქურუმებიც მუმიფიცირებისას ხშირად ანუბისის ნიღბებს იკეთებდნენ.


17

ფარაონმა ამენჰოტეპ IV-მ, მზის ღვთაება ატონის თავგანისმცემელმა, მის პატივსაცემად სახელი შეიცვალა და ენახტონი დაირქვა. მისი მეფობის პერიოდში ატონი უზენაესი ღმერთი გახდა.

▼ ანუბისი ცხედარს მუმიფიცირებისათვის ამზადებს.





	1	ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე ძე თბილისში	2	ეთიოპიის მექართული სახელწოდება	3	წინასწარმეტყველი ქალი ძე რომში	
	4	ვეკატის ფარანი	5	საეკლესიო ნაგებობა ძე შუამდინარეში	6	ისტორიული შინაარსის ლექსი	
	7	ღვთისმშობლის დედქალაქი	8	პეტრე პირველის ციხე	9	ქალაქის გარემოცვა მტრის ჯარების მიერ	
	10	ზუღანის მონასტრის დამაარსებელი ... ზღაპრული	11	კორეის იმპერატორთა დინასტია	12	საქართველოს მეფე დავით VII	
	13	წინაქრისტიანული საფლავი აღმ. საქართველოში	14	პირუტყვით მოჭრე მუცლად	15	იაპონიის პირველი დედქალაქი	
16	ქალაქი საქართველოში	17	ქალაქი პოლანდიაში	18	ქართლის მეფე III საუკუნეში	19	მხარე საქართველოში
20	ვარდობის თვე	21	მოსამართლე მუსლიმანებში	22	I მსოფლიო ომის „მოთავე“ ფრანც ...	23	ოსმალეთის მთავრობის სახელწოდება ძე ფროპაში
24	კიევის ერთ-ერთი დამაარსებელი	25	საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი XV საუკ.	26	ქართველი თეოლოგი და ფილოსოფოსი პეტრე ...		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

1. ვეზირი; 2. ტრეფიკინგი; 3. ხალიფა; 4. ლაზი; 5. ფარნავაზი; 6. სპარტაკი; 7. მონა; 8. არზა; 9. ანისი; 10. იტალია; 11. გაგარინი; 12. ჩე; 13. საფასე; 14. რომი; 15. აგრესია; 16. ჯორჯია; 17. ელბა; 18. რიო; 19. გოთუა; 20. აული; 21. განდი; 22. ვინეა; 23. ნასა; 24. ფორმანი. სურათზე: ვახტანგ გორგასალი.